საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის

სასწავლო უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი

გვანცა გოგიბერიძე

ზნეობრივი პარადიგმები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია

ფილოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლელა კუკულაძე - ასოც. პროფ.

აკადემიური დოქტორი

ხიჭაური

2021

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომის მიზანია წარმოვაჩინო ზნეობრივი პარადიგმები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ნაშრომის ამოცანაა ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ მემკვიდრეობაში წარმოდგენილი ზნეობრივ პრობლემათა განხილვა და მათი ჯეროვანი ანალიზი.

აღნიშნული თემა მეტად აქტუალურია XXI საუკუნეშიც, რადგან ზნეობა, მორალი ის ფასეულობებია, რომლებიც აქტუალობას მანამ არ დაკარგავს, სანამ არსებობს ადამიანი.

Annotation

The aim of the present paper is to represent the moral paradigms in Vazha-Pshavela's work. The work is focused on reviewing the moral phrases that is presented in Vazha-Pshavela's litteral heritage and analize their meanings. The topic is up to date in the twenty-one century, because moral is the valuable things in humans life.

შინაარსი

შესავალი ----------5

თავი I – სამშობლოს სიყვარული, როგორც ზნეობრივი პარადიგმა ------13

თავი II - ვაჟას რელიგიური მრწამსი----------26

თავი III - „კაი ყმის“ ზნეობრივი კოდექსი ვაჟას ლირიკაში----------48

თავი IV –ზნეობრივი პარადიგმები ვაჟა-ფშაველას პეიზაჟურ ლირიკაში---
-63

თავი V - ჩვეულებითი სამართალი, როგორც ზნეობრივი პარადიგმა ---75

თავი VI –ზნეობრივი პარადიგმები ვაჟა-ფშაველას პოემებში ----------80

დასკვნა ----------92

გამოყენებული ლიტერატურა ----------95

შესავალი

ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისა და სულიერი კულტურის განვითარებაში თავისი ისტორიული მნიშვნელობით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მე–19 საუკუნის 60-იან წლებს. ქართული ლიტერატურისა და საზოგადოებრივი აზროვნების სფეროში იწყება ეროვნული ენერგიის მძლავრი გამოვლინება. მეტიც, ქვეყნის „მაჯისცემას“ მიყურადებული ქართული მწერლობა ხდება ერის ფიქრისა და გრძნობის წარმმართველი. ძნელად თუ ვიპოვით ანალოგს, რომ მწერლობას ასეთი როლი შეესრულებინოს ერის ცხოვრებაში, ასეთი ზნეობრივი, მოქალექაობრივი მაგალითი ეჩვენებინოს თავისი ხალხისათვის, ასეთი ნდობა,სიყვარული მოეხვეჭოს, ასეთი სარგებლობა მოეტანოს ცხოვრების ფართო ასპარეზზე, ასეთი შარავანდით შეემოსოს მწერლის სახელი. ამ განსაცვიფრებელი მოვლენის მიზეზები საძიებელია, როგორც მწერალთა პიროვნულ თვისებებში, ისე ეპოქის თავისებურებებში, ვითარების განსაკუთრებულობაში, საკუთარი დანიშნულების ღრმა შეგნებაში, შემოქმედის ზნეობრივი მოვალეობის სისხლხორცეულ გაგებაში. როგორც მკვლევარი ალექსანდრე კალანდაძე აღნიშნავს, „მწერლობამ თავს იდო მოძღვრის, დამრიგებლის, დამრაზმველის, ზნეობრივი მასწავლებლის, შორს მჭვრეტი, ბრძენი მეგზურის ვალდებულებები. იგი იქცა საყოველთაო უნივერსიტეტად, სადაც მთელი ხალხი იღებდა პოლიტიკურ, პატრიოტულ, მოქალაქეობრივ, ზნეობრივ, ესთეტიკურ, მეცნიერულ აღზრდა-განათლებასა და წრთობას, სადაც ხალხს მოძღვრავდნენ ისეთი ბრძენ კაცები,როგორიც იყვნენ სოლომონ დოდაშვილი, ნიკოლოზ ბარათაშვილი,ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაჟა-ფშაველა და სხვ. (კალანდაძე, 1986:3-4).

ზნეობრივ პრობლემატიკას ყურადღებას უთმობენ ქართველი რომანტიკოსები. სიცოცხლის საწყისისა და ადამიანის დანიშნულების საკითხზე საგანგებოდ საუბრობს ალექსანდრე ჭავჭავაძე (,,გოგჩა“, ,,ვაჰ სოფელსა ამას „) აღნიშნულ თემებს არა ერთხელ უტრიალებს თავის ლირიკაში გრიგოლ ორბელიანი (,,ფსალმუნი“, ,,ჩემი ეპიტაფია“ და სხვ.). ადამიანის მოვალეობის, ღირსების, მეგობრობის შესახებ მსჯელობა მჭევრმეტყველური ფორმითაა წარმოდგენილი პოემა ,,სადღეგრძელოში“.

აღნიშნული პრობლემის გაშუქება მხატვრულ და ფილოსოფიურ სიმაღლეს აღწევს ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედებაში (,,ფიქრნი მტკვრის პირზედ“, ,,მერანი“).

ეთიკური პრობლემები მთელი სიმწვავით, როგორც ეროვნულ, ასევე ზოგადსაკაცობრიო სიბრტყეზე, სამოციანელთა შემოქმედებაში დაისვა. სწორედ ამგვარი ინტერესი წარმართავს ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის მხატვრულ შემოქმედებას. ილია და აკაკი თავიანთ მხატვრულ ნააზრევში არა მხოლოდ ეთიკის სპეციფიკურ საკითხებს უთმობენ ყურადღებას, არამედ სხვადასხვა მოვლენებს ეთიკური თვალსაზრისით განიხილავენ და აფასებენ.

ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, ვინც თერგდალეულთა პირველ ძახილზე მოვიდა, როგორც ერის უკვდავი ძარღვის ნაწილი, რომელიც თურმე ისევე ცოცხლობდა მაღალი ციხეების ნანგრევებში და ერისკაცების სულში. „ვაჟა-ფშაველა საომრად მოვიდა, მან, როგორც დიდმა თანამებრძოლებმა, იცოდა, რომ ეს ბრძოლა არაა სახელისათვის, დიდებისათვის, ნადავლისათვის. მან იცოდა, რომ ეს ბრძოლა სამშობლოსთვისაა.სამშობლოსთვის ბრძოლაში კი ჯილდო არ არსებობს. ეს ბრძოლა გულის მოწოდებით იწყება“(წიკლაური, 1985:5).

ვაჟა-ფშაველა თავადვე აღიარებდა, რომ სამოციანელების ერთგული მოწაფე და მემკვიდრე იყო. როგორც გრიგოლ კიკნაძე აღნიშნავს, ,,სრულიად უეჭველია ვაჟას იდეაური ერთობა ილიასა და აკაკის საზოგადოებრივ მიზნებსა და მოღვაწეობასთან. უეჭველია, რომ ყოველი მასალა,ყოველი მოვლენა ვაჟას მიერ,პირველ ყოვლისაეთიკური თვალთახედვითაა შეფასებული და განსახიერებული. ამ მხრივაც მისი პოზიცია არსებითად ილიასა და აკაკის პოზიციაა, ე.ი. ვაჟა-ფშაველა ჩართულია იმდროინდელ საზოგადოებრივ მოძრაობაში,როგორც მისი აქტიური წევრი“ (კიკნაძე 1978: 14).

ილიას შეფასებით, ,,ვაჟა-ფშაველა ჩემს თვალში იმოდენად პატივსაცემი მწერალია, რომ მისის ნაწარმოების დასაფასებლად საკმაო არ არის მარტო ერთის კაცის აზრი და შთაბეჭდილება“.

მისი თაობის მოწინავე მწერლების მსგავსად, „ვაჟა-ფშაველას, როგორც რეალისტ მწერალს, თავისი შემოქმედებისა და მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ ამოცანად მიაჩნია მკითხველს გარკვევით აჩვენოს და აგრძნობინოს, ერთი მხრით, არსებული ცხოვრების ყალბი, მიუღებელი საფუძვლები, ხოლო, მეორე მხრით, რა

უნდა დაედვას საზოგადოებრივ ცხოვრებას საფუძვლად, რომ ადამიანის სიცოცხლე და მოქმედება წარიმართოს საღი, ბუნებრივი, სამართლიანი გზით, რომ ადამიანისათვის ცხოვრება სიამოვნებისა და დაკმაყოფილების ასპარეზად გადაიქცეს“ (ზანდუკელი 1953: 203-204).

ასეთ ეპოქაში, ჩვეულებრივ, ისმება საკითხი ცხოვრების ახალ საფუძველზე გარდაქმნისა, ახალი გზების ძიებისა. ჩნდება მოთხოვნილება ახალი ადამიანისა, რომელსაც შეუძლია თავისი გამჭრიახობით განსჭვრიტოს ცხოვრების განვითარების ჯერ კიდევ დაფარული გეზი, გამოარკვიოს, გაიგოს მისი არსი, საჭირო საფუძვლები და მასებიც ამ მიმართულებით წაიყვანოს (ზანდუკელი 1953: 91-92). სწორედ ახალი ადამიანის ძებნას, სულიერად ძლიერი ადამიანის აღზრდას ემსახურება ვაჟა ფშაველას შემოქმედება, რადგან მისთვის ,,კაი ყმა“ მხოლოდ ფიზიკურად ძლიერი ადამიანი არ არის, ის სულიერად ბევრად უფრო ძლიერი უნდა იყოს.

სწორედ შემოქმედის დანიშნულების ღრმა გააზრებით, საზოგადოებრივი ცხოვრების უკუღმართობით გამოწვეული სევდა-ნაღველითა და სურვილით, ერის მორალური აღზრდისა, არის შეპირობებული ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ზნეობრივი პარადიგმა.

ვაჟა-ფშაველა ყველაზე ღრმად ჩასწვდა მშობელი ერის ეთნოფსიქოლოგიას. ქართველი ხალხის მორალური ცნობიერების საფუძვლებს. არტურ ლაისტის დაკვირვებით, ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ეს თავისებურება, უპირველეს ყოვლისა, ილია ჭავჭავაძეს აღუნიშნავს: ,,ვაჟა-ფშაველაში ილია ხედავდა ძველი დროის ქართველობის ..რწმენათა და შეხედულებათა განხორციელებას“(ლაისტი 1963:50).

ილია ფერაძის შეფაებით, ვაჟა-ფშაველას პოეტური სამყარო ,,თავის მისწრაფებით და მსოფლმხედველობით შეკავშირებულია ქართველი ერის სულიერს ბუნებაში ჩამალულს,მრავალ საუკუნეში შემუშავებულს მსოფლმხედველობასთან“ (ფერაძე 1955: 331).

სერგი დანელიას შეხედულებით კი, ,,ვაჟას მსოფლგანცდაში მოცემულია უღრმესი ფენი ქართველური განცდისა“ (დანელია 2008: 40).

ზნეობრივი პრობლემებისადმი გამძაფრებული ინტერესის გამოვლენის თვალსაზრისით ქართულ სინამდვილეში ვაჟა-ფშაველა ერთ-ერთი გამორჩეული ხელოვანია. როგორც ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ცნობილი მკვლევარი გრიგოლ

კიკნაძე აღნიშნავს: ,,ეთიკური მიზანდასახულობა განსაზღვრავს საკითხების ვაჟასეულ შერჩევას, მის თემატიკას. როგორც კი მის თემატიკაში ჩავღრმავდებით, მაშინვე დავრწმუნდებით, რომ ეთიკურია ამ თემატიკის განსაზღვრის ვაჟასეული გზა და მისი ეთიკა არათუ დგას ეპოქის მოთხოვნათა დონეზე, არამედ წინაც უსწრებს მას…მაღლდება მასზე“ (კიკნაძე 2009: 99).

ვაჟა-ფშაველამ ადამიანის ძირითად საგნად ზნეობა აქცია. ვაჟასეული აფორიზმები გვაძლევს შესაძლებლობას ვისაუბროთ ზნეობრივ პარადიგმებზე.

„პარადიგმა - პარა-გვერდით, დეიგმა - მაგალითი, ნიმუში, ჩვენება - არის ის, რაც მოვლენის, შემთხვევის გვერდით დგას და აჩვენებს, ამტკიცებს მას, როგორც მაგალითს და ნიმუშს. ის აძლევს ფენომენს ყოფნის ძალას. ძალაუფლების ასეთი მინიჭება კი ნიმუშს, მაგალითს ამრავლებს და შემთხვევების განმსაზღვრელად, ხდომილების აუცილებელ წესად აქცევს. პარადიგმა გვევლინება როგორც წესი, კანონი, რომლის მიხედვითაც ეწყობა გარემო, რომლის მიხედვითაც ჩვენს გარემოში რაღაც ხდება. ასეთი განმარტებით - პარადიგმები არიან სამყაროს კანონები, მითები, ყველაფერი ის, რაც შემთხვევის განხორციელების წესს განსაზღვრავს. პარადიგმა-პარა-გვერდით, დეიგმა-სანახაობა, ბაზრობა, არის ის, რაც სანახაობის, ხილულის გვერდით დგას და გვიხსნის მას. ანუ, აპირობებს მის ასეთად და არა სხვაგვარად აღქმას. ამ შემთხვევაში პარადიგმა მსოფლმხედველობრივი ფენომენია, ის, რაც არის მსოფლმხეველობის, ანუ სამყაროში შემომხვედრების გარკვეული ინტერპრეტაციის საფუძველი“(ბარბაქაძე, 2008:34).

,,ვაჟას შემოქმედებითი მიდგომის ძირითადი პრინციპი ეთიკურია თავისი შინაარსით. ეს ნიშნავს, რომ ვაჟასთვის მთავარია ყველას და ყველაფრისადმი ადამიანური, სულგრძელი, ჰუმანური დამოკიდებულება. ამიტომაც ვაჟას შემოქმედება ჩვენს წინაშე დგას, როგორც დიდი, ნათელი მორალური მწვერვალი. სწორედ ამიტომ არის ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ჩვენი ლიტერატურის სულიერი მემკვიდრე“ (მინაშვილი, 2010:337).

ზნეობა იმ წესების, ნორმების ერთობლიობაა, რომელიც ამა თუ იმ საზოგადოებაში განსაზღვრავს ადამიანთა ურთიერთდამოკიდებულებას და ყოფაქცევას.

მორალის ფუნქციაა ადამიანთა ქცევის ნორმატიზებაა, საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველგვარ სფეროში ქცევის რეგულირება. „მორალურ მოთხოვნებს უპირობო აუცილებლობის ფორმა აქვს და ერთიანად ეხება ყველას, თუმცა კი ბრძანება არავისგან მოდის. მორალი სამართლისაგან განსხვავდება იმით, რომ ყოველი ადამიანის მიერ ზნეობრივი მოთხოვნების შესრულება კონტროლდება ყველას მიერ. მორალის მოთხოვნათა შესრულება სანქციონირდება მხოლოდ სულიერი ზემოქმედების ფორმებით (საზოგადოებრივი შეფასება, მოწონება ან გაკიცხვა), ამის გამო, სოციალური კონტროლის სხვა ფორმებთან შედარებით, იგი ცნობიერებისთვის უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს და შეიძლება გამოიხატოს ცნების ფორმითაც (რაციონალურად) და გრძნობითაც. მორალს სხვადასხვაგვარი ფორმა აქვს: ნორმა, მოვალეობა, პასუხისმგებლობა, სინდისი, ცნობიერება“ (ბერაია, 2004:351).

ვაჟა-ფშაველა ერთგვარი მსხვერპლი იყო, გამუდმებულ, ქარიშხლიან ემოციების, უძილო სიზმრების, ,,დაუსრულებელი კვნესისა“ და ყველაფრისა, რასაც კი ეწირება უმაღლესად მგრძნობელობა განვითარებული და ფიქრებდაუძინებელი შემოქმედი, რადგან შემოქმედებითი ამაღლება გულისხმობს ავტორის კერძო ცხოვრების სიმაღლესაც. ვტორის პირად ცხოვრებასა და შემოქმედებას შორის გაბმულია შინაგანი კავშირი, რომელიც ერთი შეხედვით არ ჩანს, დაკვირვებული თვალი კი მაშინვე ააშკარავებს. ვაჟამ მთელი საქართველო მიახედა ფშავის მთებისაკენ და მოწიწებით ქუდი მოახდევინა. ეს სასწაულს უდრიდა, რადგან საქართველოს გაოცება დიდი ხანია დავიწყებული ქონდა.

სად თავდება ვაჟა და იწყება ფშავი, - ძნელი გამოსარკვევია. თითქოს ფშავმა ვაჟას სახე მიიღო და ათასი ხმით სათქმელი, ათასი კაცის განცდილი, ვაჟამ გამოსთქვა და ისე, რომ ყოველ სიტყვას თითქოს ერთი კაცი კი არ ამბობს, არამედ რაღაც უხილავი ჯარი, რადგან პიროვნულობა თემობრივშია გადასული, ხოლო თემი პიროვნებაში მოთავსებულა. ასე ჩამოიძერწა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ხასიათიც. მკვლევარ ვ. კოტეტიშვილის აზრით, „ვაჟა-ფშაველა, თავისი განუზომელი გზნებისა და სტიქიური აზროვნების წყალობით, იმდენად წინ იყო წასული, ან უკეთ, იმდენად მაღლა, რომ ჩვენი კაბინეტური მწიგნობრობა ვერც კი შეიძლებს იმის დანახვას, რასაც ჩვენი პოეტი ხელშესახებად განიცდიდა. ჩვენ მხოლოდ უნდა ვიკვლიოთ ის

ამოცანები, რომელიც ფშავის მწვერვალებიდან ჩვენმა პოეტმა გადმოუყარა მხოლოდ საქართველოს კი არა, - მთელ კაცობრიობას. ამ ამოცანათა შორის კი ის ძირითადი, რომელიც მთელ თანამედროვე აზროვნებას და ამბებს საფუძვლად უდევს:ადამიანი. ეს არ არის ახალი საკითხი. კაცობრიობის ისტორია ყოველთვის ტრიალებდა ამ ამოცანის გარშემო, ფილოსოფია, მეცნიერება,ხელოვნება ამის გადაჭრას ეწირებოდა, მაგრამ ყოველ ეპოქას თავისი თვალსაზრისი ჰქონდა. ჩვენს ეპოქასაც თავისი პრიზმა აქვს, და ვაჟა-ფშაველაც თანამედროვე პრიზმით უცქერის, მხოლოდ ისე არა სჭრის, როგორც ამას ჩვენი საუკუნე მოითხოვს. იგი წუხს, რომ თანამედროვე ადამიანი ქუჩა-ბანდში არის მოქცეული, რომ ბუნება მუზეუმებში და წიგნებში ვერასოდეს ვერ ჩაეტევა. ბუნება დიდია და დიადი, მთელი კულტურა და ცივილიზაცია იქედან იღებს სათავეს და საბოლოო მიზანიც ის არის; ,,ორი რამ მაფიქრებს და მაღელვებს,როდესაც მათზე შეჩერდება ჩემი გონება: ვარსკვლავებით მოჭედილი ცა ჩემს ზევით,და ზნეობრივი კანონი ჩემში“, - ამბობდა ფილოსოფოსი კანტი. ეს იყო ვაჟა-ფშაველას ძირითადი ამოცანაც და მთელი მისი შემოქმედებაც ამას ეწირება“ (კოტეტიშვილი, 1959:592-93).

ვაჟა-ფშაველას შემოქმედება ,,ჯერ გამოუცნობი“ ქვეყნის კალთაზე იშლება. ე.ი. ბუნების წიაღში. მან დიდი პოეტური ნიჭითა და სრული შეგნებით აალაპარაკა თავისი ,,ველური“ გმირები, რადგან იგი, ადამიანობის სათავეს ეძებდა, სადაც ბუნება და კაცი ერთი თლიანობაა. მას, თავისი მინდიას მსგავსად, ესმის ბგერით უთქმელი, იგი ხედავს ბუნების ზრდის ყოველ პროცესს. მეტიც, ვაჟა თავადაც განიცდიდა საკუთარ პერსონაჟთა ტკივივილს:

,,თავში ვცემ გუშინდელ სატრფოს,
მთასა, წყაროს და იასა,
ალუდას,ზვიადაურსა
და ლუხუმს თავაზიანსა.
ლელასა, შუბით აღჭურვილს,
კვირიას კონკებიანსა.
ვსცემ და დავყვირი: ,,მე ჩემი
ყოველივე ვთქვი სათქმელი;
ხმა ამოიღეთ, თაქვენცა სთქვით,

მე დავიყბედე რამდენი…

ხელ-ფეხს მიბოჭავს ბორკილი,

გულზედაც ლოდი მედება,

ვტირი ჩუმადა, ქურდულად,

ვიწვები, ცეცხლი მედება…“

(ვაჟა-ფშაველა, ,,მე ჩონგურს აღარ ვაჟღერებ“, 1986:42)

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ვაჟას რწმენით, პოეზიას, სიმღერას უნდა ასაზრდოებდეს ,,ხმა სიმართლისა, ხმა სათნოების, თავის განწირვის, ტრფიალებისა „ნამდვილ სიმღერას მხოლოდ ამგვარ მტკიცე ზნეობრივ იდეალთა არსებობის პირობებში აქვს მოპოვებული ჭეშმარიტად სახალხო მნიშვნელობა. ასეთ შემთხვევაში შეიძლება სიმღერა ადამიანისათვის ,,ჰაერად იქცეს შესასუნთქავად“, გაებას ნისლად ქვეყნისა პირსა“, ე.ი. ადამიანური არსებობის ერთ-ერთ ფორმადაა გამოცხადებული სიმღერით, პოეზიით ტკბობა“(ევგენიძე, 1982:23). ცხადია, სულიერად ასეთ სიმაღლეზე მყოფი მგოსანი, ვაჟას პოეტური მრწამსით, ,,ღმერთთან გრძნობის ხიდით“დადის და მას არა აქვს საერთო ,,წვრილმანს,ჩანჩალა აზრებთან“ (,,მე შენის ტრფობით ვეღარ გავძეღ“).

სიმღერის ამ ფაქიზი და გამაკეთილშობილებელი თვისების გამოა, რომ პოეტი არ იღლება სიმღერით. ,,მიტომ ვმღერ დაუცხრომელად, საფლავშიც ჩავალ მღერითა“. (,,ბალღი რასაც ვხედავდი“), წერს პოეტი ერთგან და მისთვის ამოუწურავია სიმღერის მასალა,იგი ყველგან პოულობს სიმღერის საბაბს,სადაც სიცოცხლეს ხედავს და თვით უსულო საგნებშიც კი შეაქვს სიცოცხლის შინაარსი, რათა სიმღერის შესაძლებლობები გააფართოვოს;აკი წერს კიდეც პოეტი ,,უსულო საგნებს სული ჩავბერეო“.

ძალზე ფართოა ზნეობრივ პრობლემათა სპექტრი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში. ამ თვალსაზრისით მწერლის მხატვრული ნააზრევის ამომწურავი ანალიზი, ბუნებრივია, აღემატება ერთი მკვლევრის შესაძლებლობებს. იგი მრავალწლიან სამეცნიერო დაკვირვებასა და შესწავლას მოითხოვს, ამიტომ ჩვენი ნაშრომის ამოცანა ცხადია, ვერ იქნება ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში წამოჭრილი ყველა ეთიკური პრობლემის განხილვა. ჩვენი სამაგისტრო **თემის მიზანია** იმ ზნეობრივ პარადიგმათა ჯეროვანი წარმოჩენა, რომელიც ვაჟა-ფშაველას პოეტური

მემკვიდრეობის ეთიკურ საფუძველს ქმნის. **თემის აქტუალობას** განსაზღვრავს ვაჟა-ფშაველას შემოქმედების უდიდესი ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობა, ასევე ის წვლილი, რომელიც დიდმა ჰუმანისტმა მწერალმა შეიტანა ქართველი მკითხველის მორალურ-ზნეობრივი სრულყოფის საქმეში.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე განისაზღვრება უშუალოდ თემის აქტუალობის, საკვლევი მასალის კომპლექსური ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებითა და პოეტის ეროვნული თვითშეგნებისა და შემოქმედებითი ხელწერის თავისებურებათა წარმოჩენით.

თემა ნაკვლევია **ისტორიულ-შედარებითი და ტიპოლოგიური მეთოდებით.**

თავი I

სამშობლოს სიყვარული, როგორც ზნეობრივი პარადიგმა

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში უამრავი მოტივის გამოყოფა არის შესაძლებელი: ზნეობრივის, მორალურის, რელიგიურის, სატრფიალოს. თუმცა, ამ დიდი შემოქმედის თხზულებათა ერთ-ერთი მთავარი მოტივი სამშობლოს სიყვარულითაა ნასაზრდოები. ვაჟას, როგორც სამშობლოს სამსახურში ჯანგაცვეთილ მამულიშვილს, შეუძლებელია, ზნესრულ ადამიანად, გმირად ან ვაჟკაცად მიაჩნდეს ის, ვისაც არ უყვარს თავისი სამშობლო, მიწა-წყალი, ჰაერი, ენა, სარწმუნოება, მამული, არ ზრუნავს მასზე. ასეთი ადამიანი, ვაჟას რწმენით, ვერც ხალხის სიყვარულს იმსახურებს და ვერც ღვთისას. გენიალურმა მწერალმა უამრავი ლექსი უძღვნა სამშობლოს სიყვარულსა და მამულიშვილთა ღვაწლს. ქართული პოეზიის არწივისთვის პატივისცემის ღირსი მხოლოდ სამშობლოს ბედზე მოფიქრალი პატრიოტი ადამიანი იყო:

,,დიდებულს იმას ვეძახი,
ვინც ანგარიშის გარეთა
ქვეყნის ჭირსა და ვარამზე
დაიქვითინებს მწარეთა.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ნაღველი“, 1986:27)

ვაჟა-ფშაველა სამშობლოს სიყვარულსაც ბუნების წიაღში დაეძებს და პოულობს: მთას დაუმღერებს, ეს მთა მისი სამშობლოა, შვლის ნუკრს რომ ააჩივლებს, ესეც იგივეა, მისი ქვეყნის ჩივილი. ხმელი წიფელიც საქართველოს სიმბოლოა. ვაჟას ეძვირფასება მშობლიური ბუნება და ყველაფერს, როგორც საკუთრებას, ისე უყურებს:

მთლად მე მეკუთვნის ქვეყანა;
მთაში-მთა,ბარად-ბარია;
ზღვა და ხმელეთი ერთიან,
ცას-ვარსკვლავების ჯარია;
დილით მზე მანათობელი,

ღამის გუშაგი მთვარია.

(ვაჟა-ფშაველა, ,,სიმღერა“ ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს,1986:38)

ვაჟა რამდენიმე აუცილებელ პირობას უყენებს პოეტს. მისი აზრით, იგი უნდა იყოს პატრიოტი, ჩაგრულთა ქომაგი, საქმიანი (,,მუდამ ვკოწიწობ,ვჩუჩუნებ“), დაუხარბებელი (,,ცოტას ვჯერდები“), კეთილი (,,ბეჩავთაც გავუზიარებ, სიკეთისათვის სიკეთეს, არავის არავის დავუგვიანებ“), ტაქტიანი (,,ავის თქმით,ავის ქცევითა გულს არვის დავუზიანებ“).

პოეტი ძილშიც სამშობლოზე ფიქრსა და მისი კეთილდღეობისათვის ლოცვას მოითხოვს, რითაც გვაგონებს ილიას სიტყვებს ,,მგზავრის წერილებიდან“, რომ მამულიშვილს ძილშიც არ უნდა ეძინოს ,,ქვეყნის უბედურებით გულ-აღტყინებულს“.

,,ხარს ვგევარ ნაიალაღარს,
რქით მიწასა ვჩხვერ,ვბუბუნებ:
ღმერთო,სამშობლო მიცოცხლე,
მძინარიც ამას ვდუდუნებ“…

პოეტი მთელი ძალით გრძნობდა სამშობლოს ბუნებას, ყოველ სულიერსა და უსულოს, ხორციელსა და უხორცოს, მიწიერსა და ზეციერს. ტყუილად ხომ არ ამბობდა კვეხნანარევი სიამაყით:

უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა
და როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა.
მადლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა!

(ვაჟა-ფშაველა, ,,ნუგეში მგოსნისა“ ,1996:33)

ვაჟას პოეზიის საგანი უპირველესად მისი სამშობლოს - ,,ტურფა საქართველოს სახეა“. პოეტი სამშობლოზე სიმღერისას ,,ნეტარობს ნეტარებითა ლაღობს და ვერ ,,ძღება მღერითა“ (,,ვნახე სამოთხე ამ ქვეყნად“).

„ცნება პატრიოტიზმი ადამიანისაგან თავისი სამშობლოს და ხალხის სიყვარულს, მათთვის თავდადებას გულისხმობს,ხოლო სიყვარული გრძნობათა

სფეროს განეკუთვნება. გრძნობები კი, ისევე როგორც ადამიანური სამყაროს ყველა მოვლენა, უპირველეს ყოვლისა, მოქმედებასა და ქცევაში ვლინდება. ადამიანის გრძნობების შესახებ შეგვიძლია განვსაჯოთ მისი მსჯელობით, სიტყვებით, როდესაც იგი უშუალოდ ხსნის მათში საკუთარ გრძნობათა შინაარსს, ანდა იმის მიხედვით, თუ ადამიანი როგორ, რა ნიუანსით ლაპარაკობს ობიექტზე, რომელმაც მათში სათანადო გრძნობა გამოიწვია. პატრიოტული გრძნობა მაღალი სახის, კერძოდ, მორალურ გრძნობათა კლასს მიეკუთვნება. ხოლო მორალური გრძნობის უპირველეს თავისებურებას ის შეადგენს, რომ იგი განსაკუთრებულად სოციალურ ხასიათს ატარებს“(ბეჟიტაძე, 1982:177).

ვაჟას შემოქმედებაში სამშობლოს სიყვარული ნაწილია ღმერთის სიყვარულის. გველსაც კი, ,,ბევრის ცოდვების მოქმედსა გადაუბრუნდა გუნება“, როცა სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ლუხუმი ნახა სასიკვდილოდ დაჭრილი. უმკურნალა მას და ფეხზე წამოაყენა. ვაჟას რწმენით, „თავისუფლება და ბედნიერება სინონიმებია“. ასწორედ თავისუფლების მნიშვნელობაზე საუბრობს იგი წერილში „რა არის თავისუფლება?“

ვაჟა-ფშაველასთვის სამშობლოს სიყვარული უპირველესად მისთვის თავდადებაში ვლინდება, მისი კეთილდღეობისათვის ზრუნვასა და დაცვაში:

,,ვერ მივცემ მტერსა მამულსა
საჯიჯგნად, დასაზიანად“;

(ვაჟა-ფშაველა, „დამსეტყვე ცაო“,1986: 52)

,,არ მივსცემთ მტერსა სამშობლოს
გულში დავიცემთ დანასა,
არ მივცემთ უცხო ტომისას
თავის მამულს ღალასა“

(ვაჟა-ფშაველა, „მხედ. ძვ. სიმღერა“, 1986: 38)

საერთოდ ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში პატრიოტიზმი ძალიან ძლიერ და ამავე დროს ფაქიზ გრძნობადაა წარმოსახული. მწერლისათვის ამ გრძნობის არსებობის საკითხი არასოდეს ეჭვის ქვეშ არ დგება. იგი მოიცავს მშობლიური გარემოს, თანამემამულეთა სიყვარულს და ვრცელდება ვაჟას სამყაროს ყველა კონკრეტულ მოვლენაზე. მწერლისათვის ძვირფასია ,,მთა, ტყე, მდინარე, ყვავილი

მშობელის მიწის მდელოსი“. მისთვის ფასეულია არა მთა საერთოდ, არამედ ის მთა, რომელიც მის მხარეშია, ის მდინარე, რომელიც მის კუთხეში ჩამოდის, ის ყვავილი,რომელიც მის სამშობვლოში ხარობს (ბეჟიტაძე, 1982:172). ამიტომ პოეტი, როგორც გულანთებული მამულიშვილი, მუდამ მზადაა ფხიზლად იდგეს სამშობლოს უსაფრთხოების სადარაჯოზე, ამიტომ აცხადებს მტრის გასაგონად:

,,სამშობლოს არვის წავართმევთ
ჩვენც ნურვინ შეგვეცილება
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მტერსაც კი გაეცინება“.

(ვაჟა-ფშაველა, „ მხედ. ძვ. სიმღერა “, 1986:38)

ვაჟა-ფშაველასათვის მარადიული სატკივარი იყო ქვეყნის უბედურება, თუ კი საჭირო იქნებოდა, ქვეყნის საკეთილდღეოდ თავსაც გაწირავდა და ეს მისთვის უდიდესი ბედნიერება იქნებოდა (,,მთას ვიყავ“ სიმღერა,1986:21):

,,საკეთილდღეო ქვეყნისა
მედვა სულად და გულადა,
სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი
მქონდა მეორე რჯულულადა“.

ვაჟა-ფშაველა სამშობლოს კეთილდღეობისათვის მლოცველია (სიმღერა ,,ახალგაზრდა მგოსნებს“ 1896:38) :

,,ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე!
მძინარეც ამას ვდუდუნებ“.

ჩვენი პოეტი, როგორც უკანასკნელი მოჰიკანი, დარაჯად ედგა მშობლიურ მიწა-წყალს: ,,სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილებაო“. სამშობლოს გასაჭირი მისთვის სულიერი ტანჯვის მომტანი იყო, არ შეეძლო ბედნიერად ეცხოვრა, თუ მის ჭირ-ვარამს გაიგებდა (ვაჟა-ფშაველა, ,,უბედოდ ბედნიერი“,1986:24):

,,ვიდრე ტანჯვაში გხედავ უბედურს,
არ შეიძლება უნდა ვიტანჯო“.

ვაჟა-ფშაველა მოუწოდებს მკითხველს ბრძოლისაკენ. მტერს არ უნდა დანებდე, სამშობლოს გადასარჩენად თავიც კი უნდა გაწირო: ,,ნუ დაისვენებ, ებრძოლე მტერს მინამ გიდგია სულიო“ (ვაჟა-ფშაველა, ,,პაპიჩემის ანდერძი“1986:38).

სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა,
ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს,
ნამუსი დავიცავითა.
რუსეთში მყოფი ვნატრულობ,
სამშობლო ვნახო თვალითა.
ერთი რამ უნდა გაუწყო,
გავკვირვებულვართ ამითა:
როცა ომი გვაქვს ქართვლის ჯარს,
ნათელი გვიძღვის ღამითა;
კაცი-რამ ლურჯცხენიანი,
ამოღებულის ხმალითა,
მაღლიდან თავზე დაგვბრუნავს
ტურფა იერით,ტანითა.
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდის კაეშანითა,
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანითა.

(,,ფშაველი ჯარისკაცის წერილი“,ვაჟა-ფშაველა, 1986:94)

პოეტი იტოვებს იმის იმედს, რომ სამშობლოს საკეთილდღეოდ გაღებული სისხლი უკვალოდ არ ჩაივლის:

„ნეტავ, თუ დაგვიფასდება,
ქართველთა შვილებს ამაგი , -
არ იქცა საყოვ-ყორნედა
ჩვენი ლამაზი ალაგი.“

(ვაჟა-ფშაველა, ფშაველი ჯარისკაცის წერილი“, 1986 :94)

ქვეყნის ტკივილით შეწუხებული პოეტი აცნობიერებს, რომ მამულიშვილთა, ზნეობრივ გმირთა, სიმცირე სამშობლოსათვის საზიანოა, ამიტომ დაეძებს გმირებს და არა მხოლოდ დაეძებს, არამედ ცდილობს თავადაც აღზარდოს ახალგაზრდა მკითხველში მამულიშვილი, შთაუნერგოს მას საღვთო და საერო იდეალები, სწორი

ზნეობრივი მაგალითი მისცეს მათ. ამისათვის კი წარსულს, ჩვენი ქვეყნის მდიდარ ისტორიას იშველიებს. ,,კვალად ამიდგნენ თვალ-წინა, წარსულთა დროთა გმირებიო“:

„მამა-პაპათა აკლდამებიდან
გამოვიწვიე გმირთა აჩრდული
და დავუკოცნე იმათ მკლავები,
სახე შუბის წვრით და ხმლით აჩრჩნილი.“
(ვაჟა-ფშაველა, „ნუგეში მგოსნისა“,1986:33)

აღსანიშნავია, რომ ვაჟას გმირები ხალხის წრიდან ჰყავს მოყვანილი. განსაკუთრებით კი თამარი და ერეკლე უყვარს. ამ ორ სახელში, თითქოს, დაკავშირებულია ის სინაზე და ვაჟკაცობა, რომელიც თვით ვაჟა-ფშაველას პოეტურ ბუნებას ახასიათებდა. ,,ჩვენო ლამაზო დედაო“, - ასე ეალერსება პოეტი სათაყვანებელ მეფე-ქალს - თამარს. ხოლო ზაფხულის მშვენიერ ბუნებას ასე მიმართავს: ,,მამშვენო თვალთა, სმენისა, თამარ დედოფლის სახეო“…

პატარა კახის გმირობის დასახატად, პოეტს ეს გამოთქმა ჰყოფნის ,,თამარ დედოფლის ნაკოცნი, ბეჭდად უსვია ხმალზედაო“.

ვაჟა-ფშაველა, შეიძლება ითქვას, რომ თამარის რაინდია. ეს სიყვარულიც იმდენად დიდია, რომ მთვარესაც მხოლოდ ამიტომ შეჰნატრის: ,,გმირთა ჩემ მამა-პაპათა გაგინათებავ ცივითა სახე და ბრტყელი მხარ-ბეჭი, დანასხურების სხივითაო“. თითქოს შურს კიდეც ამ იდუმალი მნათობის:

,,ბევრჯელ ქურდულად ჰსინჯავდი
იმ ჩვენს კურთხეულ თამარსა,
სარკმლიდან უთვალთვალებდი
იმის თვალ-წარბსა მწყაზარსა,
გინდოდა მისი სიტურფე
რომ შეგესრუტა სრულადა
ვერ შესძლე, შავი ნაღველი
მიტომ ჩაგიჯდა გულადა,
და ჭორფლი კუშიანისა
სახეს გაქვს გადაკრულადა“…

(ვაჟა-ფშაველა, „მთვარეო,ბევრმა გიმღერა “, 1986:93)

ვაჟა-ფშაველას აზრით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წარსულს, საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებულ ისტორიულ იდეალს ეროვნული ყოფისას. სწორედ იგია შემოქმედებითი ბიძგის მიმცემი თანამედროვეობისათვის. წარსული უფრო მეტად სანატრელი და სათაყვანებელია ხალხისათვის და მას სახელმძღვანელო მნიშვნელობა აქვს ერის სამომავლო მიზნების განსაზაზღვრად: ,,ყველა ერს, რომელსაც მართლა ერობა ეთქმის, აქვს ისტორია, აქვს წარსული, აქვს საკუთარი ისტორიული იდეალი, ანუ ისტორიული ანდერძი… წარსულის დროის სიკეთე , ქველობა და გმირობა აღაფრთოვანებს, ასულდგმულებს აწმყო დროის ერს, რომელსაც ისტორია არა აქვს. რომელსაც ხატად წინ არ უდგას საკუთარის ისტორიის ანდერძიო… რომელ ერს უყვარს ისე აწმყო და მომავალი,როგორც წარსული? ვერც ერთს ვერ დამისახელებ “(ვაჟა-ფშაველა 1979: 190-191).

ვაჟა-ფშაველასთვის უცხოა პუბლიცისტური ხასიათის პატრიოტიკა. მან პოეზიის ეს ფორმა არ მიიღო და პოეტური სახეებით სთქვა ის, რასაც მანამდე იშვიათად ახერხებდნენ. ვაჟა რომ მთას უმღერის, ეს მისი ქვეყანაა, მთვარეც იმავე მიზნით არის შეყვარებული, ნისლიც იმასვე ამბობს. ხე, ქვა, ბალახი… ერთი სიტყვით, რაღაც მისნური ხელით, ყველგან გააბნია ეს თავისი გრძნობა. მაგალითად, როგორც ცნობილია, ლექსში „არწივი“ ფრინველთა მეფე ვაჟას თავისი მრავალტანჯული სამშობლოს სიმბოლოდ ჰყავს გამოყვანილი. ის, რაც ბუნებაში ყვავ-ყორნებსა და არწივს შორის ხდება, აქ სოციალურ სიმაღლეზეა აყვანილი -ა რწივი საქართველოა, ყვავ-ყორნები - მისი შინა თუ გარეული მტრები:

არწივი ვნახე დაჭრილი
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულისპირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა,ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,
თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს

გაშლილს,გაფანტულს ველადა!

(ვაჟა-ფშაველა, ,,არწივი“, 1986:80))

დიდი გრძნობით და მღელვარებითაა დაწერილი ლექსი: ,,ფშაველი ჯარისკაცის წერილი“, რომელიც ნათელი გამოხატულებაა გულანთებული მამულიშვილის საბრძოლო მზაობისა და იმის რწმენისა, რომ სამშობლოს დაცვის ზნეობრივ მისწრაფებას წმინდანთა მფარველბა არასდროს მოაკლდება.

„ხვალ ისევ ომში გვიწვევენ
გაკვირვებულნი გარჯითა,
თამარ დედოფლის ბარტყების
გულოვანობით,მაჯითა.
ვცდილობთ,რომ საქართველოსა
ვუშველოთ ჩვენის ხარჯითა.
სამშობლოს ბედნიერება
არ გვსურს ვიყიდოთ ვალითა,
ნაღდს ვაძლევთ ჯანს და სიცოცხლეს,
ნამუსი დავიცავითა.
რუსეთში მყოფი ვნატრულობ,
სამშობლო ვნახო თვალითა.
ერთი რამ უნდა გაუწყო,
გაკვირვებულვართ ამითა:
როცა ომი გვაქვ ქართვლის ჯარს,
ნათელი გვიძღვის ღამითა:
კაცი რამ ლურჯცხენიანი,
ამოღებულის ხმალითა,
მაღლიდან თავზე დაგვბრუნავს
ტურფა იერით,ტანითა.
სახე აქვს შავად მოცული
მას დიდის კაეშანითა.
ეს ჩვენი ჩუმი მფარველი
ლაშარის ჯვარად ვსცანითა.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ფშაველი ჯარისკაცის წერილი“,1986:94)

ვაჟასთვის მკვლელობა, სისხლის ღვრა გამოუსყიდავი დანაშაული და ცოდვაა. ამავე დროს იგი სრულებით არ წუხს, პირიქით, აღტაცებულია და ხოტბას ასხამს მტრის სიკვდილს: ,,სიკვდილი თვითონ უფალსა გაუჩენია მტრისადა“ (,,ბახტრიონი“) ჯარისკაცი სიამაყით და გამამხნევებლად სწერს დედას:

,,მშვიდობით,დაჰკრეს საყვირსა,..

ლაჩარის შვილის ყოლაზე“.

„რა არის ეს? ვაჟა ზნეობრივ შეხედულებათა წინააღმდეგობაში მოექცა,თუ დაჩაგრული ერის შვილში შურისგების გრძნობამ გაიმარჯვა?მოყვასის სიყვარულს ამჯობინა სამაგიეროს მიზღვა? ამ კითხვას,ალბათ,ორი პასუხი შეიძლება მოეძებნოს. პირველი ის, რომ სამშობლოს დაცვა, მისი თავისუფლებისათვის ბრძოლ, ისევე წმიდსათაწმიდა და დიდია, როგორც ღმერთის სიყვარული, როგორც მოყვასის სიყვარული. „ხშირად სიკვდილში კაცი სიცოცხლეს პოულობს. ბუნებაც ამას ალბათ იმიტომ ჩაადენინებს კაცს ,რომ იმისათვის სიკვდილი,რაც კაცს უყვარს და ებრალება,იგივე სიცოცხლეა“(,,ფიქრები“), ამიტომ, თუ საჭიროა, სამშობლოს კეთილდღეობისთვის დასაშვებია სისხლისღვრა. ეს არ არის ცოდვა, იგი მადლია. ეს არ ეწინააღმდეგება ქრისტიანულ მორალს. თავად იესო ბრძანებს: ,,ყოველ ხეს, რომელიც კეთილ ნაყოფს არ მოისხამს, მოჭრიან და ცეცხლში ჩააგდებენ“ (მათე, III,10) (აკაკი ბაქრაძე).

ვაჟა მხოლოდ საკუთარ ქვეყანაზე არ ფიქრობს. მისი ფიქრი უნიველსარულია. არავინ არ უნდა იჩაგრებოდეს. თავისუფლება თანდაყოლილი ნიჭია ადამიანისა თუ ერისათვის. ეს უნივერსალური ქადაგება კი იმავე დროს საქართველოზე ფიქრს უდრიდა. და ასეთი გზით, ვაჟა ფშაველამ ისეთი პატრიოტიკა შექმნა, რომელიც სამუდამოდ იარსებებს. მან ეროვნული გრძნობის ის მუდმივი ელემენტები ამოიღო, ის საყოველთაო თუ საკაცობრიო თვისებები, რომელიც ერთგვარ მარადისობას შეიცავენ. ის ძალმომრეობისა და მტაცებლობის წინააღმდეგ აღიმართება და ხან ,,შვლის ნუკრის“ სახით, ხან ,,ხმელი წიფელის“, ხან ,,წყაროსი“ და სხვ. გვეუბნება ,,ადგილის დედის“ ზღაპარს. ეს ზღაპარი კვნესისა და საყვედურების ასხმულაა. მიმართული კი ადამიანებისკენ არის: ,,ოჰ, ადამიანებო! თქვენს ხერხსა და ღონეზე ხართ დაიმედებულნი. „მოსთქვამს შვლის ნუკრი, ,,და ჩვენი“ ჯავრი არა გაქვთ… არა

ჰგრძნობთ,რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არა ჰგრძნობთ თქვენის შეუბრალებელის გულით, რომ ჩვენც გვიყვარს სიცოცხლე, ბუნება…

ვაჟა-ფშაველას აზროვნების მასშტაბურობის ნათელ დასტურად გვევლინება წერილი ,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. კოსმოპოლიტიზმსა და პატრიოტიზმის ურთიერთდამოკიდებულების პრობლემა ვაჟა-ფშაველას მიერ ეთიკურ ჭრილშია დასმული და განხილული.

ვაჟას რწმენით, შეუძლებელია, ადამიანს საკუთარი ერი გამორჩეულად არ უყვარდეს. მწერლის აზრით, ყოველ ნორმალურ ინდივიდს მშობლიური გარემოსადმი სრულიად განსაკუთრებული ემოციური დამოკიდებულება უყალიბდება: ,,ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათას ადგილას ხომ არ იბადება!.. თუ ვინმე იტყვის ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 254).

ვაჟა-ფშაველას შეხედულებით, ეროვნული კუთხის უარყოფა ნიშნავს საკაცობრიო მრავალფეროვნებასა და უნივერსალიზმზე უარის თქმას, ბუნების წესების წინააღმდეგ გალაშქრებას: ,,ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო,ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა,რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარყოს თავისი თავი“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 254).

,,ჩვენებური“, ყოვლად მახინჯი კოსმოპოლიტიზმისაგან განსხვავებით,ვაჟა-ფშაველა აყალიბებს ამ ტერმინის საკუთარ გაგებას: ,,კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე,რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს“ (ვაჟა-ფშაველა 1964ა: 254).

ამგვარად გაგებულ კოსმოპოლიტზმსა და პატრიოტიზმს შორის, მწერლის თქმით, ცხადია, არ არსებობს შინაგანი წინააღმდეგობა. შესაბამისად, ,,ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია ისე,როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია. როგორ? ასე, რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ,ქონებრივ და ზნეობრივ,ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას განვითარებას,კეთილდღეობას"(ვაჯა-ფშაველა 1964ა: 254).

გენიალური შემოქმედი ერთდროულადაა როგორც ნაციონალური, ისე ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი. ვაჟას თქმით, გენიოსი სახეა თავისი ხალხისა, რადგან მის შემოქმედებაში სიღრმისეულადაა ასახული ერის ეთნოფსიქოლოგია და ეთიკურ-ესთეტიკური იდეალები: ,,დიდის სიყვარულის მოხვეჭა… მხოლოდ დიადს ადამიანს, გენიოსს შეუძლიან, რომელიც ღვიძლი შვილია თავის ერისა, მისი სულის, სისხლის და ხასიათის წარმომადგენელია, რომელშიაც მთელ ერს, მის კულტურულ ავლადიდებას, როგორც ფოკუსში მოუყრია თავი. იგი ამავე დროს სარკეა თავის ერისა" (ვაჟა-ფშაველა 1994ა: 304).

მართალია, გენიოსთა შემოქმედება ეროვნულ ნიადაგზეა ამოზრდილი, მაგრამ ზოგადკაცობრიულია თავისი მასშტაბებით, რამდენადაც უნივერსალურობისაკენ მიისწრაფვის: ,,ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო-მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა… გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს - არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება…" (ვაჟა-ფშაველა 1964: 253)

როგორც ჭეშმარიტად ,,შემოქმედებითი ნაციონალიზმის" მიმდევარი,ვაჯა-ფშაველა დაუცხრომლად მოუწოდებდა ინტელიგენციას, გაეცნობიერებინა ერის სულიერი, კულტურულ-ნაციონალური აღზრდის აუცილებლობა: თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა

მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურობა გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 252).

ლექსი ,,ნუგეში მგოსნის“ ნათელი გაცხადებაა ვაჟას ცხოვრებისეული საზრისისა, რაც სამშობლოზე ზრუნვაში გამოიხატება:

„ ქვეყნის სარგოდა ფიქრით განმსჭვალულს
ავი მე არა ჩამიდენია;
ვინ რას გაიგებს, ან ვინ რა იცის,
რამდენჯერ ცხარე ცრემლი მდენია?!
ვნუგეშობ ამით: მიწას მიწურად
და ცას ციურად მივე თავაზი,
არ მიბობღნია დაბლა ქვემძრომად,
მაღლა დავფრინავ, როგორც გავაზი:
ჩემს ტურფა მხარეს მკერდს დავაკერე
სიტყვა საგმირო, სიტყვა ლამაზი,
და ამ ჩემს მღერას ყურს რომ უგდებენ
ქართლელ-კახელი, იმერ-აფხაზი...
მე არ ვუთხარი მოძმესა ორმო,
მთხრელი შევმურე კუპრით და ლაფით;
არვის გავტაცე მე ლუკმა-პური,
სხვასაც გავუყავ ნაშოვნი ჯაფით,
და სიყვარული ჩემს თანამოძმეთ
ვაუწყე მედგრად ნაღარით, დაფით.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ნუგეში მგოსნის“1986:33)

ასეთია დიდი პოეტის მოქალაქეობრივი მრწამსი. ვაჟა ,,თავისი უტყუარი გენიალური ინტუიციით წინ უსწრებს დიდ მოაზროვნეთა დაკვირვებებს და მხატვრული ენით მიაქვს მკითხველთან ეპოქის სულიერი წყურვილი“ (ევგენიძე 2003: 377). ტყუილად კი არ ამობობს:

„სიტყვა გადვაგდე ერშია,
სიტყვა,რა სიტყვა?ეული,
ტანჯული გულის ნაცრემლი,

ჯავრით ნაკვები სნეული,

გულ-გაგმირული, ბეჩავი,

თავს მანდილ ჩამოხეული“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,სიტყვა ეული“ 1986: 16)

მართლაც, ,,ტანჯული გულის ნაცრემლია“ მისი სიტყვა, ,,ჯავრით ნაკვები“, მაგრამ ,,სნეული“ და ,,ბეჩავი“ კი არა, პირიქით, რიყის ქვებსავით ხმაურიანი, სწორედ ამიტომ სწვდება იგი მკითხველის გულს.

თავი II

ვაჟას რელიგიური მრწამსი

ვაჟა-ფშაველას ზნეობრივი იდეები ღვთის რწმენითაა ნასაზრდოები. ამის ნათელი მაგალითია ამ დიდი კალმოსანის პოეტური მემკვიდრეობა. აკი ამბობს კიდეც, - ,,სანამა ვცოცხლობ, გულში მაქვს კეთილსა ვყვანდე ზიარად“ (ვაჟა-ფშაველა, ,,დამსეტყვე ცაო“, 1986:52). ვაჟას შემოქმედების ზნეობრივი პარადიგმა აქტიური სიკეთისქმნადობით განისაზღვრება.

ვაჟას რწმენით, ხილული და უხილავი სამყარო ღვთის შემოქმედებაა: ,,ვიცანი ღმერთო სამყარო, ეს შენი დანაბადები“ (,,ვიცანი ღმერთო,სამყარო“), პოეტის თქმით, ადამიანის არსებობას უდიდესი ღვთიური აზრი აქვს: ,,მრწამს აზრი კაცთა სიცოცხლის, მრწამს საიდუმლო სოფლისა“(,,შემოგვხიზნეთ,ქედებო“).

კაცობრიობის ისტორია ვაჟას კეთილი და ბოროტი ძალების ბრძოლის მარადიულ ასპარეზად წარმოუდგება:

ერთი მხრით ცოდვა დამდგარა
და მერე მხრით-მადლია.
მადლსა ჰსურს ცოდვა დაჩაგროს,
ცოდვა კეთილის ადლია.
უნდა იბრძოლონ მანამდე,
სანამ ქვეყანა არია,
მანამდე ვარსკვლავებია,
მანამდე მზე და მთვარეა.

(ვაჟა-ფშაველა,,,ქებათა ქება“, 2006:214)

ვაჟას რწმენით, მიწიერი შემოქმედი, ანუ პოეტი,ზეციერი შემოქმედის, ანუ ღმერთის წილნაყარია („მადლი მფენია მარჯვენაზედა იმ შემოქმედის, მაღალის

ღვთისა!“), ამიტომ პოეტს შეუძლია „უსულო საგნებს სული შთაბეროს“, როგორც უზენაესს. პოეტის ღმერთთან ურთიერთობაზე ვაჟა ხშირად ლაპარაკობს.

„მთას ვიყავ, მწვერვალზე ვიდეგ,
თვალთ წინ მეფინა ქვეყანა,
გულზე მესვენა მზე-მთვარე,
ვლაპარაკობდე ღმერთთანა.“
(ვაჟა-ფშაველა, ,,მთას ვიყავ“,1986:70)

ან კიდევ:

,,მადლი მფენია მარჯვენაზედა
იმ შემოქმედის, მაღალის ღვთისა“!
(ვაჟა-ფშაველა, ,,ნუგეში მგოსნისა“,1986:33)

ვაჟას ლირიკაში ნათლადაა გამოხატული მწერლის ღმერთთან სიახლოვე. არაერთ ლექსში ესაუბრება მწერალი უფალს. ვაჟას სურვილიც ხომ სწორედ ეს არის:

,,და წარვსდგე ჩემს მეუფესთან
ხელთ ანთებული ცვილითა“.
(ვაჟა-ფშაველა, ,,მოლოდინი“ 1986:56)

ანუ სწორი ცხოვრებით უნდა იცხოვროს ამქვეყნად, რომ იმქვეყნად ,,ხელთ ანთებული ცვილით“ შეძლოს უფალთან მისვლა.

ვაჟა-ფშაველა გმობს ყოველივე ავს, ბოროტს (ვაჟა-ფშაველა,,,სვინდისი“,1986:55):

,,ავი დატანჯე და დაამონე
კეთილის მქმნელსა შეასხი ფრთები“.

პიროვნების, როგორც ზნეობრივი სუბიექტის, უპირველესი მოვალეობაა გააბატონოს სულიერი სხეულებრივზე. უფალს მიმართავს ვაჟა (,,სიმღერა“ ,,ვიცანი, ღმერთო, სამყარო“1986:41):

,,ვიცანი, ღმერთო,, სამყარო,
ეს შენი დანაბადები“.

ლექსში ,,სოფლისა წესი ასეა“ ავტორი უწონებს ღმერთს იმ წესსა და კანონს, რაც სიკვდილ-სიცოცხლეს ეხება:

,,დიდება ქვეყნის შემოქმედს

რა კარგად დაუწერია“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,სოფლისა წესი ასეა“,1986: 35)

სიკვდილ-სიცოცხლის წესზე საუბრობს ასევე ლექსში ,,მოგონება“ :

,,ღმერთმა გიშველოს სიკვდილო,

სიცოცხლე შვენებს შენითა,

და შენც, სიკვდილო, ფასი გძე

სიცოცხლის ნაწყენობითა“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,მოგონება“, 1986:42)

ღვთისმოსავი, ღვთისმოყვარული ვაჟასთვის უმნიშვნელოვანესი იყო, რამდენად სუფთა იქნებოდა ღვთის წინაშე. თავის ცხოვრებას რომ გადახედავდა, ბედნიერი ამბობდა: (რის ვუკვირდები თავის-თავს“ ,,სიმღერა“ 1907:61):

,,როს ვუკვირდები თავის-თავს

და არ ვემდური მეტადა:

მადლს დავთვლი ათასობითა

ცოდვა სამ მრჩება კენტადა“.

ვაჟას არ სურდა, თავი უმოქმედოდ, არაფრის შემძლედ ეგრძნო, რადგან ადამიანი როცა არსებობს, მან აუცილებლად უნდა იცხოვროს, სხვისთვის, საკუთარი თავისა და სულის კეთილდღეობისათვის. ლექსში ,,გულო, არ გატყდე“ წერს:

,,არ მინდა თავს ლეშად ვგრძნობდე,

უსულოდ გდებულს, ტიალად“!

ვაჟას რწმენა არის ძალიან ღრმა, უძლიერესი (ვაჟა-ფშაველა, ,,ნაღველი“1986:37):

,,ჩემს რწმენას ვერ დაიმონებს

ბილწების გამგე ბობოლა“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ნაღველი“1986:37)

მისთვის მნიშვნელოვანია ღმერთთან სიახლოვე: ,,გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლო ვსდგავართ ღმერთთანა“ (ვაჟა-ფშაველა ,,სიმღერა“ (პასუხად) ,1986:13).

ვაჟა-ფშაველა ღმერთთან მოსაუბრე პოეტია, ამიტომ მისთვის უპირველესი სულზე ზრუნვაა, რაც სიკეთის დაუღალავადა და უანგაროდ კეთებაში გამოიხატება: ,,მაშრომე საკეთილოდა, თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი“ (ვაჟა-ფშაველა, „ჩემი ვედრება“1986:16).

ვაჟა-ფშაველას აზრით, ადამიანს ამქვეყნიური ცხოვრების სახით ღვთისაგან ებოძა ზნეობრივი ასპარეზი სიკეთის ქმნის, მადლის გამრავლებისათვის. შესაბამისად, ღვთისაგან წყალობას იგი მიიღებს, ვინც ღირსეულად ატარებს ადამიანის სახელს:

„ საასპარეზოდ მოგვცა უფალმა
უთისოფელი ადამიანთა:
გამოცდა არი ჩვენთვის სიცოცხლე,
ასე უცვნია კაცთა ჭკვიანთა…
საასპარეზოდ გვაქვს ეს სოფელი,
დაეშურენით,მიიღოთ ჯილდო,
და ვინც ბიჭი ხარ,უნდა ეცადო
კაცურკაცობა მამაცად ჰზიდო.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,საასპარეზოდ“,1986:69)

სწორედ ამიტომ ადამიანის უპირველეს მისიად ვაჟა-ფშაველას ზნეობრივი სრულყოფილების მიღწევა მიაჩნია და არა მიწიერი ბედნიერების მოპოვება. საგულისხმოა ნინო ნაკაშიძის მოგონება: ერთხელ იროდიონ ევდოშვილს უთქვამს ვაჟასთვის: ,,შენი გმირები მძლავრნი, ადამიანისათვის ცხოველმყოფელი სულის ჩამდგმელნი არიან, მაგრამ სავალალო ისაა, რომ ისინი ე.ი. გმირები, კვდებიან ისე, რომ ცხოვრებაში ვერ იმარჯვებენო“. რაზეც გაკვირვებულ ვაჟას მიუგია: ,,როგორ თუ ვერ იმარჯვებენ? მაშ, ტყუილი ყოფილა ჩემი შრომა! ვაი, საწყალო ლუხუმო, ჩემო ზეზვავ, ჩემო ქიჩირბეი, კვირიავ… მაშ, ისე მოკვდით, რომ კვალი ვერ დასტოვეთ?“ (ნაკაშიძე 2003: 517).

ვაჟას პასუხიდან ნათელი ხდება, რომ დიდი პოეტის აზრით, ადამიანის სიცოცხლეს მაშინ აქვს გამართლება, როცა იგი, როგორც პიროვნება, ზნეობრივ კვალს ტოვებს წუთისოფელში. ადამიანის საქციელის ზნეობრიობის კრიტერიუმი კი არის მორალური მრწამსისადმი ერთგულება. ამას გულისხმობს პოეტის სიტყვები: ,,მაშრომე საკეთილოდა,თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი.“

ვაჟა-ფშაველას მიხედვით, ტკივილი, ტანჯვა და განსაცდელი ადამიანთან ცხოვრების მარადიულად თანამდევი მოვლენებიაა: ,,სავსეა ჩვენი ცხოვრება პირამდე ცოდვა-ბრალითა”(,,სული ობლისა“). ვაჟას ლირიკული გმირი ხშირადაა მოცული

ვარამით, საგონისით, მტანჯველი ფიქრით. ,,ბრჯღალით ვუპყრივარ სევდასა, როგორაც არწივს გნოლია“(,,დამუნჯებულსა ენითა“), - წერს ერთგან პოეტი. ვაჟას ნაღვლიანი განწყობილებების მიზეზად ნაირგვარი ფაქტორი გვევლინება, მაგრამ პოეტის სევდა, უპირველეს ყოვლისა, სამყაროს ფილოსოფიური შემეცნების საფუძველზე წარმოშობილი სევდაა: ,,ქვეყნის ავ-კარგის განწყობას თურმე თან ცრემლი ჰხლებოდა“(,,გული გავგზავნე ქვეყნადა“).

თვითონ უკიდურეს გაჭირვებაში მცხოვრები მწერალი, ხედავდა რა მასზე უფრო მეტად გაჭირვებულ ადამიანებს, უფალს იმას კი არ სთხოვდა, რომ თავად არ დატანჯულიყო, არამედ სხვებს შემსუბუქებოდა სატკივარი. ვაჟა სხვებზე მოფიქრალი პოეტია, მათზე დარდი არ ასვენებს. ოცნებობს, რომ მუდამ სიმართლემ გაიმარჯვოს. თუ კი აღარ ნახავს გაჭირვებულ, მშიერ, დაჩაგრულ ადამიანებს, ვაჟაც იქნება ბედნიერი და ისევე გაიხარებს და ,,აყვირდება“, როგორც ძლიერი და ბედნიერი არწივი. გულიც აღარ ეტკინება, სხვისი ბედნიერების გალაღებულს:

,,აღარვინ იტანჯებოდეს
და აღარცვისა ჰშიოდეს
სიმართლის გამარჯვებასა
მთაზე არწივი ყიოდეს
მეც მას ბანს ვეუბნებოდე,
გული აღარა მტკიოდეს“.

(ვაჟა-ფშაველა,,კიდევაც ვნახავ გაზაფხულს“, 1986:57)

ვაჟა-ფშაველას მიხედვით, სწორედ ტანჯვა-ვარამთა ჭიდილში ვლინდება ადამიანის პიროვნებული სიმყარე და სულიერი გამძლეობა. ამიტომაცაა, რომ ,,ვაჟა სულის პოეტია: მისი შემოქმედება ადამიანის შინაგანი ძალებისადმია მიმართული, მათი სიმტკიცის მომთხოვნი და მადიდებელია; ადამიანის შეფასებისას ვაჟასთვის მთავარია სულიერი შინაარსი“ (კიკნაძე 1978: 149).

ვაჟა-ფშაველას რწმენით, პიროვნებამ უნდა იპოვოს საკუთარ თავში სირთულეებთან ჭიდილის ძალა. ცხოვრებისეული განსაცდელის ღირსეულად ატანის შემთხვევაში, პოეტის აზრით, ადამიანს „წყლული მზედ გამოესახება“, წუთისოფლისგან მიღებული დარტყმა კი არ დასცემს და დათრგუნავს, არამედ

აამაღლებს მას. პიროვნების ამგვარი ამაღლების პოეტური სურათია წარმოდგენილი ლექსში ,,ცხოვრებამ არ შამიბრალა“:

„დაკრული სარგოდ მომიხდა,
თუმც სამავნებლოს ეცადა.
რამდენიც დამკრა,იმდენი
მე ავიწიე ზეცადა.
ადამიანად ვისახვი,
მგმობლები დარჩნენ მხეცადა
და დავდეგ ცა-ქვეყნის შუა
ქედმოუდრეკელ სვეტადა.“

(ვაჟა-ფშაველა,,,ცხოვრებამ არ შამიბრალა“,2008:93)

ტანჯვის ერთ-ერთი სახეა თანალმობა - როდესაც ადამიანი საკუთარ თავზე იღებს მოყვასის სატანჯველს, ინაწილებს მის ტკივილებს, ეხიდება მას წუთისოფლის უღლის ზიდვაში, რადგან ამგვარი ღვაწლის ტვირთვა პიროვნების სულიერი გაბრწყინების საწინდარია:

მკლავს ნდომა დაუსაბამო,
მოყვასისათვის ვწვალობდე.
ვიცი ტანჯული ამგვარად
უნდა ბოლო დროს ვხარობდე.

(ვაჟა-ფშაველა, ,,აღარ მწადიან ვიმღერო“, 2008:300)

ვაჟა-ფშაველა იგონებს: ,,მამა მუდამ მიამბობდა მოთხრობებს ძველი საღრმთო ისტორიიდანო“. ამ მონათხრობის დიდი ზეგავლენა ვაჟას პოეზიაში,განსაკუთრებით კი ლირიკაში მკვეთრადაა გამოხატული.ქრისტიანული მსოფლმხედველობა მსჭვალავს მის შემოქმედებას და ამიტომაცაა,რომ პოეტის ყურადღება ძირითადად პიროვნების ზნეობრივ სრულყოფაზეა გადატანილი,ლირიკულ ლექსებშიც მორალურ-ეთიკურ და სარწმუნოებრივ საკითხებს უტრიალებს. ვაჟას მრწამსის გასაგებად საინტერესოა ლექსი ,,ჩემი ვედრება“, სადაც ყველაზე ნათლად ჩანს პოეტის სულიერი ნათესაობა ,,უძვირფასეს პაპასთან“, დავით გურამიშვილთან.

ლექსში ,,ჩემი ვედრება“ ვაჟას რელიგიური მრწამსი თვალნათლივაა ასახული. ამ ნაწარმოებში პოეტი ადამიანის ცხოვრების აზრად აღიარებს არა

განსვენებას, არამედ დაუცხრომელ მოქმედებას, სიკეთის ქმნით გაუმაძღრობას. პოეტი ემუდარება ღმერთს: ,,მშიოდ-მწყუროდეს კეთილი, ვერ გავძლე, მოვკვდე მშიერი“. თავად ლექსის სათაური ,,ჩემი ვედრება“ განსაზღვრავს ნაწარმოების თემას. საგულისხმოა, რომ ვაჟა ლექსს არქმევს ვედრებას და არა-ლოცვას (განსხვავებით ნ.ბარათაშვილის ,,ჩემი ლოცვისა“ ან ილია ჭავჭავაძის ,,ლოცვისაგან“). საბას განმარტებით, ვედრება არის ,,სათხოველთა თხოვნა“, ხოლო ,,ლოცვა არის ვედრება.

სახსოვარი ,,არდასავიწყარს“ (საბა) ნიშნავს, მაშასადამე, ნათქვამიდან ლოგიკურად მომდინარეობს, რომ პოეტი ღმერთს რწმენის სიმტკიცესა და უფლის სიყვარულის გაუნელებლობას შესთხოვს.

,,ღმერთო,მიიღე ვედრება,
ეს ჩემი სათხოვარია:
არ დამეკარგოს გულიოდამ
ეგ შენი სახსოვარია!“

(ვაჟა-ფშაველა, 2006:67)

პოეტი უფალს ტანჯვაში გულგაუტეხლობას, მუდმივ მღვიძარებასა და მოყვასისათვის თავგანწირვის უნარს შესთხოვს:

„გულს ნუ გამიტეხ ტანჯვაში,
მამყოფე შეუდრეკლადა,
ვფხიზლობდე,მუდამ მზად ვიყო
დაჩაგრულების მცველადა.“

(ვაჟა-ფშაველა, 2006:67)

პოეტს სიკეთით ბოროტების, ძალადობის დაძლევა გაუხდია თავის ,,წმინდა ხელობად“:

,,ბალახი ვიყო სათიბი,
არა მწადიან ცელობა,
ცხვრადვე მამყოფე ისევა,
ოღონდ ამშორდეს მგელობა,
არ წამიხდინო,მეუფევ,
ეს ჩემი წმინდა ხელობა!

(ვაჟა-ფშაველა, 2006:67)

ეს სტრიქონები კრავს კონტრასტული სახეებით (ბალახი-ცელი-ცხვარი-მგელი)გამოხატულ სათქმელს. ,,ხელობა-მოსაქმეობაა“ - ,,ხელოვანი - საქმისა კეთილად მოქმედი“(საბა). მუდმივი მღვიძარება, მოყვასის საკეთილდღეოდ მაშვრალობა, ტანჯვის გაძლება, სიკეთით ბოროტების ძლევა ის ჭეშმარიტი, მაგრამ ,,იწრო და საჭირველი“ გზაა, რომელიც უფალმა მოუნიშნა ადამიანს. ამ ფასეულობებზე პოეტი სხვა ლექსებშიც საუბრობს, სადაც უფრო ნათელია, თუ რატომაა ამგვარი ქმედება ,,წმინდა ხელობა“. ვაჟა წერს:

,,კაცი ის არი,ვისც ჭირში
ერთხელ არ დაუქნეშია.
იმას სხვა გასთიბს,სხვა მოსძოვს,
ჭმუნვა არ დაუჩნევია,
უფლისა მსგავსად იქცევა,
მით უფალს გაუჩენია“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,გამომერია ჭაღარა“, 1986:23)

ამრიგად, დასკვნა ნათელია და მთლიანად სახარებას ეყრდნობა: ადამიანი თავისი ცხოვრებით ზნეობრივ სრულყოფას უნდა ესწრაფოდეს, ანუ ,,ვითა მამა ზეცისა“, იყოს სრული. პოეტო თავისი ნაშრომის შედეგს „მუდმივ სამყოფელში“ ეძებს. როგორც ილია, ვაჟაც ღმერთს შესთხოვს, რომ მისი ნაშრომის კვალი ნახონ მათ, ვინცა მის უკან ვლიან, რომ მასაც უთხრას შთამომავლობამ: შენ გიცოცხლია, როგორც უნდოდა“(ილია). ვაჟას, როგორც შემოქმედის, პოეტის უფლისადმი მიმართული ვედრებაა გამოხატული შემდეგ სტრიქონებში:

,,გულს ნუ გამიქრობ ლამპარსა,
მნათობს ტრფობისა შეშითა,
ნუ მავლევ ქვეყანაზედა
გაცივებულის ლეშითა,
თვალებში მადლდაკარგულსა
შუბლზე გაკრულის მეშითა.“

(ვაჟა-ფშაველა, 2006:67)

ლამპარში ჩასხმული ზეთი - სათნოება, სიბრძნე, სიკეთე ვაჟასთან ტრანსფორმირდა, როგორც ,,ტრფობის შეშა“, ლამპარის შუქი კი ,,საკეთილოდ შრომის“ შუქია (ხუციშვილი, 2002:71).

როგორც თავის დროზე დავით გურამიშვილი, ,,ნუ ამხდი მე შენს საფარველსო“, ვაჟაც შესთხოვს უფალს, ,,მფარავდეს შენი მარჯვენა, კალთა სამოსლის შენისაო“ (,,შე-ვახო სამოსელსა მისსა, ვცხოვნდე“. მათე 9,21).

ლექსის ბოლოს დახატულია იდეალური სურათი უფლის მიერ შექმნილი სამყაროს წესრიგისა:

,,სული-შენ,ლეში-მიწასა,
აღარა ვგლოვობ ამასა,
თევზი-წყალს, ცასა-ვარსკვლავი,
შვილი-დედას და მამასა.“

(ვაჟა-ფშაველა, 2006:67)

ვაჟას სურს, მთელი ცხოვრება შეალიოს კეთილ საქმეს, უნდა მუდამ სიკეთე აკეთოს და უფრო მეტის გაკეთება მოუნდეს, ანუ ეს უსასრულოდ გაგრძელდეს და არასდროს მობეზრდეს კეთილი საქმის კეთება:

გონებას ფიქრი სტანბჯავდეს,
გულს ცეცხლი სწვავდეს ძლიერი,
მშიოდ-მწყუროდეს კეთილი,
ვერ გავძღე, მოვკვდე მშიერი…
ნუ დამასვენებ ნურადოს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული.

(ვაჟა-ფშაველა,2006: 206)

მწერალი ღმერთს მხოლოდ გაჭირვებულთა შველას კი არ სთხოვს, არამედ უნდა მათ გადარჩენაში თვითონ მიიღოს მონაწილეობა, მათი დაცვა შეეძლოს, იზრუნოს მათზე: ,,ვფხიზლობდე, მუდამ მზად ვიყო, დაჩაგრულების მცველადა“ (,,ჩემი ვედრება,).

ვაჟა-ფშაველა სწორედ მაშინ არის ბედნიერი, სხვის გამო რომ ღელავს, სხვებზე რომ სწუხს, ეს არის ღვთიური ბუნება ,,მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერი, როცა ვარ შეწუხებული“ (ვაჟა-ფშაველა ,,ჩემი ვედრება“1986:16). საკუთარ თავზე აქვს მას სიღატაკე, გაჭირვება გამონაცადი და იცის როგორია, როცა სხვას აწუხებს რაღაც, როცა შია, სცივა... ვაჟა წერს ლექსში ,,გამამაერია ჭაღარა“: ,,არ ესმის სხვისი ტკივილი სხვასაო“ ნამდვილად რთულია გაუგო ადამიანს ის, რაც საკუთარ თავზე არ გამოგიცდია.

ვაჟა-ფშაველა უნდა მივიჩნიოთ ზნეობრივ აღმზრდელად, რადგან ის არის კეთილის მცველი, სიკეთისათვის მებრძოლი. ერთ-ერთ ლექსში ,,მრწამს, მარად მიწამებია“ წერს:

,,ავის მჩაგრავად, კეთილის
მუდამ იქნება მცველადა,
ბეჩავის, გაჭირვებულის
მომხრედ, მეშველად, მხსენალადა.
კარგ გულს არა ჰკლავს ბუნება
თან დააქვს ძველის-ძველადა“!

(ვაჟა-ფშაველა,,,მრწამს მარად მიწამებია“,1986:41)

ვაჟა-ფშაველას ლირიკის მიხედვით, ვარამის ღირსეულად ტარება ამშვენებს ადამიანს, უფაქიზებს, განუწმენდს გრძნობა-გონებას.

„მიყვარხარ გულზე მწოლარი
ობლის საფლავის ქვებურა…
დაგლევ და დაგლევ, ვარამო,
ცივის მთის წყაროს წყლებურა.
ტყუილად იტყვის -კაცი ვარ,
თავზედა ქუდი მხურია,
ის, ვისაც კარგის საქმისად
ვარამიც არაა სწყურია.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ვერას დამაკლებ, ვარამო“, 2006:82)

ვაჟა-ფშაველას ლირიკული გმირი ნატრობს კიდეც სატანჯველს, რამდენადაც სწორედ დიდი სულიერი შეჭირვების ჟამს ეწვევა მგოსანს ჭეშმარიტი

შემოქმედებითი აღმაფრენა. ამასთანავე, ტანჯვა განწმენდს სულს, რადგან მწერლის თქმით, ,,როცა ადამიანი სწუხს, მაშინ მიდრეკილება აქვს კეთილის საქმნელად, ფიქრთა და გრძნობათა გასაწმენდად“ (ვაჟა-ფშაველა 1964:257). ვარამის სულგრძელობით ტვირთვა ადამიანს სულს უკეთილშობილებს, თავმდაბლობას სძენს და მარადიულზე საფიქრელად აღძრავს მას. ამიტომაც არ გაურბის ლირიკული სუბიექტი ცხოვრებისეულ ტანჯვას:

„მინდა ვხედავდე ჩემს გულის დნობას,
მოგონებასა ზედ დაეფრქვიოს,
ვიტანჯებოდე,როგორც პრომეთე,
ჩანჩქერის მსგავსად ცრემლი მედინოს.
ღმერთმა ნუ მომცეს წუთი სიცოცხლის,
თუ დავიზარო და ეს მეწყინოს.
ცრემლთან ერთადა სისხლის წვეთებად
მსურს დაიწუროს ჩემი სხეული.
ნაღველს მასხამდნენ გულში ჩაფობით,
ჩემს სიცოცხლეში ვიყო სნეული.
ოხ,როგორ მინდა ვიტანჯებოდე,
რა ფრიად მწყურან ტანჯვა წყეული!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,მწარეს ჩავვარდი საგონებელსა“, 2008: 333)

ვაჟა-ფშაველას მიხედვით, განსაცდელი შეიძლება იყოს პიროვნების ამაღლების საფუძველი, თუ იგი მისდამი სწორ დამოკიდებულებას გამოავლენს. ამიტომაც პოეტი სულის სიღრმეში ეძიებს პიროვნების ამაღლების საწინდარს. ვაჟამ იცის, რომ ადამიანის სულიერი ძალა ვლინდება მაშინ, როდესაც იგი ახერხებს ცხოვრებისაგან მიღებული ტკივილების და მწარე განცდების გადადნობას დადებით სულიერ ენერგიად:

„სიცოცხლემ შხამი მასმია,
მე კახურ ღვინოდ შავირგე:
შავსვი და არც მოვერიდე,
თუმც მის სიმწარე გავიგე.
ვიცოდი ეს იქნებოდა:

ეკლის ლოგინიც დავიგე.

ვწევარ და მძინავს ტკბილადა,

აი, ბიჭობაც ეს არი!“

(ვაჟა-ფშაველა,,,სიცოცხლემ შხამი მასმია“,2008: 72)

ჭეშმარიტი ქრისტიანის, მით უმეტეს პოეტის, მუდმივი სურვილი, ვაჟა-ფშაველას აზრით, ასეთი უნდა იყოს:

,,გამზარდოს, მომცეს ძალ-ღონე,

ვეწამლო ქვეყნის კვნესასა.

გაიზარდოს, ღრუბლად მაქციოს,

მძიმეთ დამტვირთოს წვიმითა,

რომ მოვრწყო გული ქვეყნისა

დაუშრობელი მილითა,

ავაჭიკჭიკო ბულბული

დაღამოთი და დილითა,

და წარვსდგე ჩემს მეუფესთან

ხელთ ანთებულის ცვილითა“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,მოლოდინი“1986:56)

მისი მთავარი მიზანია - ღვთის წინაშე იყოს მართალია, ამიტომ ავს არასდროს ჩაიდენს, მეგობარს არასდროს უღალატებს, ლუკმა-პურს არავის წაართმევს, პირიქით, თავისას გაუყოფსს ყველას, ვისაც კი სჭირდება.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟას ბევრი არაფერი ჰქონდა, მზად იყო, ის მცირედიც გაეზიარებინა ცხოვრებისაგან დაჩაგრული ადამიანებისათვის. ქრისტიანული ზნეობრივი სწავლების ამოსავალიც ხომ ესაა, არა საკუთარ თავზე, არამედ მოყვასზე ფიქრი და ზრუნვა, მშიერის დაპურება, მწყურვალისთვის წყლის დროულად მიწოდება:

,,არც-რა ტანთ მცვია, არც ფეხთა,

დავდივარ დედიშობილა,

მეც იმათ ჯოგიდამა ვარ, ვინც სიღარიბით ცნობილა“.

ამავე ლექსში ამბობს:

,,ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები,

ბეჩავთაც გავუზიარებ“.

სიკეთისათვის სიკეთეს

არავის დავუგვიანებ

ავის თქმით, ავის ქცევითა

გულს არვის დავუზიანებ“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,სიმღერა“(ახალგაზრდა მგოსნებს) 1986:38)

მცირედით კმაყოფილება (,,ცოტა მაქვს, ცოტას ვჯერდები“) მხოლოდ ზნეობრივ ადამიანებს შეუძლიათ, უფალთან მისაახლოვებელი გზაც ხორციელ მანკიერებათა დაძლევისა და სულიერი სრულყოფის სწრაფვაზე გადის.

ცოდვისა და მადლის დაპირისპირება თავს იჩენს, უპირველეს ყოვლისა, პიროვნების სულში და შემდეგ მთელ გარემომცველ სამყაროში. ვაჟას რწმენით, ადამიანურ არსებაში ერთმანეთს გამუდმებით ებრძვის სულიერი და ხორციელი საწყისები. ამიტომაც პიროვნების, როგორც ზნეობრივი სუბიექტის, უპირველესი მოვალეობაა გააბატონოს სულიერი სხეულებრივზე:

,,ხორცო, დაჰნელდი,დამჭლევდი,

სულო, იხარე, ჰლაღობდე,

ღმერთმა დამკარგოს,თუ ამას

სიტყვის შნოსათვის ვამობდე.

ხორცი რას მიშველს მარტოკა,

თუ სულით არა ვგალობდე.

სულო, აჰყვავდი, ამაღლდი,

დაე, ლეშითა ვსწავლობდე!

(ვაჟა-ფშაველა,,,ხორცო,დაჰნელდი“, 2006: 293)

ხილულ სამყაროში ყველა და ყველაფერი ემორჩილება მიწის, ბუნების წესს, დაბადებისა და კვდომის კანონს. მხოლოდ ადამიანის სულზე არ ვრცელდება მისი ხელმწიფება, რადგან სულს საკუთარი სამფლობელო აქვს მარადისობაში და ,,თავის გზა კარგად იცისა“. ადამიანის სულის სიდიადის შესახებ მსჯელობა შთამბეჭდავი ფორმითაა წარმოდგენილი პოემა ,,უიღბლო იღბლიანში“:

ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს,

სხვა დანარჩენი მჩვარია,

ან ცეცხლი დასწვავს თავისად
მოიხმარს მიწა მყარია.
სხვა ყველა ფეხთქვეშ ეგება
მიწის,ბუნების კანონსა;
სულს ვერ ერევა მის ძალი
და ვერც გაუთხრის ხაროსა…
მიწისას მიწა მიიღებს
ყველას რაც მასზე ხარობსა.
მაინც ხომ სულის ბუნება
მონა როდია მიწისა
თავისი სამფლობელო აქვს,
თავის გზა კარგად იცისა!

(ვაჟა-ფშაველა, ,,უიღბლო იღბლიანი“, 2010:115-116)

ვაჟას აზრით, პიროვნება ბუნების მზა მოცემულობა კი არაა, არამედ ის ეთიკური სტატუსი, რომელსაც ადამიანი სულიერი ძალისხმევის შედეგად მოიპოვებს. ბუნება სწორედაც რომ ვერ ამოწურავს ადამიანის არსს, რადგან სული მის მიღმა აგრძელებს არსებობას: ,,სულითა ვცოცხლობთ ისევა, როცა ლეშითა ვკვდებითა.“(,,ნანგრევთა შორის“)

,,ლეში რომ მოკვდეს, იმიტომ, განა სულითაც მოვკვდები“?(,,უკანასკნელი სალამი“) ვაჟა-ფშაველას რწმენით, ადამიანში წარმმართველი სწორედ ეს სულიერი, მეტაფიზიკური საწყისია და არა ბიოლოგიური.

მკვლევარ აკაკი ბაქრაძის აზრით, ვაჟას შემოქმედებაში, „ქრისტიანული კონცეფციის შესაბამისად (ქრისტე და ანტიქრისტე), დაპირისპირებულია ორი ხატი - კაცი და არაკაცი. კაცებრივია ის, რაც ქრისტესეულია, არაკაცებრივია ის, რაც ანტიქრისტიანულია“ (ბაქრაძე, 2013:274). ეს მაღალზნეობრივი საზრისი ასაზრდოვებს ვაჟას ლექსებს - ,,კაი ყმა“ და ,,ის კი არ არის ბიჭობა“, რომელთა შესახებაც ვრცლად გვექნება საუბარი მომდევნო თავში.

ამრიგად, განხილულმა ლექსებმა კიდევ ერთხელ გახადა ნათელი ვაჟა-ფშაველა პიროვნული ზნესრულობა, რაც ნათლად გამოიხატა სიკეთის უანგაროდ კეთებისა და ბოროტებასთან ბრძოლის მუდმივ მზაობაში. პოეტის ყოველი სიტყვა

არის გულწრფელი, იგი მოუწოდებს მკითხველს სიკეთისკენ, ზნეობრივი ღირებულებების ერთგულებისკენ. ჭეშმარიტი შემოქმედების მიზანიც სწორედ ესაა.

,,ჰუმანურობის გაგება ვაჟასთან ქრისტიანულია, რამდენადაც იგი ადამიანს განსაზღვრავს, როგორც მის არსებაში ღვთაებრივი დასაბამის წვდომას, როგორც მის გაჭრას უღიმღამო, ჩლუნგი ყოფიერებიდან და, მაშასადამე, როგორც სულს...“ (ჩხენკელი, 1971: 9).

,,დამსეტყვე ცაო“ ადამიანის დანიშნულების თემას ეძღვნება. რადგან კაცი მატერიალურ და სულიერ, მიწიურ და ზეციურ საწყისებს აერთიანებს, იგი მარადის ირხევა, დადებითსა და უარყოფითს, კეთილსა და ბოროტს, სოფელსა და ზესთასოფელს შორის.ადამიანს როგორც ეს ორმაგი ბუნება,ასევე არჩევანის უფლება შესაქმიდანვე მიეცა,რადგან მიწის მტვრისაგან შექმნა იგი ღმერთმა და შთაბერა მარადიული,უკვდავი სული.თუმცა კაცთაგან იშვიათი ახერხებს უფლის მცნებების ბოლომდე შესრულებას,წუთისოფლის შეცნობას და სამოთხის ბილიკის მიგნებას.ამის მიზეზი ის უამრავი საცდურია,ეს ქვეყანა რომ უმზადებს ადამიანს,საცდური თვალისა თუ გულისათვის,რითაც იტყუებს კაცს და თვალს უხვევს,(ამ მხრივ საინტერესოა გოგოთურის პასუხი მეფის თხოვნაზე,მასთან დარჩენილიყო,ევ,ვერ გავძლებ ბარადა,..მამეხიბლება გონება,ვერა ვარ გამძლე ჭირისა“,ე.ი. გონებამოხიბლული ჭირს ვერ უძლებს,იოლად მარცხდება,შეცდომებს უშვებს)არა მხოლოდ ხიბლი,ჭირი და ვაებაც ზემოქმედებს ადამიანზე. ქედს ადრეკინებს, ზნეობრივ კომპრომისს ჩაადენინებს.

ვაჟა მზადაა გაუძლოს ყოველივეს,არ აჰყვეს ცდუნებას, სიბილწე ახლოს არ გაიკაროს, გაუტეხავი გულით, მოუღალავი მკლავით დაუპირისპირდეს საწუთროს. ამიტომაც ამბობს:

,,რაც უნდა ჭირი მომკერძო,ბილწთ არ შევეკვრი ზავითა;
მცნებას ვერ შემაცვლევინებ,მოზღვავებულის ავითა“.

ვაჟა სამ რამეს ემსახურება განსაკუთრებული თავდადებით:სიკეთეს,მამულსა და ვაჟკაცობას: ,,სანამ ვცოცხლობ გულში მაქვს,კეთილსა ვყვანდე ზიარად;
ვერ მივცემ მტერსა მამულსა,საჯიჯგნად დასაზიანად…
ნუ გეგონებათ,დავლაჩრდი,ჯერ ისევა ვარ ვფხიანად.“

საყურადღებოა, რომ ,,დალაჩრებაში“ პოეტი საწუთროსთვის ქედის მოხრას, ბედს შეგუებას, დამორჩილებას, სოფლის მონობას გულისხმობს. ვაჟას რწმენით, კაცი ის არის, ვინც ამ სამივე გზას შეუცდომლად გაივლის, ჭირს გაუძლებს და ,,თავის თავით“ გადალახავს დაბრკოლებას. თვითონ კი მზადაა,სეტყვასავით მოსულ ჭირს გაუძლოს.თავისი წილი სადარდელ-საწუხარი შე დრეკლად აიტანოს, რითაც რაინდულ, გაუტეხელ ბუნებას ამჟღავნებს.

ვაჟას უფლისგან აქვს ამ სიტყვის ქადაგება დაკისრებული, ამიტომ არ აპირებს ერთხელ არჩეული გზიდან გადახვევას, ერთგულია თავის პოეტური მრწამსისა და წუთისოფლის საცდურის მიუხედავად,უღალატოდ აღასრულებს თავის მოვალეობას:

,,დავუკრავ მჭვარტლიანს ჩონგურს
ათასჯერ,განა ერთხელა;
და ზედ დავმღერებ იმასვე,
რასაცხ დღესნამდე ვმღეროდი…“

ვაჟა-ფშაველამ სინდისის ფენომენისადმი საგანგებო ინტერესი თავისი შემოქმედების ადრეულ ეტაპზევე გამოავლინა.სინდისის პრობლემა თავს იჩენს მის ერთ-ერთ ადრეულ მოთხრობაში ,,გოჩი“ (1886). მოგვიანებით კი ამ ფენომენის დახასიათების მოთხოვნილება სულ უფრო მძლავრ ხასიათს იღებს და მხატვრულ ხორცხშესხმას პოვებს პოემა ,,სვინიდისში“(1913).

სინდისის პრობლემა ვაჟა-ფშაველას შემოქმედების ერთ-ერთ ძირითად პრობლემად გვევლინება. მწერლის შემოქმედებით მოტივთა ურთიერთკავშირების ზოგადი დახასიათებისას სამართლიანად მიუთითებენ, რომ ,,სინდისის მოტივი ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ერთგვარ თემატურ ბირთვს ქმნის“ (ევგენიძე 1989:241).

უნდა აღინიშნოს, რომ სინდისის, როგორც ადამიანის სულში ღვთაებრივი საწყისის, განხილვას განსაკუთრებული ადგილი უკავია წმ.იოანე ოქროპირის შრომებში. იოანე ოქროპირი სინდისს მიიჩნევს იმ სულიერ ორიენტირად, რომელიც გვეხმარება სიკეთისა და ბოროტების განსხვავებაში.

ლექსში ,,სვინდისის სიმღერა“ პერსონიფიცირებული სინდისის მონოლოგია წარმოდგენილი. სინდისი მოთქვამს, რომ კაცი ვერ იგუებს მას, ყურს არ უგდებს მის ხმას, ადამიანის მთელი ძალისხმევა მისი ჩახშობისაკენ არის მიმართული.

დამცირებული, ნაგვემი სინდისი თხოვნით მიმართავს დამბადებელს: ,,გთხოვ, მომაშორო ქვეყანას, შენ უპატრონო ზეცაო!“ ამ ლექსში უკვე დასმულია საზოგადოებაში სინდისის დეფიციტის საკითხი, რაც პოეტის მიერ ერთ-ერთ უმთავრეს ზნეობრივ პრობლემადაა მიჩნეული.

კაცთაგან აბუჩად აგდებული, უარყოფილი სინდისი ემდურის თავის ბედს და საყვედურით მიმართავს გამჩენს:

,,რა დავაშავე,უფალო,
რომ კაცს ამკიდე ბარგადა
და დაჟინებით ჩურჩული
ჩემი გულს დასდევ ხარკადა.“

(ვაჟა-ფშაველა 2006:65)

ვაჟა-ფშაველა თავის ნაწარმოებში სინდისის მშრალ დახასიათებას კი არ მიმართავს, არამედ გვიჩვენებს მისი წარმოშობის საფუძვლეს. მწერლის აზრით, უპირველესი მშობელი სინდისისა, მისი საფუძველი სიყვარულია. ეს აზრია გატარებული ვაჟას ერთ-ერთ ადრეულ მოთხრობაში ,,გოჩი“. პირველყოფილ ადამიანთა საზოგადოებაში, როცა ჩვეულებრივი მოვლენა იყო მკვლელობა და კანიბალიზმი, ცხოვრობდა პირუტყვული ზნის მქონე არსება გოჩი, რომელიც ,,დადიოდა უღრანს დაბურულ ტყეებში და სადაც კი მოიგდებდა ადამიანს, გაუჭეჭყდა თავსა, წამოიკიდებდა, მოიტანდა თავის ბინაზე“ და მის ხორცს შეექცეოდა. გოჩი ბედნიერი და კმაყოფილი იყონ თავისი ცხოვრებით, მაგრამ ერთ დღესაც უცნაურმა ავადმყოფობამ შეიპყრო: ,,ხორცი არ სტკიოდა, არამედ სული რაღაცას ითხოვდა გაბეზრებული“. მან იგრძნო,რომ მის არსებას, რაღაც მთავარი გრძნობა აკლდა. ღმერთმა წყალობის თვალით მოხედა გოჩის და ,,გამოუგზავნა სიყვარული, რადგან მისი ნაკლი ის იყო“. სიყვარული ჩამოვიდა ზეციდან პატარა მგალობელი ჩიტის სახით, დაატკბო გალობით არემარე და შემდეგ გოჩის გულში ჩასახლდა. ამ უცნობმა გრძნობამ საოცარი ზემოქმედება მოახდინა გოჩის არსებაზე და შვა მის სულში სინდისი და სიბრალული: ,,გოჩიმ…მიიხედ-მოიხედა და, რა კაცის ძვლები დახრული დაინახა, შესწუხდა. გაეღვიძა გულში სიბრალული, სინიდისი და ცრემლი მოსწყდა თვალებიდამ, დაიწყო ტირილი, ეს რა ჩამიდენიაო, ჰყვიროდა გამწარებული, ნუთუ მართლა კაცის მჭამელი ვიყავიო?“(ვაჟა-ფშაველა 2011:48)

მიუხედავად ამისა, გოჩისათვის მარტივი არ აღმოჩნდა, ცხოვრების წესის შეცვლა. განმტკიცებულმა ჩვეულებამ დათრგუნა მის სულში ახლად ნაშობი სინდისის ხმა და მანაც კვლავ პირუტყვული ზნით ცხოვრება განაგრძო. სინდისის ქენჯნა გოჩის უმძიმეს ტანჯვად ექცა და სასოწარკვეთილი შეევედრა გამჩენს: ,,ღმერთო, მომაშორე, ეს რაღაც ბარგი ამკიდე სინიდის-სიყვარულები, რომ დასვენებული ვიყო, ვიცხოვრო, როგორც აქამდის მიცხოვრიაო". გოჩიმ ჩაახშო სინდისის ხმა, არ მოუფრთხილდა ამ ღვთიურ საჩუქარს და ბოლოს პირუტყვულად დაასრულა სიცოცხლე.

პოემის ზნეობრივი პარადიგმა მის იდეოლოგიურ ნაწილში მდგომარეობს, რომლის მიხედვითაც, სინდისი უმჭიდროესადაა დაკავშირებული სხვა ზნეობრივ სათნოებებთან, მისი უპირველესი საფუძველი კი სიყვარულის ყოვლისმომცველი გრძნობაა. სინდისის გრძნობას მოკლებული კაცი პირუტყვისაგან არაფრით განსხვავდება.

სინდისის პრობლემას ეხება ვაჟა პოემაში ,,გოგოთურ და აფშინა", რომელშიც სინდისის დინამიკა ნაჩვენებია ორი ვაჟკაცის, ფშაველი გოგოთურისა და ხევსური აფშინას დაპირისპირების ფონზე: მას შემდეგ, რაც გზადშეყრილი, თავზეხელაღებული აფშინა გოგოთურს იარაღის აყრას დაუპირებს, ფშაველი ვაჟკაცი გადაწყვეტს, არ გაამჟღავნოს ვინაობა და თავის შეცოდებით გააღვიძოს აფშინას სულში სინდისის გრძნობა.გოგოთური ცდილობს, დაანახოს მოწინააღმდეგეს, თუ როგორ შეურაცხყოფს იგი თავის საქციელით ადამიანთა ღირსებას, რადგან ,,კაცისად იარაღისა აყრა სიკვდილთან სწორია". მიუხედავად ამისა, მისი პირველი მცდელობა უშედეგოდ ჩაივლის. იგი ვერ ახერხებს ამ გზით აფშინას გულის მოლბობას, ამიტომ გოგოთური ძალას იხმარს, თავად აფშინას წაართმევს იარაღს და ,,მაგრად გაკოჭავს თოკითა". გონს მოსული აფშინა უმძაფრესად განიცდის დამარცხებას. მას შემდეგ, რაც იგი საკუთარ თავზე იწვნევს იარაღაყრილი ვაჟკაცის მდგომარეობის სიმძიმეს, აფშინა თანდათან იწყებს საკუთარი დანაშაულის გაცნობიერებასაც.

,,ეხლა სჯობს სახლში ვიმალო,
თავზე დავირტყა გურჩია.
მოდი, გაკოცო,გოგოთურ,
სიკეთისათვის შუბლჩია."

(ვაჟა-ფშაველა,2009:79)

გოგოთური სულგრძელობის გასაოცარ მაგალითს უჩვენებს მას და იარაღს უკან უბრუნებს. გოგოთურის ამ საქციელის შემდეგ აფშინა აცნობიერებს თავის დანაშაულს, მის არსებაში იღვიძებს სინდისის ხმა:

,,ცხენი,აბჯარი სხვას მისცნა,
გახდა ერთგული რჯულისა…
ამბობენ: ქვითინი მოდის
ღამ-ღამ ბლოს თავით კაცისა:
,,ვაჰ, მკვდარო ვაჟკაცობაო,
ცოცხლად დამარხვავ თავისა!“

(ვაჟა-ფშაველა,2009:83)

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში სინდისის, როგორც ადამიანის ზნეობრივი პასუხისმგებლობის პრობლემა, ყველაზე თვალსაჩინოდ დგას პოემა ,,სვინიდისში“, რომელიც 1913 წელს ,,სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა. ნაწარმოების შემოქმედებით მასალად პოეტმა ცნობილი ბიბლიური ეპიზოდი შეირჩია -კაენისაგან აბელის მოკვლის ამბავი. აღნიშნული ეპიზოდი, რომელიც დაბადების წიგნში საღვთო წერილისათვის ჩვეული ლაკონურობითაა გადმოცემული, ვაჟა-ფშაველამ მრავალმხრივად გააშინარსა და კაცობრიობის უმწვავეს სულიერ პრობლემებს დაუკავშირა.

პოემის მიხედვით, ძმის ვერაგული მოკვლის შემდეგ, კაენს უცნაური განცდა ეუფლება. მას რაღაც ,,უჩინარი არსება“ ჩაუძვრება სულში და მთელს მის არსებას მოიცავს. კაენს აძრწუნებს აქამდე უცნობი გრძნობით გამოწვეული ტანჯვა და სინდისისაგან გაწამებული ძმისმკვლელი შესთხოვს გამჩენს, მოაშოროს ეს მტანჯველი გრძნობა.სინდისი სინანულისაგან უხმობს კაენს, მაგრამ იგი უარყოფს მას და ამის გამო სამუდამოდ კარგავს სულიერ სიმშვიდესაც.

ვაჟა-ფშაველას თვალსაზრისით, სინდისი ადამიანის სულში არსებული ღმერთის მონაცვლე ხმაა. ეს არაა რაიმე ბიოლოგიური ინსტიქტის სახეცვლილება, ანდა ოდენ ფსიქიკური შინაარსის განცდა, არამედ უზენაესისაგან მიღებული ზნეობრივი ცნობიერება,რომელიც წინამძღვრობს ადამიანს სიკეთისაკენ მიმავალ გზაზე.:

,,ჩემ მაგიერი,
ხმა ცნობიერი
მოგეცეთ დარაჯად,
გეგრძნო არ ავად,
კეთილის მრჩეველად
იგი გყოლოდა,
შენ ყური გეგდო
მისთვის მხოლოდა“.

(ვაჟა-ფშაველა, 2010:275)

პოემის მესამე თავში კაენის სახე ქრება პოემიდან და ავტორი ადამიანთა ზნეობრივი ყოფის ზოგად სურათს გვიხატავს. „ვაჟა-ფშაველას კაცობრიობის მთელი ისტორია სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის ასპარეზად წარმოუდგენია. სინდისი ზნეობრივი ცხოვრების წარმმართველი ძალაა, რომელიც ადამიანებს ოდითგანვე მოუძღოდა სინათლისაკენ,ჭეშმარიტებისაკენ,მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში მცირედნი იყვნენ ისეთნი,ვინც ყურს უგდებდნენ მის ხმას. ხორციელი ინსტიქტებით გონდაბინდული ადამიანთათვის კი სინდისი ყოველთვის ზედმეტი ბარგი იყო. ვინც ყური უგდო სინდისის ხმას, ვინც ,,ამ ხმისა ძაფზე…აიკინძა“, ის სულიერად ამაღლდა და მათი ხსოვნა სამუდამოდ შემორჩა კაცთა მოდგმას, სინდისის უარმყოფელნი უსახელოდ აღიგავნენ პირისაგან მიწისა. ვაჟა-ფშაველას აზრით, ყოველი მაღალზნეობრივი ადამიანური საქციელის საფუძველი სწორედ სინდისის გრძნობაა“ (ბებურიშვილი, 2018:131).

პოეტი ამგვარად გვიხასიათებს სინდისის ყოვლისმომცველ შინაარსს:

,,ხმა ეს ხალხს ებრძვის,
სინდისს-ხალხი,
მასზედა ბრუნავს
ამ სოფლის ჩარხი.“

(ვაჟა-ფშაველა, 2010:278)

ნაწარმოების მეოთხე თავში პოეტი მიმართავს სინდისის პერსონიფიკაციას. მკითხველზე დიდ მხატვრულ ზემოქმედებას ახდენს პოეტური ხატი მაღალ მთაზე

დაჩოქილი, ,,თმაგაწეწილ, ნაცემ-ნაგვემი“ სინდისისა, რომელიც ვედრებით მიმართავს დამბადებელს:

,,აღარ მაქვს ღმერთო,
კაცთა შორის ბინა,
მუხლმოდრეკილი
ვდგევარ შენ წინა,
ქვეყნად ცხოვრება
მძულს, მომეწყინა“.

(ვაჟა-ფშაველა, 2010:281)

სინდისი ჩივის, რომ მან ვერ აღასრულა თავისი წმინდა მოვალეობა, ვერ მოახერხა ადამიანთა ცნობიერების სასიკეთოდ გარდაქმნა, რადგან ამისთვის არ არსებობდა ადამიანთა უმრავლესობის სულიერი მზაობა. ამიტომაც სთხოვს ის გამჩენს, რომ მოაშოროს ცოდვილ წუთისოფელს, მაგრამ ღვთი უბრძანებს მას, კვლავ განაგრძოს ადამიანთა სულიერი წინამძღვრობა, დაადგეს თავზე კაცობრიობას მამხილებელ სულიერ მახვილად (,,არ შეიძლება!გიბრძანებ კვალად,განასპეტაკო ქვეყანა ძალად,დაადგე თავზე ამოწვდილ ხმალად!“), რადგან სინდისის გარეშე ადამიანთა საზოგადოება ვერ იარსებებს და დედამიწა მოსისხლე მხეცთა სამყოფელად გადაიქცევა: ,,დარჩნენ მხოლოდა მხეცნი, ცხოველნი, უენპიროვნი, ბალახთ მძოველნი“. სინდისი იძულებულია დაემორჩილოს ღვთის განგებას.

პოემა აპოკალიფსური სურათით სრულდება. სინდისის გოდებასთან ერთად გაისმის ხარხარი ბოროტი სულებისა, რომელებიც ხარობენ ადამიანთა მოდგმის ზნეობრივი დაცემითა და სინდისიერების გაქრობით:

,,ჯოჯოხეთადა იქცა მთა-ბარი,
დასანგრევადა იგი მზად არი,
ქვესკნელიდანა ისმის ხარხარი,
ისე ძლიერი, ისე მაგარი,
ჭექა-ქუხილი მასთან რა არი?
რა გესლიანად ვიღაც ხარხარებს!˜
თვით დედამიწა მისგან ზანზარებს!“

(ვაჟა-ფშაველა, 2010:285)

ადამიანის სულის სიდიადის შესახებ მსჯელობა შთამბეჭდავი ფორმითაა წარმოდგენილი პოემა ,,უიღბლო იღბლიანში“ :

,,ძვირფასი მხოლოდ სული გვაქვს,
სხვა დანარჩენი-მჩვარია
ან ცეცხლი დასწვავს... თავისად
მოიხმარს მიწა მყარია...“ (ვაჟა-ფშაველა, ,,უიღბლო იღბლიანი“)

ამრიგად, ვაჟას შემოქმედების ზნეობრივი პარადიგმა ნასაზრდოვებია ქრისტიანული საზრისით, რაც განსაზღვრავს მის განსაკუთრებულ ღირებულებასა და მნიშვნელობას.

თავი III

„კაი ყმის“ ზნეობრივი კოდექსი ვაჟას ლირიკაში

ვაჟა-ფშაველას ლირიკაში ჩამოყალიბებულია ადამიანისა და ადამიანობის ზნებრივი კონცეფცია. ამის კლასიკური ნიმუშია ლექსი: ,,ადამიანი“: ზღვის პირად მდგარი ქალი სასოწარკვეთილი კივის, აკვნიანად წაუღია ზღვას მისი ჩვილი. ცასა და მიწას მოუხმობს დედა მშველელად. ვიღაც თავგანწირული ტალღებში გადაეშვება. სტიქიონს ბავშვს გამოსტაცებს და დედას მიუყვანს. მადლიერი დედა ხელ-ფეხს უკოცნის უცნობს და აღარ იცის რით გადაუხადოს ამაგი, როგორ დააფასოს მისი ვაჟკაცობა და თავგამეტება. პასუხად ჩვილის გადამრჩენელი დედას ეუბნება:

„ასწავლე მოყვასის შველა,
როს სჭირდეს რამე სენია,
რჩევა მოყვასთა საშველად
ხშირ-ხშირად მიუძღვენია;
კეთილის ჩასაგონებლად
შენამც ნუ მოგიწყენია;
მხოლოდ ამით მცემთ პატივსა,
ჩემთვის ეს დიდი ძღვენია!“

(ვაჟა-ფშაველა, „ადამიანი“, 1986:35)

ვაჟა აქ იმეორებს იმას, რასაც ქრისტიანული ზნეობა ქადაგებს: შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი (მათე, XIX, 190).

ვაჟა-ფშაველას წუხს, რომ ცუდი ბევრია, კარგის პოვნა კი რთული საქმეა. იშვიათია იპოვო ადამიანი, რომელსაც მართლა შესტკივა გული ყოველ იმ წვრილმანზე თუ ვეება პრობლემებზე, რომლებზეც ვაჟას შესტკიოდა. ბუნების მგოსანი წერს:

,,ვაი, რომ ცუდი ბევრია,

პოვნა ძნელია კარგისა“.

,,ვაჟა-ფშაველას 1900 წელს დაუწერია ვრცელი ლექსი ,,ჩემი ახალი მეკვლე“. ახალი წლის ღამეს მწერალთან მიდის ერთი ძველი ნაცნობი, რომელსაც უღალატნია კაცური მრწამსისათვის, დაუჩოქნია, მტერს შერიგებია… სამაგიეროდ, ტკბილი და უზრუნველი ცხოვრება მიუღია, ტანსაცმელი ჩაუცვამს, ,,სწორედ სამეფო, რჩეული“. პოეტის წინაშე მშობელი ხალხის გამყიდველი, ეროვნული იდეალების მოღალატე დგას და ეუბნება უმძიმეს უღელში შებმულ ერისკაცს:

,,აბა, ქვეყანამ რა მოგცა,

მასზე ფიქრმა და შრომამ? –

იმის წყლულებზე წუწუნმა,

მის ორგულებზე წყრომამ?“

პოეტმა მეკვლედ არ მიიღო სულის გამყიდველი:

,,ადე და წადი იმათთა,

ვინც მოგწონს, ვინაც კარგია.

სამარის კარამდე ვზიდავ,

რაც ზურგზე მკიდავ ბარგია.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ჩემი ახალი მეკვლე“, 1986:412)

ვაჟა-ფშაველა კაი ყმისგან ამტანიანობას მოითხოვს, რადგან იცის, რომ ,,ჭირში ყოფნის დროს გაძლება მუდამ ვაჟკაცის წესია“(,,პაპიჩემის ანდერძი“). ამგვარი თვალსაზრისით იგი იმეორებს ქართულ ხალხურ სიტყვიერებაში ჩამოყალიბებულ ერთგვარ ზნეობრივ კოდექსს, თუ როგორი უნდა ყოფილიყო გმირი-ვაჟკაცი, რა ევალებოდა მას სამშობლოსა და ხალხის წინაშე. ,,კაი ყმის“ ფშავ-ხევსურული კოდექსის თანახმად:

„კარგი ყმა მაშინ კარგია,

ხმალნი რო შევლენ ელვასა,

მოციქულობდნენ ისარნი,

შუბნი ნაზძლევდნენ ენასა.“

მედგარი და შეუდრეკელი უნდა იყოს კარგი ყმა. მას ერთი მისწრაფება უნდა ასულდგმულებდეს-გამარჯვება. წინააღმდეგ შემთხვევაში ვაჟკაცი ბრძოლის ველზე

იპოვის სიკვდილს. ვაჟკაცი გულდინჯი, გაწონასწორებული და მოზომილი სიტყვის პატრონი უნდა იყოს. მან ღირსეულად უნდა შეძლოს იარაღის ტარება:

„ შავს ლუდსა,წითელ ღვინოსა განა სწორსწორად სმა უნდა?
ენასა მოსულსა სიტყვასა განა სუყველას თქმა უნდა ?
ფარი და ხმალი ვაჟკაცსა-ლამაზად ხმარება უნდა!“

გამორჩეული ვაჟკაცი ის არის, ვინც ომის დაძახილზე უყოყმანოდ ჩაიცვამს აბჯარს,შეკაზმავს ცხენს და ხალისიანად გასწევს ბრძოლის ველისაკენ.

მაშინ კარგია კაი ყმა,
რო დილა ბინდით დგებოდეს,
იცვამდეს გრილსა რკინასა
,,ომს ვიქამ“ ემზადებოდეს.

ვაჟკაცისათვის გარეგნობას არა აქვს მნიშვნელობა. ვაჟის არწივისებურმა გამოხედვამ და მხარბეჭმა, შეიძლება, უცებ მოხიბლოს მნახველი, მაგრამ არ უნდა დაივიწყონ, რომ მასზე საბოლოო აზრის შესაქმნელად გამოდგება მხოლოდ ბრძოლის ველზე გამართული პაექრობა. ხმლის ტრიალი და ჭექა-ქუხილივით გრგვინვა არის ხალხის შეხედულებით, ვაჟკაცის შესაფასებლად გამოსადეგი კრიტერიუმი.

ხალხური კოდექსის თანახმად, ვაჟკაცი არ შეიძლება იყოს სისხლისღვრის მოსურნე. იგი ერიდება უმიზეზო სისხლს, მაგრამ არც იმის მოთმენა შეუძლია,რომ დასცინონ, გაამწარონ. ასეთ დროს ყრმა აფრთხილებს თავის შემწუხებელს: „ცხენ კარგო,თავად კარგო, ცხენა არ გამალახვინო“.

ვაჟკაცი ვერ ამაღლდება იდეალამდე,თუ გონიერი არ არის. ჭკუა და გონება გმირისათვის ისეთი ძალაა, რომელსაც ცილობას ვერ შეჰკადრებს. ღონე ან მგლის მუხლი, თუნდა გული რკინისა. მაგალითად, ხევში ჩაწერილ ლექსში ,,მტერსა რომ მტრობას უწევდეს“ შექებულია გულადი, ,,მტრის გამმჯავრებელი“ ვაჟი და დაგმობილია მშიშარა,ბრძოლიდან სიკვდილს გამოქცეული.

ქართული ხალხური სიტყვიერების ზნეობრივი კოდექსის მიხედვით, გონიერი ვაჟი ტრაბახა და ფუჭად მეოცნებე ვერ იქნება. ადამიანის წინდახედულება და რეალური სინამდვილის სწორად შეფასების უნარი არის კეთილდღეობის უმთავრესი პირობა.გონიერს მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ ,,კოვზსა პაწიას დიდი ზღვა დაულევია. ალვის ხე ცამდი ასულა ჭინჭველას წაუქცევია“(,,ნუ იამაყებ“).

მტერი ვაჟკაცი კაცისათვის არასასურველია,მაგრამ ასმაგად დასაგმობია ის,ვინც მოყვრად ასაღებს თავს და მტრობა კი აქვს გულში მალულად. კაი ყმა ვერ ეგუება ასეთ ,,მოკეთეს“ და თავად ალალ-მართალი სხვისგანაც მოითხოვს ურთიერთობაში გარკვევას:

„თუ მოყვარე ხარ-მიმოყვრე,
კალთა გავაბათ კალთასა,
მტერი ხარ?- შემატყობინე,
ან ბარს დაგიხვდე, ან მთასა!“

საშიშროებასთან პირდაპირ არის გმირის მისწრაფება. მას სხვაგვარად არ შეუძლია და ვერ წარმოუდგენია ცხოვრება. ასეთი ფსიქოლოგიის ადამიანი თავდაჯერებულია. თავისი თავის იმედი აქვს.

ვაჟა- ფშაველა ხალხურ პოეზიაში ჩამოყალიბებულ „კაი ყმის“ ზნეობრივ კოდექსს კიდევ უფრო მეტ სიღრმეს მატებს. პოეტმა იცის, რომ „კაი ყმის“ იდეალამდე ამაღლებას ხელს უშლის ადამიანში ორი საწყისის - კაცისა და არაკაცის - არსებობა. ორივე საწყისს ვაჟა ურთიერთშპირისპირების გზით გვიყალიბებს ლექსში ,,კაი ყმა“. პოეტის რწმენით, კაცი უნდა იყოს: მეომარი, (,,პირველად ომის დამწყები, ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს“); ბრძენი მრჩეველი (,,სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,ცდუნება არა სძირავდეს); სიმართლის მცველი (,,იქ იდგეს ხმალამოწვდილი, რაც ძალა აღმართს ჰკლავდეს, გაბეჩავებულ სიმართლეს ,უსამართლობა სძალავდეს“); უშიშარი და შეუდრეკელი, (,,თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,ზედ ქორებულად ფრინავდეს“); უანგარო, უხარბო, სახელის პატივისმცემელი და დამფასებელი (,,სჯობს მოკვდეს მშიერ-ტიტველი, კვდებოდეს, არაგმინავდეს, თავის სამარხად, სუდრადა, მარტო სახელსა სწირავდეს“).

,,ზნეობის ,,არადაღუპვის“, ადამიანის მაღალი სულიერ შესაძლებლობათა გადარჩენის წყურვილითაა ავსებული ვაჟას დიდი მხატვრული სამყარო, სამყარო, რომელშიც გამოკვეთილ ადგილს იჭერს ამ ნიშნით დატვირთული ,,კაი ყმის“ მოტივი, ანუ რაინდული სულის მარადიულობის, მისი უკვდავების თემა“ (ევგენიძე,1989: 236-264).

კაი ყმის უპირველესი ატრიბუტი ხმალია, ხმალი ძალისა და ვაჟკაცობის, სიმამაცის სიმბოლოა, შესაბამისად, მხოლოდ ამ თვისებებით შემკულ ადამიანს

ამშვენებდა. კარგი ყმა მუდამ ფხიზელია, რადგან მომლოდინე მტრისა. ვაჟას კაი ყმა სამართლიანი, სულგრძელი, თავმდაბალი, ამაღლებული გრძნობების პატრონი, დაუძლეველი ადამიანია, მორალურ-ზნეობრივი თვისებებით შემკული, უნაკლო და წუნდაუდებელი. სწორედ ამიტომ უფალი მას, როგორც საყვარელ შვილს, ისე იღებს:

,,გახარებული უფალი კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა,

ანგელოზები ხარობდნენ, ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა“.

კაი ყმა, შეიძლება ითქვას, უფლისაგან ხელდასმულია, წოდებულია, რჩეული რჩეულთა შორის. კაი ყმა ომს არ ემალება, ხმალსა და ხანჯალს ქარქაშში არ აჟანგებს, არ უშინდება ბრძოლას, იტანს ტკივილს, ბრძოლის ველს ბოლო ტოვებს, ვაჟას კაი ყმა ზეადამიანურია, სამართლისთვის მებრძოლი. ასეთ ადამიანს, ზნესრულს, ადარებს ისეთ ადამიანებს, რომლებმაც ,,კაი ყმის“ სახე დაკარგეს. იმათი ცხოვრების წესი ვაჟკაცისათვის შეუფერებლად მიაჩნია. ისეთები, რომლებიც მხოლოდ საკუთარ კუჭზე ფიქრობენ, რა სვან და რა ჭამონ. შურთ სხვისი კარგი ამბის და არ ადარდებთ სხვისი გაჭირვება. ასეთი ადამიანების სიცოცხლე ვაჟასათვის უქმეა, გამოუსადეგარი. ასეთები სააქაოში ვერ ცხოვრობენ სწორად და შესაბამისად გულგრილობასა და უმოქმედობისათვის საიქიოში იტანჯებიან. არც მათ გაჩენას აქვს რაიმე ფასი და არც სიკვდილს. სწორედ ასეთ ადამიანებს გმობს ვაჟა და ცდილობს ყველაში გააღვიძოს ჰუმანიზმი და ჩაკლას ეს არაფრისმომცემი არსებობა. ცუდის დაგმობით მიჰყავს ხალხი სწორ გზაზე. სწორედ ამ კაცობრივ საწყისს უპირისპირდება და ებრძვის არაკაცებრივი საწყისი,რომელიც ვაჟასავე დახასიათებით, ამგვარია:

არა თქვენ, სადიაციანო,

რო ძროხებივით სძღებითა;

ღამე მაძღრები დასწვებით,

დილით მშივრები სდგებითა;

თავის ჯამს ჩასცქერთ, საქვეყნოდ

არც როს არ გამასდგებითა.

თავისად სცოცხლობთ, მცონარედ

ლეში ალაღოთ, ჰკვდებითი;

გაიგებთ კარგის გარჯასა

გწყინსთ და შურითა ხდებითა;

უქმად ჩამაჰლევთ სიცოცხლეს,
უქმად საფლავში სწყებითა.
დაჰკარგავთ სააქაოსა.
ვერც საიქიოს სწვდებითა,
არ იცით,დასჩნდით რისადა,
არ რისათვისა ჰკვდებითა!

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“, 1986:66)

მკვლევარ აკაკი ბაქრაძის აზრით, „ქრისტიანული კონცეფციის შესაბამისად (ქრისტე და ანტიქრისტე), დაპირისპირებულია ორი ხატი - კაცი და არაკაცი. კაცებრივია ის, რაც ქრისტესეულია, არაკაცებრივია ის, რაც ანტიქრისტიანულია“ (ბაქრაძე, 2013:274).

ვაჟა-ფშაველას მიერ განსახიერებული კაი ყმის მხატვრულ სახეში შერწყმულია ერთი მხრივ, ქართველი ხალხის საუკუნეთა განმავლობაში ჩამოყალიბებული ზნეობრივი წარმოდგენები, ხოლო მეორე მხრივ, პოეტის ორიგინალური თვალთახედვა.

კაი ყმის თვისებათა დახასიათებისას ვაჟა-ფშაველა ყურადღებას ამახვილებს არა იმდენად ვაჟკაცის ფიზიკურ შესაძლებლობებზე, რამდენადაც სულიერ ძალასა და გამძლეობაზე:

,,წყლული სცნას დედის კოცნადა,
თავის ლოგინად სამარი,
საკაცე თავის ლურჯადა
ქვა-ლოდი- ნაბდად საფარი;
ქალისა,რძლისა ქვითინი
ეგონოს სიცილ-ხარხარი,
დენა ცრემლისა-ხორხოშა,
ღრუბელთა გადმონაყარი.
სულეთს შავიდეს ხმლიანი
ლაღი,ლაღისა ცხენითა,
წინ მიუძღოდეს არწივი,
ხმით მოყაშყაშე,ფრენითა,

ქება უყივლონ გმირებმა
გადასულებმა ჩვენითა.
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს
დაისვას თავის გვერდითა,
გამაეგებოს თამარი,
მცინარი,თავის ფეხით…
აი,ვინაა კაი ყმა“-ო.

(ვაჟა-ფშაველა,,,კაი ყმა“, 2008: 242)

კაი ყმის მთავარი მახასიათებლებია: სიმტკიცე, შეუვალობა, უკომპრომისობა ზნეობრივ საკითხებში, გაუტეხელობა ცხოვრებისეულ სირთულეებთან ბრძოლაში. ასეთი ღირსებებით შემკობილი ადამიანი ამქვეყნადაც დიდ სახელს ტოვებს და წინაპართა სულების წინაშეც პირნათელი წარდგება:

ქება უყივლონ გმირებმა,
გარდასულებმა ჩვენითა…
გახარებული უფალი
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა.

(ვაჟა-ფშაველა,,,კაი ყმა“, 2008: 242)

თავის შემოქმედებაში ვაჟა-ფშაველა ქმნის კაი ყმის ისეთ მოდელს, რომელიც არ არის მხოლოდ ეროვნული ნიშნით აღბეჭდილი. ამ მხატვრულ სახეში გაერთიანებულია ნაციონალური და ზოგადსაკაცობრიო ზნეობრივი წარმოდგენები. კაი ყმობა არაა მხოლოდ ქართული სინამდვილის საკუთრება, არამედ უნივერსალურია თავისი ბუნებით.

ვაჟა-ფშაველას შემოქმედების მიხედვით, კაი ყმები არიან არა მხოლოდ ქართველი ალუდა, ზვიადაური, გოგოთური თუ სხვ., არამედ ქისტი მუცალიც, ჯოყოლაც და ა.შ.

,,კაი ყმაში“ გამოთქმულ აზრს იმეორებს ვაჟა ლექსში- ,,ის კი არ არის ბიჭობა.“ ბიჭი მაშინ ხარ, თუ სხვის დაუხმარებლად ვარგობ, როცა გშია და გწყურია, გული არ გაგიტყდება და მაინც გალობ. არ ვყოყოჩობ და სხვაზე მეტად თავი არ მოგაქვს, და, რაც მთავარია:

არც ის მგონია ბიჭობა,

ვისაც ერევი, არჩობდე.
ბიჭს მაშინ დაგიძახებდი,
როს სხვის დამრჩვალსა სწამლობდე.
მითხარ ვის უთქვამ ბიჭობად,
დამჩაგვრელებსა სწყალობდე?
აბა, ბიჭობა ის არი
დაჩაგრულთთათვის სწავლობდე.

(ვაჟა-ფშაველა, ,,კაი ყმა“,1986:66)

ამის სრული ანტიპოდია ის ხატი, რომელიც აღწერილია სატირულ ლექსში- ,,ვინ არის კაცი?“ ვაჟა მწარე ირონიით ამბობს, რომ ,,კაცი“ ის არის, ვინც მთელი ცხოვრება ჭამაში გაატარა და არსებობის დანიშნულება ამაში ჰპოვა. ვინც ქუჩაში შეხვედრისას სალამს არ მოგცემს, მაგრამ შინ თუ მიიპატიჟე სადილად, მაშინვე გამოგეკიდება. სიტყვით შენია, მაგრამ საქმით სხვისი, ვისი ოცნება ღვინო და სამიკიტნოა. ვისაც წიგნისათვის შაური ენანება, მაგრამ მეარღნისათვის მანეთს არ იშურებს და ბოლოს დასკვნა:

„კაცი ის არის, სიცოცხლე
ვინაც ატარა ტკბილადა,
სიკვდილის შემდეგ იწოდა
დიდყურიანის შვილადა.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ვინ არის კაცი?“2008:35)

არაკაცი სინდის-ნამუსისაგან გარეცხილია. მეტიც, რითაც შეუძლია, ნამუსს თავიდან იშორებს, რათა შეძლოს უღირსი საქმეების კეთება:

,,მე ვუპასუხე, ,,გაჩუმდი,
გრცხვენოდეს საწყლის ღლეტაო,
ულუკმაპურად გასწირე
ოთხის წვრილშვილის დედაო!“
ადგა, წამიგდო წიხლს ქვეშა,
ჩამარტყა ზედი-ზედაო:
,,ჩემთან მაგგვარად საუბარს,
შე წუწკო, როგორ ჰბედაო?!

რამდენს სხვას ვუთხარ, ვინ მოსთვლის,

როგორ გაჰყიდე დედაო?!

სუყველამ წიხლით გამთელა

მაგას როგორა ჰბედაო?!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,სვინდისის სიმღერა“ 1986:21)

ვაჟასთვის კაცი ისაა, რომელიც ითხოვს ბილწისა და ავის ჩამოშორებას, ანუ ნამუსიანობას, სინდისიერებას.

„რაც უნდა ჭირი მომკერძო,

ბილწთ არ შევეკვრი ზავითა,

მცნებას ვერ შემაცვლევინებ

მოზღვავებულის ავითა!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,დამსეტყვე ცაო“1986:52)

არაკაცის დახასიათებაში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს უქმობასა და უმოქმედობას (პირდაპირი კავშირია ლუარსაბ თათქარიძესთან). მკვლევარ აკაკი ბაქრაძის აზრით, „უქმობისა და უმოქმედობის ანტიცნებაა მეომრობა. მეომარი ვაჟას ლექსიკაში არ ნიშნავს მხოლოდ იარაღით მებრძოლს. მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა მეომრის გარეგნულ ატრიბუტებსაც დიდად აფასებდა - ,,კაცისად იარაღისა აყრა სიკვდილთან სწორია“ (გოგოთურ და აფშინა“) და თავადაც უყვარდა საჭურველის ტარება. მეომარს ვაჟასთან სხვა შინაარსიც აქვს. იგი გულისხმობს მოქმედსაც, ,,ვისაც რომ ქვეყანა უყვარს, სიცოცხლე მისთვის ომია!“ (,,ხმა მესმის…“) მეომარია ის, ვინც ახლის შესაქმნელად იბრძვის, ვინც დამყაყებულ სინამდვილეს ანგრევს. მეომრისათვის მთავარია ქმნა. ამიტომ, ადამიანის ვაჟასეულ კონცეფციაში შრომას, რაკი იგი ქმნაა, გამორჩეული ადგილი უჭირავს“(ბაქრაძე, 2013:276). შრომა საამაყოა, იგი ღმერთის საამო საქმეა.

,,ღმერთმა დამბადა მუშადა,

იმან მიკურთხა მარჯვენა,

უნდა ვხნა, ვთესო, ვიშრომო

და გამოვკვებო ქვეყანა.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,გლეხის სიმღერა“1986:69)

შრომა ამკვიდრებს ადამიანის სულში ჰარმონიას, სიმშვიდეს, იმედს. იგი უზენაესთა კავშირის გზაც არის, ,,რადგან, როგორც სხეულია მკვდარი სულის გარეშე, ასევე რწმენაა მკვდარი საქმეთა გარეშე (იაკობის ეპისტოლე,II,26). ადამიანის მუშა მარჯვენა და უფლის წყალობა აგვირგვინებს შრომას.

გლეხის მარჯვენის ნაღვაწო
და გლეხის ოფლით მორწყულო,
ჯეჯილო ნაჭარმაგევო,
უფლის წყალობით მოსულო.

(ვაჟა-ფშაველა,,ჯეჯილო“,1986:27)

სამშობლოს სიყვარულშიც უპირიპირდება კაცს არაკაცი, რასაც კაცი ჰქმნის, არაკაცი იმის დანგრევას ცდილობს. თუ კაცი სამშობლოს ჯარისკაცად დგას - ,,ვერ მივცემ მტერსა მამულსა საჯიჯგნად, დასაზიანად“ (,,დამსეტყვე ცაო“), არაკაცი ,,გადაამტერებს ერთმანეთს ქართლსა, იმერეთს, კახეთსა, საკუთარს ანბანს შეუდგენს სამეგრელოს და სვანეთსა“(ვინ არის კაცი?“).

ვაჟა-ფშაველას აზრით, კაცად წოდების ღირსი ისაა, ვინც არ ღალატობს ადამიანურ ღირსებას, ,,არ გაერევა ყვავთა გროვაში“, ვისაც სამშობლო ,,მიაჩნია ქვეყნიურ ღმერთად“, საზოგადოებაში სიყვარულს სთესავს და თავისუფალია შურის, ანგარების, ვნებებისაგან. საგანგებოდ გამოყოფს ვაჟა-ფშაველა შეუპოვრობა-გაუტეხლობას, როგორც სრულფასოვანი პიროვნების აუცილებელ თვისებას:

„კაცი მას ჰქვიან, ვინც ვით კლდე ზღვაში,
სდგას ცხოვრებაში შეუპოვრად,
მოზღვავებულსა ცხოვრების ზვირთებს
მკერდზედ შემუსრავს,გაჰფანტავს ნაცრად.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ვის ჰქვიან კაცი?“ 2006: 33)

ვაჟას ნებისმიერი ნაამბობი ქადაგებს ზნეობრივ იდეალებს. ,,კარგის განხორციელებაა მწერლის ზრუნვის მთავარი საგანი. ამ ცნების დახასიათებისას ვაჟა ეყრდნობა მის ხალხურ გაგებას: კარგია ის ცხენი,რომელიც მხედარს ასიამოვნებს, თუმცა თვითონ კი იღლება. ,,კარგის“ ამნაირი გაგების სასარგებლოდ ვაჟა ასახელებს მაგალითებს ბუნებიდანაც და ასკვნის: ,,კარგს რასაც ვხედავთ ბუნებაში, ყოფილა თავისთვის უსარგებლო, ხოლო სხვისთვის სასარგებლო, სახეირო.“ ანალოგიურად

ახასიათებს ვაჟა კარგ ადამიანსაც: ,,ისტორიაც კარგ კაცებად იმას ასახელებს ... ვისაც სხვისთვის რამ ურგია და არა მარტო თავისი თავი ჰხსოვნებიაო...“ (კიკნაძე,1989:19)

ვაჟას მიაჩნდა, რომ ცოცხალი ადამიანი არ უნდა იყოს უფუნქციო, არ უნდა ემსგავსოს მკვდარს, არ უნდა შეუდრკეს ცხოვრებას. ვაჟა სწორედ ცხოვრებისაკენ, სიძლიერისკენ მოგვიწოდებს. ლექსში ,,რამ შემქნა ადამიანად“ გამოხატულია წვიმად ყოფნის სურვილი, რაც ლირიკული გმირისათვის არის ბედნიერება. წვიმა არის ბუნების ნაწილი - მარადიული მატერია, რომელიც არასდროს კვდება და ჩამოედინება დედამიწაზე, როგორც ღვთისაგან ბოძებული მადლი. წვიმად ყოფნა ეს არის მარადიული სიკეთე: ,,სიცოცხლეს ვაგრძნობინებდი მომაკვდავ არემარესა“.

ამ გზით ვაჟა-ფშაველა დაამარცხებდა სიკვდილს. ლექსში გამოხატულია წუთისოფლის კანონი, რომ ყოველი სიცოცხლე სრულდება სიკვდილით. თუმცა, ვაჟა-ფშაველას სურს მარადიული სიცოცხლის საზრისს მიაგნოს და როგორც დიდი მოაზროვნე, ხვდება, რომ ეს საზრისი სიკეთის მსახურებაშია:

,,გავიხარებდი, მთა-ბარსა
ოდეს ვნახავდი მწვანედა,
მორწყულსა ჩემის ოფლითა“.

მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა-ფშაველას რთულ პირობებში უწევდა არსებობა და არა ცხოვრება, საჭმელიც კი მონატრებია, მას ერთადერთი საზრუნავი ჰქონდა, რომ ეარსება სწორად, ღვთიურად. ეს სურვილი მწერლის არაერთ ლექსშია გამოხატული. ვაჟა წერს:

,,გლეხი ვარ მიწას შევყურებ,
ბალღი რო დედის უბესა,
ხან ვთიბ, ხან ვმკი. ხან ვთოხნი,
ვაყენებ ოფლის გუბესა.
დაღალულს ქვა რომ მაჭამო,
მომეჩვენება ქადადა.
ბედნიერი ვარ, ოღომც-კი
ქვეყანამ მიცნოს კაცადა.

(ვაჟა-ფშაველა, ,,გლეხის სიმღერა“1986:69)

აქვე ,,სიმღერა“(ვუძღვი ახალგაზრდა მგოსნებს):

,,არც-რა ტანთ მაცვია, არც ფეხთა,
დავდივარ დედიშობილა,
მეც იმათ ჯოგიდამა ვარ,
ვინც სიღარიბით ცნობილა,
ამ წუთისოფლის თორნეში
ბევრი სხვა გამოცხობილა“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,სიმღერა“ ვუძღვნი ახალგაზრდა მგოსნებს, 1986:94)

ვაჟა-ფშაველა წუთისოფლის დაუნდობლობაზე არაერთ პარადიგმას ქმნის. გვახსენებს, რომ ძლიერები უნდა ვიყოთ. როგორც შოთა რუსთაველი ამბობს: ,,ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირისა“, ვაჟაც იმავე აზრს ავითარებს თავის შემოქმედებაში. სიცოცხლე, ეს არის დიდი ბრძოლა და ყველას ვალია გამარჯვება. უნდა იბრძოლოს ადამიანმა, სირთულეები გადალახოს, სწორად იცხოვროს და სულიერ სიმშვიდეს მიაღწიოს, მაშინ იქნება ის ბედნიერი და მაშინ ექნება მის არსებობას აზრი. ვაჟას სულიერი სიძლიერე მის არაერთ ლექსშია გამოხატული:

„არ ვუღალატებ სიცოხლით გზას ჩემს ეკლიანს სავალსა“ (,,ნაღველი“);

,,დამისხი, დამალევინე, ე ღვინო, ოხერ-ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო სოფლის უკუღმა ტრიალი!“ (,,დამისხი, დამალევინე“);

,,ერთი იცინის, სხვა სტირის, ესეთი არი ქვეყანა“ (,,სიმღერა“ (პასუხად).

რაინდული იდეებით მცხოვრები პოეტისათვის, ხორციელი ტანჯვა სულიერი ამაღლებისაკენ მავალი გზაა და ამიტომაც ღირს კიდეც ხორციელი გვემა, თუ კი სულიერი გამარჯვება იქნება მიღწეული. ადამიანის სიცოცხლის შინაარსად უნდა იყოს ქცეულ იდეალებზე ფიქრი და ოცნება, ზნეობრივი საწყისისადმი ერთგულება და მისთვის თავგანწირვა. ასეთ დროს ვაჟა ვედრების ფორმასაც მიმართვას. (,,ჩემი ვედრება“, 1893 წ.):

,,ნუ დამასვენებ ნურადროს,
მამყოფე შეძრწუნებული,
მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ,
როცა ვარ შეწუხებული“.

ეს ჭეშმარიტი რაინდის ვედრებაა, რაინდისა, რომელსაც თავისი არსებობის ფორმად შემოქმედებითი ცხოვრება უქცევია, მაღალი აზრისა და სასიკეთო გრძნობის

ღირებულება გაუცნობიერებია და სხვისთვისაც მაღალი აზრებითა და ფაქიზი განცდებით ცხოვრება დაუსახავს მიზნად“ (ევგენიძე, 1989:261).

,,ქვეყანა იქცა დუქნადაო“, - წუხს ვაჟა და დიდი ტკივილებით შეპყრობილი, ღვინით აპირებს ამ ადამიანური იარების გაყუჩებას:

,,დამისხი,დამალევინე
ე ღვინო, ოხერ-ტიალი,
ეგება წაღმა ვიფიქრო
ქვეყნის უკუღმა ტრიალი!
ეგება გულის ვარამი
ჩავკლა მა ჯიხვის რქაშია:
თვალთ-წინ დამიდგეს ლამაზი,
ჟრჟოლა მამკიდოს ტანშია.
დეზი ვკრა ჩემსა ლურჯასა,
გადავერიო ზღვაშია
თქვენთან ძაღლურსა სიცოცხლეს,
სიკვდილი მიჯობს ცაშია,
ვერ მოაწონებთ ვაჟკაცსა
რაც არ უჯდება ჭკვაშია.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,დამისხი დამალევინე“ 1986:36)

პოეტის გული ამ ქვეყნად ვერ ლაღობს, რადგან, ამ ქვეყნის ,,ავკარგის გაცნობას თურმე თან ცრემლი ჰხლებოდა,“ ამას ჩივის კიდეც:

,,გული გავგზავნე ქვეყნადა,
სალაღოდ,სანავარდოდა,
სულ უტიფარი და ნორჩი;
ვინ იცის საით დარბოდა.
დაბრუნდა, ჩემთან მოვიდა,
შევხედე, ველარ ვიცანი:
ათი-ათასი წყლული სჭირს
ტანჯვა ვაების ნიშანი…“

(ვაჟა-ფშაველა, ,,გული გავგზავნე ქვეყნადა“)

ვაჟას სურდა ადამიანში ზნეობრივის გაღვიძება და სწუხდა, რომ თანამედროვე საზოგადოება, ქალიცა და კაციც, ზნეობრივი სიღატაკის გზას დასდგომოდა, ადამიანური სახე დაჰკარგვოდა:

,,სცხვენოდეს ახალ-უხლებსა,
კაც იყოს, თუნდა ქალია,
რომ მთელი მათი არსება
ფუჭმა საგნებმა დალია!
კაცმა ქალობა დაიწყო,
კოხტაობს, სიტყვა-ნაზია,
ფერსა და უმარილს ისომს,-
მაშ არ მომივა ბრაზია?...
ქალიც და კაციც გაფუჭდა-
აღარ სძევთ ძველი ფერია,
მათ გულში ქაჯი დაბუდდა,
კაცის ნამუსის მტერია…“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ვინ არის კაცი?“ 1986:51)

ასეთად ხედავდა გარემო სინამდვილესა და თანამედროვე ადამიანს ვაჟა და რეალობა მისთვის იმდენად შემზარავი იყო, ნანობდა კიდეც ადამიანად დაბადებას.

,,რამ შემქმნა ადამიანად,
რატომ არ მოვედ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავ მუდამა
ღრუბელთ გულ-მკერდის მძივადა.
ცაშივე ამიტაცებდა,
თან მატარებდა შვილადა.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,რამ შემქმნა ადამიანად“,1986:87)

„კაი ყმის“, გმირის ფენომენს და მის ფშავურ გააზრებას ეხება ვაჟა წერილში „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიაში“, სადაც აღნიშნავს, რომ: „გმირი ფშაურს ლექსებში ,,ვაჟკაცად“, ,,კაი ყმად“ იხსენიება; იგი თემიდან გამოდის, თემს ემსახურება, იმის გულისათვის იბრძვის. გმირის მაღალი ზენობა და საგმირო საქმენი თემს დასტრიალებს თავზედ. გმირს რამდენადაც ომში გულადობა, იმდენად თავის თემში

თავმდაბლობა და მოთმინება უხდება. აი, სახალხო გმირი როსტომი რას ამბობს თავის თავზე,როგორ ესმის გმირობა:

„გმირი მეც ვიყავ,
ჯირითი შემოვისრიე:
სოფელში ამაყობასა
ისევ დათმობა ვირჩიე“

(ვაჟა-ფშაველა, „გმირის იდეალი ფშაურ პოეზიაში“, 1986:)

ამრიგად, ვაჟა-ფშაველას აზრით, კაცად წოდების ღირსი ისაა, ვინც ცხოვრებას ზნეობრივ მიზანს უსახავს, არ ღალატობს ადამიანურ ღირებულებებს, ვისაც სამშობლო მიაჩნია ამქვეყნიურ ღმერთად.

თავი IV

ზნეობრივი პარადიგმები

ვაჟა-ფშაველას პეიზაჟურ ლირიკაში

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ადამიანი და ბუნება უწყვეტ ერთიანობაშია წარმოდგენილი. მწერლის აზრით, ადამიანი ორგანული ნაწილია ბუნებისა: ,,რაც უნდა უმაღლეს მწვერვალს მიაღწიოს კაცობრიობის ცხოვრებამ, მაინც მასში უნდა ჩანდეს ბუნება საერთოდ… ჩვენ ბუნებაში ვართ და იგი ჩვენშია. საით, როგორ შეგვიძლია იგი თავიდან ავიშოროთ. იმას გავექცნეთ, დავემალნეთ? ცოცხალნიც მისნი ვართ,მკვდარნიც“ (ვაჟა-ფშაველა 1964: 395)

ხევი მთას ჰმონებს, მთა ხევსა,
წყალნი ტყეს,ტყენი მდინარეთ,
ყვავილნი მიწას და მიწა
 თავის აღზრდილთა მცენარეთ.
და მე ხომ ყველას მონა ვარ,
პირზე ოფლ-გადამდინარედ.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ღამე მთაში“, 2006: 143)

მწერლის ბუნება ზნესრული, ნათელი, უბოროტო და სპეტაკია. შეუძლებელია ვნახოთ ისეთი ლექსი, სადაც არ იგრძნობოდეს ის კეთილგანწყობა და ერთგვარი მოკრძალება, რასაც ვაჟა იჩენდა ბუნებისადმი. მეტიც, პოეტი ბუნებას იმდენად უფრთხილდება, რომ ღმერთსაც კი შესთხოვს მის მფარველობას: ,,ღმერთო, არ მისცე ყვავილთ ზიანი“ (,,ჩიტი-ჩიორა“). მსგავსი განცდითაა დაწერილი ვაჟას ლირიკის მშვენება ,,იას უთხარი ტურფასა“, რომელიც თავის გარდაცვლილ მეუღლეს, კეკე ნებიერიძეს, მიუძღვნა და მასში ის ტკივილი ჩაატია, რომელიც საყვარელი ქალის

წუთისოფლიდან უდროოდ წასვლამ გამოიწვია. ნაზ იად გარდასახული სიყვარული მიწისთვის რუდუნებით მიუბარებია პოეტს და ეხვეწება, უპატრონოს მას:

,,მიწავ, შენ გებარებოდეს
ეს ჩემი ტურფა იაო,
შენ უპატრონე, ემშობლე,
როგორაც შენი ზნეაო."

(ვაჟა-ფშაველა, ,,იას უთხარი ტურფასა“,1986:53)

ვაჟასთვის უცხო არ არის ადამიანური გულისტკივილი, ცრემლი: ,,ვისაც არ მოგწონთ ტირილი, ის ნუ დაჯდებით ჩემთანა“ („პასუხად“). მან აამეტყველა ბუნება, უსულო საგნებს ადამიანური მგრძნობელობა მიანიჭა, ამიტომ ამბობს სიამაყენარევი თავდაჯერებულობით:

,,უსულო საგნებს სული ჩავბერე,
ავასაუბრე ლოდები კლდისა
და, როგორც მეფე, გავათამამე
მწირი ბალახი, ის ქუჩი მთისა“.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ნუგეში მგოსნისა“ 1986:25)

ლექსში ,,ღამე მთაში“ ავტორი მრავალგზის ფიქრით მიღებულ დასკვნას გვთავაზობს, რაც მდგომარეობს ბუნების საოცარი სილამაზის მიზეზის ახსნაში. ეს ის ჰარმონია და წონასწორობაა, რაც ბუნებაში სუფევს, ყველაფერი ერთმანეთს ემონება: ხევი-მთას, მთა-ხევს, წყალი-ტყეს, ტყე-წყალს, ყვავილი-მიწას, მიწა-ყვავილებს… პოეტს სწამს, რომ ეს ცხოვრებისა და თანაარსებობის საუკეთესო ფორმაა:

,,მადლი შენ,ყველა ერთმანეთს,
უფალო დაუმონია;
ამაზე ტურფა და კარგი
მე სხვა აღარა მგონია!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ღამე მთაში“, 1986:28)

ასეთი შინაგანი წონასწორობა აძლევს ბუნებას სრული დამოუკიდებლობისა და თვითმყოფადობის უფლებასა და შესაძლებლობას. ისიც აბსოლუტურად თავისუფალია ყოველწამიერად თუ საზოგადოდ - ყოველ სურვილს ისრულებს: თუ

სურს, ,,ცა წყნარობს“ თუ არა - ,,სდგას ლეწვა-მტვრევა ბრძოლისა“ და ღვარი ტყე-კლდეებს კაწრავს. სიკეთეც ხელეწიფება და ბოროტებაც, თეთრი საქმეც და შავიც, სილამაზის შექმნაც, რადგან თვითონაა მბრძანებელიც. ლექსის იდეას, რომ ბუნება ჰარმონიას, სრულ თავისუფლებას ეფუძნება, ვაჟა ფინალური სტროფებით გადმოგვცემს:

,,ბუნება მბრძანებელია,იგივ მონაა თავისა,

ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა;…

მაინც კი ლამაზი არის,მაინც სიტურფით ჰყვავისა!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ღამე მთაში“, 1986:28)

ამავე ლექსშია გამჟღავნებული ადამიანისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების ვაჟასთვის მისაღები პრინციპი - ისეთივე ურთიერთმონობა და ურთიერთმბრძანებლობა, რაც ბუნების შვილთა შორის სუფევს. ვაჟას მოთხრობების მიხედვით, ადამიანია ბუნების შვილთა ტანჯვის მიზეზი, მათი უბედურების გამომწვევი და სილამაზის გამანადგურებელი, რადგან ბუნებაში მტრულად მიდის და არა სიყვარულით. ურთიერთმონობის პრინციპს კი საფუძვლად სწორედ სიყვარული უდევს. პოეტი თვითონ გვიჩვენებს სამაგალითო საყრდენს - ბუნებაში მონად მიდის, რითაც მბრძანებელიც ხდება:

,,და მე ხომ ყველას მონა ვარ,

პირზე ოფლ-გადამდინარედ!“

მისი მონა და მბრძანებელი ხდება ბუნებაც და ამით მათ შორის საოცარ ურთიერთსიყვარულს ეყრება საფუძველი. ბუნების ყოველი მოვლენა განკაცებულია, პერსონიფიცირებულია:

,,ოცნება ტანჯულ ქვეყნისა ქვითინებს მთისა წვერზედა“;

,,მინდა შავეთში მომღერალს სტუმრად მწვევიყვნენ მთანია,

თან კლდენი შავგვრემანნი, მთების მამშვენნი ძმანია“;

„ჯაჭვით გადაბმულთ, მხარ-ბეჭ მიყრდნობილთ,

ერთი სიზმარი ეზმანათ მთათა ‘’-

,,ჩამოიწყვიტეს მთებმა საკინძი, ჩამოიგლიჯეს ჩოხების კალთა“;

ან კიდევ:

,,დაღამდა… წვრილნი ვარსკვლავნი

აყვავდნენ,დასხდნენ ცაზედა;
მთვარე კი ჯერ არსად სჩანს,
არ დაგვნათოის თავზედა.
ჯერ თუ არ გაუღვიძნია,
ისევ თუ სძინავს მკლავზედა!
ჯერ გამმარჯვება არ უთქვამს
შემომჯდარს გორის ფხაზედა,
სხივნი არ დაუგზავნია
პირის საბანად წყალზედა…“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ღამე მთაში“1986:28)

ვაჟას შემოქმედებაში ბუნების მოვლენები ურთიერთგაგების უნარით ხასიათდებიან; ყოველი მონაკვეთი ბუნებისა, არსება თუ მოვლენა, ფლობს უნარს სწვდეს მეორის გულისწადილს და გამოხატოს იგი. სხვა მოვლენის გაგება და წვდომა საკუთარი შინაარსის გამოხატვაცა. ამასთანავე, სხვისი გაგება ,,შენაწონება“ მასთან შეთანხმებულობის გამოხატულებაცაა, რადგან ერთის ცვლილება მეორეშიც ჰპოვებს შესატყვისს ცვლილებას. ბუნების მოვლენათა ამგვარი შეთანხმებულობა არის განსახიერებული ვაჟას შემოქმედებაში:

,,ხევი მთას მონებს,მთა ხევსა,…
თავის აღზრდილთა მცენარეთ“… (ღამე მთაში)

პოეზიაში თითქმნის გაცვეთილ სახედ იქცა მთვარის გამო-ღვიძება,მაგრამ მხოლოდ ვაჟამ სთქვა ასე ძლიერად,სადად და გენიალურად:

,,მთვარე კი ჯერ არსად სჩანს,..
პირის საბანად წყალზედა“… (ღამე მთაში)

ვაჟა წერს,რომ ბუნება ,,ერთფერად მტვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა, ზოგჯერ სიკეთეს იხვეჭავს,ზოგჯერ მქმნელია ავისა.“

საქმეე ისაა, რომ თავისთავად სიკეთისა და ბოროტების არარსებობაზე კი არ ლაპარაკობს ვაჟა, არამედ იმაზე, რომ ამ შემთხვევაშივ ბუნება მათდამი განურჩეველია… გარკვეული მიჯნაა ბუნებასა და ადამიანს შორის… გარკვეულინ წინააღმდეგობაცაა.

ვაჟა ადამიანის წინაშე ავისა და კარგის გარჩევის დიდ მოთხოვნილებას აყენებს.

პოეტი განსაკუთრებით აღფრთოვანებულია ბუნების ასეთი მოვლენებით, სადაც ამჩნევს ანალოგიურ რიტმს, რათა მისი საშუალებით საკუთარი სულიერი ცხოვრების რიტმი გამოხატოს. ამის საუკეთესო მაგალითია სიმღერა ,,რამ შემქნა ადამიანად". ამ სიმღერაში პოეტი ნატრობს წვიმად ყოფნას,რადგან წვიმა ციდან დაშვებისას არ კარგავს სულიერ სიმაღლეს, სწორედ ამ დროს არის იგი მადლით სავსე, როცა თავისი ოფლით რწყავს მიწას. არც მაშინ აკლია მადლი, როცა ჯერ კიდევ ,,გულ-მკერდის მძივად" აბნევია ღრუბლებს. აი,რატომ ნატრობს პოეტი წვიმად ქცევს და რაში ხედავს ადამიანად ყოფნის ნაკლს. წვიმად მოსვლის ნატვრაში მეორდება მოტივი სიმღერისა ,,მთას ვიყავ"-ორივე სიმღერა შთაგონების სიმღერაა,რაც ცხადი გახდება,მათი ზედაპირული შედარებისას. პოეტი ამბობს ,,მთას ვიყავ,ვლაპარაკობდი ღმერთთანა", წვიმადმოქცევადი იტყვის ,,არ გამწირავდა პატრონი, ასე ოხრად და ტივლადა! ცაშივე ამიტაცებდა, თან მატარებდა შვილადა." აქ აღსანიშნავია პარალელიზმები: მთას ყოფნა-ცაში ატაცება, ღმერთთან ლაპარაკი - ღვთის(პატრონის) შვილობა. ადამიანი ამბობს: ,,თვალწინ მეფინა ქვეყანა". წვიმადმოქცევადი: ,,მაღლა ცა,დაბლა ხმელეთი,მე მექნებოდა წილადა." ადამიანი: ,,გულზედ მესვენა მზე-მთვარე". წვიმადმოქცევადი: ,,გადავუშლიდი გულ-მკერდსა, დღისით მზეს, ღამით_მთვარესა." ადამიანი: ,,სიცოცხლე, მისთვის სიკვდილი, მქონდა მეორე რჯულადა." წვიმადმოქცევადი: ,,რომ ისევ ჩემი სიკვდილი, სიცოცხლედ გადიქცეოდა."

„რამ შემქმნა ადამიანად?
რატომ არ მოვედ წვიმადა,
რომ ვყოფილიყავ მუდამა
ღრუბელთ გულ-მკერდის მძივადა,
მიწაზე გადმოსაგდებად
ცვარად ან თოვლად ცივადა?
არ გამწირავდა პატრონი
ასე ოხრად და ტივლადა!
ცაშივე ამიტაცებდა,

თან მატარებდა შვილადა.

ასე არ დამჭირდებოდა

სულ მუდამ ყოფნა ფრთხილადა.

მზის მოტრფიალე ვივლიდი

სიკვდილის გამაწბილადა;

მაღლა ცა,დაბლა ხმელეთი

მე მექნებოდა წილადა.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,რამ შემქნა ადამიანად“, 1986:87)

„წვიმა, მიწისთვის უნაშთოდ შეწირული - მისი მოვლენა მაგალითი უნდა ყოფილიყო პოეტისათვის, რომელიც შემოქმედებითი აღფრთოვანების წუთებში გრძნობდა თვითითშეწირვის სიტკბოებასა და მადლს.ვაჟას შემოქმედებაში წვიმა არის წმინდა მსხვერპლი.ამით პოეტის განცდაში იგი ემსგავსება სამსხვერპლოდ დაღვრილ სისხლს,რომელიც არაგვის პირას ბრწყინავს“ (კიკნაძე,2002:117)

„გავიხარებდი, მთა-ბარსა

ოდეს ვნახავდი მწვანედა,

მორწყულსა ჩემის ოფლითა,

ყვავილებს შიგნით,გარეთა.

გადავუშლიდი გულ-მკერდსა

მომაკვდავ არე-მარესა.“

(ვაჟა-ფშაველა,1986:87)

სიმღერა ,,რამ შემქნა ადამიანად“ ვაჟას ლირიკის მშვენებაა. ამ ლექსის შესახებ აზრთა სხვადასხვაობაა. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს სევდიანი განწყობილებითაა დაწერილი სიცოცხლემობეზრებული კაცის მიერ, რომელიც ადამიანობის ტვირთზე უარის თქმას ფიქრობს, ხოლო პროფესორი ზურაბ კიკნაძე განიხილავს როგორც სიმღერის ,,მთას ვიყავ“ მოტივზე შექმნილ ლექსს და მასში ამოიკითხავს ,,თვითშეწირვის სიტკბოებასა და მადლს“.

ვაჟას ქალიშვილის გულქან რაზიკაშვილის თქმით, მის მიერ დაწერილ ერთ სტროფს მიუცია ბიძგი ვაჟასთვის ამ ლექსის შესაქმნელად. სიმღერის უმთავრესი სათქმელი ისაა, რომ პოეტს სიკვდილის დამარცხება, მისი სიცოცხლედ გადაქცევა

სურს, რასაც არაერთხელ ნატრობდა სხვა ნაწარმოებებშიც. წვიმა მისთვის ამ საოცარი უნარის მქონებელია, რადგან ,,სიცოცხლეს აგრძნობინებს მომაკვდავ არემარეს", მისი ,,სიკვდილი სიცოცხლედ გადიქცევა" და განაახლებს ბუნებას, აამწვანებს გადამხმარ კორდს, დაარწყლულებს მცენარეებს… ამ სტრიქონების ამოკითხვისას ჩნდება მაცხოვრის ასოციაცია, ვინც თავის სიკვდილით დათრგუნა სიკვდილი და მოუტანა კაცობრიობას მარადიული სიცოცხლე,უდიდესი განახლება აღდგომის სახით… როგორც უფალმა დაღვარა თავისი სისხლი ჯვარცმისას, ისევე წვიმაც თავისი ოფლით რწყავს გარემოს.

„თოვლად გცეულსა გულშია
ცეცხლად იმედი მრჩებოდა,
რომ ისევ ჩემი სიკვდილი
სიცოცხლედ გადიქცეოდა
და განახლებულ ბუნებას
ყელ-ყურზედ მოეხვეოდ."

(ვაჟა-ფშაველა, ,,რამ შემქმნა ადამიანად",1986:870)

ვაჟასთვის მთელი ბუნება ერთიანად სულჩადგმული, ერთი და იმავე ღვთაებრივი გონებითაა გამსჭვალული; ამიტომ ის ვერავითარ არსებითს განსხვავებას ვერ ჰხედავს არათუ ადამიანსა და ცხოველსა, არამედ ადამიანსა და ე.წ. არაორგანულ სამყაროს შორისაც. მას სრულიად ბუნებრივად მიაჩნია თავის თავის შედარება ნაიალაღარ ხართან ან მთის არწივთან, ერთს თავის სიმღერაში ის ნანობს, რომ ადამიანად გაჩნდა: ,,რამ შემქნა ადამიანად… ყელყურზე მოეხვეოდა".

ამ ლექსში, რომელიც 1913 წელსაა დაწერილი და თითქოს სიკვდილის წინათგრძნობითაა ნაკარნახევი, ნათლად ვხედავთ, რას თვლიდა ვაჟა ადამიანის შეჩვენებად, მისი ტრაგიზმის წყაროდ. ადამიანი უბედურია იმიტომ, რომ ხდება მისი ინდივიდუალიზაცია, მისი გამოთიშვა უპირობო ბუნებისაგან. თუ ეს არ ყოფილიყო, მას არ ეცოდინებოდა,რა არის სიკვდილი, ვინაიდან ბუნებაში არაფერი არ კვდება, იქ მხოლოდ მეტამორფოზი ხდება (ქიქოძე, 2002:117).

ბუნება გვესაუბრება ვაჟას მოთხრობებიდანაც, გვესაუბრება ადამიანთა დაუნდობლობაზე, მათი არსებობის სირთულეზე, ტკივილზე: „რა შეუბრალებელია

კაცი?! - მოსთქვამს ია, - რასაც კი დაინახავს,უნდა რომ თავის სასარგებლოდ მოიხმაროს.

ხმელი წიფელი ამოიკვნესებს ღრმა კვნესით, და არც ავად, არც კარგად, ყურს არ ათხოვებს ამ ამაყ მცენარეთ, მაგრამ ,,ადგილის დედის“ ზღაპარს კი ყურს უგდებს. თითოეული მისი სიტყვა ლახვარივით გულზე ესობა და უჩუმრად ცრემლსა ჰღვრის. საბრალო წიფელი! ერთი დრო იყო,რომ ესეც ამაყად გაბაჯღული იდგა… ფიქრობს ხმელი წიფელი თავის თავზე,ა წმყოსა და მომავალზე; გულში თითქოს ღრმად ჩასჭედია მწუხარება. ხანდახან გადმოაცქერდება მის ერთ ფესვის ბოლოზე ამოსულს, პატარა დასახულ ყლორტს, რომელიც მზეს და წვიმას უცდის,რომ გაიზარდოს.ესღაა იმისი ნუგეში…“

ვაჟას მთელი პოეზია, თითქოს ბუნების ანარეკლია. ამ უკანასკნელს ვაჟა-ფშაველა ისე კი არ ხატავს, როგორც საგნებს, არამედ იმ გრძნობებს, რომელსაც ამ ბუნებაში პოულობს და რომელთანაც თავის გრძნობებს ყოველთვის აკავშირებს. ,,ნისლი ფიქრია მთებისა“ - ისე შთამაგონებლად იძახის, რომ მართლა გვჯერა ამ ნატვრის ცხოველმყოფელობა, როგორც ბუნების ნამდვილი გულთამხილავი და მესაიდუმლე,ისე ელაპარაკება მთას, ნიავს, მდინარეს, ხეს, ქვას…

,,მთავ,შენ ის ჩემი ნათქვამი
გულ-მკერდზედ დაიწერიდიო.“
ან ,,მთანი თავ-ჩანჩქნიანები,
ფიქრს მისცემიან მწარესა…“

მკითხველის გულში განსაკუთრებული ადგილი დაიკავა ვაჟა-ფშაველას შედევრალურმა ლექსმა „არწივი“:

არწივი ვნახე დაჭრილი
ყვავ-ყორნებს ეომებოდა,
ეწადა ბეჩავს ადგომა,
მაგრამ ვეღარა დგებოდა,
ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,
გულისპირს სისხლი სცხებოდა.
ვაჰ, დედას თქვენსა,ყოვებო,
ცუდ დროს ჩაგიგდავთ ხელადა,

თორო ვნახავდი თქვენს ბუმბულს

გაშლილს,გაფანტულს ველადა!

(ვაჟა-ფშაველა, ,,არწივი“,1986:80)

ლექსი ,,არწივი“ თვითონ ვაჟასაც ძალიან ჰყვარებია და ხშირად ამბობდა ხოლმე,როცა ლექსის თქმასა სთხოვდნენ სუფრასთანა თუ სცენაზე. ამ ლექსში, რა თქმა უნდა, სამშობლო, საქართველო იგულისხმება, ათასი ჯურის მტრებისაგან ნაჯიჯგნი და განაწამები. მართლაც,საოცარი სიმბოლიკაა:დაჭრილი არწივი და ყვავ-ყორნები.

ამ ლექსის შექმნისთვისაც, როგორც გადმოგვცემენ, პირად ინციდენტს მიუცია ბიძგი. ერთნი ამტკიცებენ, რომ შექეიფიანებულა ვაჟა, ოცდაექვსი წლის ჯან-ღონით სავსე, ძლიერი, შეუპოვარი, მართლაც არწივის მსგავსი, მგზავრ ხევსურებს რატომღაც მოშარებია ჩარგლის კარს,ხევსურებს უცემიათ და ამაზე დაუწერიაო.

მეორენი ამტკიცებენ, ნადირობის დროს თავად დაუჭრია არწივი და მისი წვალებისათვის რომ უცქერია, ძლიერ შებრალებიაო.

ვაჟას ქალიშვილი თამარი კი გადმოგვცემს, როცა მეტყევე ხიზანიშვილმა ხელშეკრული ჩაიყვანა თიანეთში, იქიდან დაბრუნებულმა დაწერაო.

იმისი დადგენა, თუ რომელი ამათგანი შეეფერება სინამდვილეს, ძნელია. ერთი კი აშკარაა, რომ, მართლაც პირად ინციდენტს მიუცია ბიძგი ამ შედევრის შესაქმნელად.

,,არწივი ვნახე დაჭრილი, ყვავ-ყორნებს ეომებოდა“, - გვეტყვის ვაჟა და ეს არწივი საქართველოა ჩვენთვის, თუნდაც ლექსის შექმნის მომენტში ავტორს არც ეფიქროს ამგვარ ალეგორიაზე.

ეს ყვავ-ყორანი მუდამ ერთია, ,,საქრთველოს უკვდავი მტერი“. გარეულიც და შინაურიც, რომელიც ფეხქვეშ თელავს სიმართლის ყვავილებს,მითიურ გმირს გულ-ღვიძლს უკორტნის,მის წინააღმდეგ რკინას ჰკვერავს, ხოლო დაჭრილ არწივს წამოდგომას არ ანებებს: ,,ეწადა ბეჩავს ადგომა, მაგრამ ვეღარა დგებოდა. ცალს მხარს მიწაზე მიითრევს,გულისპირს სისხლი სცხებოდა“.

საბედნიეროდ, არწივი არ მომკვდარა, მხოლოდ დაჭრილია, არც სძინავს და წამოდგომის სურვილი აქვს. იმედიც და ძალაც ამ სურვილმა უნდა აღმოაცენოს და კიდევ იმან, რომ არწივს მართვეები რჩება ხოლმე, ხოლო ყვავ-ყორნებს - ბახალები.

შიო მღვიმელსაც მიუწერიათ წერილი ვაჟასთვის, სადაც თურმე ანუგეშებდა მგოსანს: ,,გაუმთელდაო წყლულები, არწივს, დაკოდილს მხარშია…უჭირველივით ყაშყაშებს, ცხადად ეცანითო ხმაშია“. ვაჟა აღფრთოვანებულია ამ ,,ცნობით“, მაგრამ მეგობრის სიხარულს და აღტაცებას ბოლომდე ვერ იაზრებს, მაინც ფხიზლობს პოეტი:

,,ერთი რამე მაქვს სათქმელი,
იქნებ დაგიჯდესთ ჭკვაშია:
მკერდში არავინ დაგვიჭრას
გმირი დაჭრილი მხარშია
და დღეს კი გამორჩენილი,
ჭკვა მოვიგროვოთ თავშია,
არ გადამექცეს არმადა
სიცოცხლე მთა და ბარშია“…
(ვაჟა-ფშაველა, ,,არწივი“, 1986:80)

როცა კაი ყმა სულეთში შევა,იქაც მისმა ,,ძმამ“ - არწივმა უნდა გაუკაფოს გზა, ყაშყაშით უნდა აცნობოს ,,მოშავეთეთ“, რომ კაი ყმა მოდის (,,კაი ყმა“).

არწივი ვაჟას შემოქმედებაში (თარგმანებს და ვარიანტებს არ ვითვალისწინებთ) 340-ჯერ არის ნახსენები და ეს ბუნებრივია, რადგან არწივი ფრინველთა მეფეა, ისევე როგორც ლომი - ცხოველთა. ვაჟა ამბობს: ,,ნუცა მსმენია სიკვდილი და ნუმც მინახავ ლომისა! ნუმც მინახია არწივი, შნო აღარ ჰქონდეს ომისა! ლომს ტახტი უდგა მხეცებში, არწივს-ფრინველთა შორისა!“(,,სიმღერა“-ნუმც მსმენია სიკვდილი).

სხვა დიდ და ხორცისმჭამელ ფრინველთაგან არწივის განმასხვავებელი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ის გახლავთ,რომ იგი მძორს არ მიირთმევს, მხოლოდ თავისი ნანადირევით იკვებება. ერთ-ერთ თავის ადრინდელ პოემაში (1886წ.) ვაჟა მონადირეს ათქმევინებს: ,,მინდოდა, არწივისადაც მეცა პატივი ბევრჯერა,მაგრამ სხვის მოკლულს არა სჭამს ამაყი, ლაღი, ჩემფერა. მარტუა დავა მოზვერი, არწივს იკარებს ახლოსა, თუ არ თავის ბრჯღლით ნაშოვნსა რჯულია, პირი ახლოსა?“

თუ რას წარმოადგენს ვაჟას სულის ენერგიის ქმედობისათვის არწივი, ეს თვითონ ვაჟამ თქვა ლექსში ,,მარტოობა“:

,,…არა სჩანს ჩემი არწივი,
რო მხარი დამკრას მხარზედა,
ავენთო,როგორც საკირე,
დავიწვა თავის ალზედა…
მოდი,არწივო,სადა ხარ?
შორითვე გიცნობ ხმაზედა,
შენს მოსვლას როცა კი ვიგრძნობ,
გამოვიცვლები წამზედა,
მყის ვტოვებ დედამიწისა,
გადავსახლდები ცაზედა…
ხან ფანდურს შავაჟღარუნებ,
ხან დავამღერებ თარზედა…
როცა არწივი თან მახლავს,
მიზის მარჯვენა მხარზედა,
მეფისა მადგა გვირგვინი,
ვზივარ სამეფო ტახტზედა!
შეურაცხყოფას ვინ მკადრებს!
სალამს მიძღვნიან ცდაზედა.
როცა არწივი წამივა,
ჩვარი ვარ,მცირე ჩვარზედა…“

(ვაჟა-ფშაველა, ,,არწივი“, 1986:80))

როგორც ლექსები და პოემები, ასევე მოთხრობები გამორჩეულია ზნეობრივი პარადიგმებით. ვაჟას შემოქმედება მთლიანად აგებულია სიკეთეზე, პატრიოტიზმზე. ვაჟა-ფშაველას მოთხრობებს შეუძლია უდიდესი გავლენის მოხდენა ადამიანზე, მის მორალურად სრულყოფაზე. ვაჟა ადამიანურ, მორალურ, ღირებულ თვისებებს აწერს შვლის ნუკრს, ხმელ წიფელს , იას, მთის წყაროს... ეს თვისებები კი გადადის მკითხველზე. ვსწავლობთ სიკეთეს , მზრუნველობას... შეუძლებელია ბავშვმა ,,შვლის ნუკრის ნაამბობი“ წაიკითხოს და ემოციებს არ აყვეს, არ ატირდეს. შეუძლებელია ატირდეს, იგრძნოს შვლის ნუკრის ტკივილი და ცუდად მოექცეს ცხოველებს, არ მოუფრთხილდეს და არ უყვარდეს ისინი.

ადამიანის თვისებები არის წარმოდგენილი ასევე მოთხრობაში ,,ია“. როგორც ადამიანის ზნეობრივი მისიაა - გააბედნიეროს სხვები, მიანიჭოს სხვებს სიამოვნება, ისევე იქცევა იაც : ,,მანამ ცოცხალი ვარ, ჩემის სილამაზით დავატკბობ ტყეს, ბალახს და იმ გაღმიდან გამომცქერალს გულხავსიანს კლდესა, სუნელებას მივაფრქვევ არემარეს.“

გასულიერებული მთის წყაროც ზნეობრივად სუფთაა, უცოდველი: ,,არაფერი ცოდვა არ მიქნია ჩემს სიცოცხლეში. ვერც ერთი სულიერი,თუნდ უსულო, ჩემს ცოდვას, ჩემს სიავეს ვერ იტყვის. ღმერთს ესე დავუწესებივარ: უნდა ვიდინო, ვიდინო, ყველამ ჩემით უნდა მოიკლას წყურვილი.“

ვაჟა-ფშაველას ისევე როგორც მთის წყაროს მარადიული არსებობა იმიტომ სურს, რომ სიკეთე მარადიულობად ქცეულიყო, ამიტომ ათქმევინებას დანანებით მთის წყაროს: ,,ნეტავი დამბადებელს ესე არ დავეწესებინე და სულ დაუსრულებლად მედინა, მერწყო მცენარენი, დედამიწის ლამაზი გული, მომეკლა კაცთა და ცხოველთა წყურვილი!..“

ვაჟა შთამბეჭდავ სურათს გვიხატავს ბებერი, ტანში გადატეხილი ხმელი წიფლისა, რომელსაც ახალგაზრდა ხეები დასცინიან. ის არის კეთილი და თავმდაბალი ადამიანის განსახიერება, ვაჟა კი გმობს ისეთ საქციელს ადამიანებში, როგორც ახალგაზრდა ხეები იქცევა. რადგან: ,,განა რაც ყველა ხმელია კაცთაგან საწუნარია? ათას ცოცხალსა ასჯერ სჯობს ერთი მკვდარია.“

,,ფესვებში“ გადმოცემულია მუხის გულისტკივილი, რომელიც მოჭრეს, რომელსაც სიცოცხლე და შრომა სწყუროდა: ,,ღმერთო, ნუ დაგვკარგავ! ბედო, ნუ გვიმტყუნებ, დედამიწავ, კიდევ გაგვიჩინე ბინა! სიცოცხლე და შრომა გვწყურია. გვინდა კიდევ ვიშრომოთ,ეგები კიდევ გავზარდოთ ჩვენს ფესვებზე შვილი, ეგები კიდევ ვიგრძნოთ სიხარული. ბუნების ძალნო, შეიწყალეთ საბრალო ფესვების მუდარა.“

მოთხრობებში: ,,შვლის ნუკრის ნაამბობი“, ,,ია“ ,,ფესვები“ ვაჟა გვაჩვენებს ადამიანის უსულგულო, დაუნდობელ დამოკიდებულებას ცხოველებთან და მცენარეებთან, ბუნებასთან. ვაჟა-ფშაველას მთავარი მიზანი კი სწორედ ამ ცუდი თვისებების დაგმობაა. მისი ყველა ნაწარმოები სწორედ ამ პრინციპით არის ღირებული: უარყავი უზნეო, ცუდი ქმედებები, დაიცავი ღირებული!

ამრიგად, ვაჟას სურს მკითხველსაც გაუღვიძოს ბუნების სიყვარული. პოეტს უნდა, ადამიანები ბუნების მსგავსად ერთმანეთისათვის არსებობდნენ, ერთმანეთზე ზრუნავდნენ. სამშობლოს დაცვის გამბედაობა ჰქონდეთ, რადგან ასეთი ადამიანების არსებობით ხერხდება ქვეყნის არსებობაც.

თავი V

ჩვეულებითი სამართალი, როგორც ზნეობრივი პარადიგმა

„ვაჟა-ფშაველას მდიდარი მემკვიდრეობა საინტერესოა ჩვეულებითი სამართლის შესწავლის მხრივაც. ამ კუთხეთ ვაჟას ეთნოგრაფიული წერილები შესწავლილია, მაგრამ ეთნოგრაფიული ნაწერების გარდა ჩვეულებითი სამართლის ცალკეული საკითხები აისახა ვაჟას მხატვრულ შემოქმედებაშიც. ვფიქრობთ, ინტერესმოკლებული არ იქნება ვაჟა-ფშაველას იმ ნაწარმოებთა განხილვა, სადაც აისახა ფშავ-ხევსურეთში მოქმედი ჩვეულებითი სამართლის ნორმები“ (ზოიძე, 1991:144).

პიესა ,,მოკვეთილში“ დეტალურად არის აღწერილი დამნაშავის თემისაგან მოკვეთის პროცესი. ჩონთასთან პირადი მტრობის გამო ბახა ქისტებს შემოუძღვა და ფშავი ააკლებინა. ეს იყო თემის ღალატი, რაც ჩაქოლვით ან მოკვეთით ისჯებოდა. ხალხმა ბახას ჩაქოლვა მოითხოვა,მაგრამ ხევისბერმა თემს სასჯელი შეაცვლევინა: ,,ჩვენ ჩაქოლვაზე მეტი სასჯელი გვაქვს გულში გადაწყვეტილი… ბახა ჩვენი აღარ

არი, არარ არი ლაშარის ჯვრის ყმა, აღარ არის ფშაველი…(საერთო ხმა) ,,მოკვეთილი იყოს ჩვენგან. მოკვეთილი!“ ბახა აღარ ჩაქოლეს, მოკვეთა აკმარეს. თემის მოღალატემ სიცოცხლე შეინარჩუნა, მაგრამ როგორც პიესიდან ჩანს, თემი მოკვეთას უფრო ძლიერ სასჯელად თვლის, ვიდრე დამნაშავის სიკვდილით დასჯას - ჩაქოლვას. ეს უცნაურობად არ მოგვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ მოკვეთის არსს, ყოველივე იმას, რაც მოკვეთილს დაატყდებოდა თავს. მოკვეთილს ეკრძალებოდა საზოგადოებასთან ყოველგვარი ურთიერთობა,თემის ყრილობაზე დასწრება, დღეობაში მონაწილეობა: თემი მოკვეთილს ჭირსა და ლხინში ხელს არ გაუწვდიდა, წისქვილზე საფქვავს არ დაუფქვავდა, არავინ მიესალმებოდა. იგი მოიკვეთებოდა არა მარტო თემისაგან,ა რამედ ხატისგანაც. სწორედ ამას გულისხმობს ხევისბერი ჭუჭა, როცა ამბობს, ბახა აღარ არის ლაშარის ჯვრის ყმაო.ეს კი ყოველი ფშაველისათვის უმძიმესი სასჯელი იყო, რადგან ფშაველები თავიანთ თავს ხატის ყმებად თვლიდნენ და მიაჩნდათ, რომ ხატის მფარველობის გარეშე უბედურება არ ასცდებოდათ. მოკვეთილს ხატის კარზე არ მიესვლებოდა, მას ხევისბერი საკლავს არ დაუკლავდა. ხატს წყალობას არ გამოსთხოვდა მისთვის. მოკვეთილს არც თემის სასაფლაოზე არ მარხავდნენ.თემის რისხვა დაატყდებოდა თავს იმასაც,ვინც მოკვეთილს რაიმეთი ხელს გაუმართავდა. ,,მოკვეთილში“ხევისბერი ასე რისხავს თემის გადაწყვეტილების დამრღვევს: ,,ვინც ამას იქით ბახასთან გაიაროს მკვდარზე, ან ცოცხალზე,ან თავის სახლში გაატაროს, გზაში შეყრილს გამარჯობა უთხრას,ესე დაიქცეს იმისი ყოფა-ცხოვრება (აქცევს თასს) ასე გაქრეს (აქრობენ ორივე კელაპტრებს) იმის სახსენებელი და ბატონის რისხვა გაჰყვეს იმის შვილთაშვილამდეც“.

როგორც ვხედავთ, მოკვეთა, ფაქტობრივად, პიროვნების ზნეობრივ სიკვდილს უდრიდა. ამიტომაც ითვლებოდა იგი უფრო მძიმე სასჯელად, ვიდრე სიკვდილით დასჯა-ჩაქოლვა.

მოკვეთილის ტრაგედია კარგად ჩანს პოემა ,,ბახტრიონში“. ომში შერცხვენილმა წიწოლამ თავი ჩამოიხრჩო. წიწოლას არც ბუნება დასტირის, არც თემი, მხოლოდ დედა მოსთქვამს. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ჩადენილი დანაშაულისათვის (ლაჩრობა, ომიდან გამოქცევა) თემმა წიწოლა მოიკვეთა:

თასი დაღვარეს ხატშია:

ახლოს მიუდგეს არვინა…

არც ვინ სამარეს გაუთხრის,

არც ვინ შაუკრავს კუბოსა:

მარტომ იტიროს დედამა,

ცრემლი წინ დაიგუბოსა.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ბახტრიონი“ 1986:127)

თასიდან სასმელის დაღვრა, მოკვეთის რიტუალის აუცილებელი ელემენტია. ჩვეულებითი სამართლის კუთხით საინტერესოა აგრეთვე ,,ალუდა ქეთელაურის“ განხილვა. თემს ალუდა არ გაუძევებია დადგენილი სამართლებრივი ნორმების დარღვევისათვის. მუცალის მოკვლის შემდეგ, ქეთელაური თავისივე თემში ცხოვრობდა. ალუდა რელიგიურ დღესასწაულზეც მივიდა. ხატის მსახური მას ჩვეულებრივად, როგორც სხვა მახვეწართ, შეხვდა: ,,ვის ამწყალობნებ, ალუდავ, ამა კურატით შავითა?“ ხუცესისა და ხალხის რისხვა გამოიწვია ალდას მიერ რელიგიური ნორმების დარღვევამ:

გაგონილაა, იძახდა

ასრე აგდება რჯულისა:

საკლავს თვითონ კლავს ალუდა,

მამხსენე ქისტის სულისა.

(ვაჟა-ფშაველა, ,,ბახტრიონი“, 1986:127)

მაჰმადიანი მუცალის სულის სახვეწრად საკლავის დაკვლით ალუდა ქეთელაური ,,გაურჯულოვდა“. ბერდიაც აფრთხილებდა ალუდას. ქეტელაურმა ყურად არ იღო გაფრთხილება და დანაშაული ჩაიდინა - მაჰმადიანი მუცალის სულის მოსახსენებლად თვითონ დაკლა საკლავი, რასაც ალუდასა და მისი ოჯახის გაძევება მოჰყვა სასჯელად. ჩვეულებითი სამართლის ნორმებით გათვალისწინებული იყო გაძევებულთა თემისა და ხატისგან მოკვეთა, სახლ-კარის დაქცევა, ქონების დარბევა, და ბოლოს, თემისგან განდევნა.დაქცეულ სახლ-კარს დასტირის ალუდას დედა თუ ცოლი:

,,ავაჰმე, ჩვენო სახლ-კარო,

ქვა-ქვაზე აღარ დგებაო,

ციხეზე, ჭერხოს ბოძებზე

ეხლა ყოვები სხდებაო.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ბახტრიონი“,1986:127)

ფშავ-ხევსურული ჩვეულებითი სამართალი ,,ლაშქარში გამოკლებისთვისაც“ აწესებდა სასჯელს. ომში საპატიო მიზეზის გარეშე წაუსვლელობისათვის დამნაშავეს თემი დაარბევდა,დაუკლავდა ხარს ან კურატს და შეუჭამდა.სწორედ ეს სასჯელი იგულისხმება იმ ,,ჯარიმაში“, რომელიც შეიძლება დაედო თემს ძაღლიკა ხიმიკაურისათვის თემში წაუსვლელობის გამო.

,,სტუმარ-მასპინძელში“ ვაჟას აღწერილი აქვს ნანადირევის გაყოფის წესი, რაც ასევე ჩვეულებითი სამართლით იყო დადგენილი. ,,ამხანაგურად“ (რამდენიმე მონადირის მიერ ერთად ნადირობის პირობის დადება,შეამხანაგება) ნადირობისას მოკლული ნადირი ,, ამხანაგთა“შორის თანაბრად ნაწილდებოდა.ოღონდ ნადირის უშუალოდ მომკვლელს ,,საისრედ“ერთი ნაწილი ზედმეტად ერგებოდა. თუმცა მოკლულ ნადირში წილი შეიძლება ჩაედო უცხო მონადრესაც, რომელიც ამხანაგობაში არ შედიოდა.ეს მაშინ ხდებოდა,როცა ის მოკლულ ნადირს ფეხგაუტყავებელს მოუსწრებდა. ,,სტუმარ-მასპინძელში“ ჯოყოლა ალხასტაიძე შემთხვევით შემოხვედრილ ,,ამხანაგ“ ზვიადაურს მოკლული ნადირის განაწილებას სთავაზობს:

თუ გინდა ეხლავ გავიყოთ
როგორც ამხანაგთ, ორადა,
ჩიჩქიც არ მინდა მე მეტი,
გავინაწილოთ სწორადა…
წილი გდებია შენაცა
ამ ჩემგან მოკლულ ჯიხვშია.

(ვაჟა-ფშაველა, ,,სტუმარ-მასპინძელი“, 1986:173))

ჩვეულების მიხედვით, მოკლულ ნადირში ზვიადაურს წილი არ ედო, რადგან ჯოყოლას უკვე მოესწრო ჯიხვის ფეხების ჩატყავება, ამიტომაც ალხასტაიძეს ,,ამხანაგურად“ ე.ი. თანაბრად სურს ნანადირევის გაყოფა.ზვიადაური უარს ამბობს დადგენილი ნორმების დარღვევაზე:

საცა არ მიხნავ, ძმობილო,
იქ ემკო, ეს სადაურია?
ყელი მოგიჭრავ ჯიხვისთვის,

ფეხებიც ჩატყაულია…

წილს კი არ მოგთხოვ, იცოდე,

თავს არა ვკადრებ ამასა.

(ვაჟა-ფშაველა, ,,სტუმარ-მასპინძელი“, 1986:173)

უნდა აღვნიშნეთ, რომ არა მარტო ეთნოგრაფიული მასალები გვეხმარება ვაჟა-ფშაველას მხატვრული ნაწარმოებების ზოგიერთი ეპიზოდის სწორად განმარტებაში, არამედ, პირიქით, ხშირად ეს ეპიზოდები ავსებენ და აზუსტებენ ეთნოგრაფიულ მასალებში დაცულ სამართლებლივი ხასიათის ცნობებს.

ასევე ხაზგასასმელია ის ფაქტიც, რომ მთის კოლორიტისა და მისი ზნეობრივი სახის შესაქმნელად ვაჟა არა მხოლოდ წეს-ჩვეულებებს იშველიებს, არამედ „გაურყვნელის ენით მოსაუბრე“ მთიელთა დიალექტსაც. თავად აღნიშნავს: „ნუ გგონიათ ფორმებს ვთხზავდე, ღმერთმა დამიფაროს! რა არის აქ საწყინო? შემოტანა მრავლის ფორმებისა, თუ კი სადმე მოგვეპოვება, კაი ნიშანი მგონია, ხოლო ფორმების გატანა და შემცირება - ერის გალახვად, შეურაცხყოფად, დამცირებად მიმაჩნია“ (ვაჟა-ფშაველა, „ენა“,)

თავი VI

ზნეობრივი პარადიგმები ვაჟა-ფშაველას პოემებში

ვაჟა-ფშაველას პოემებში მთავარი გმირები უზენაეს ჭეშმარიტებას გაღვიძებული გულის მეშვეობით სწვდებიან, სწორედ ამიტომ იმზირებიან ისინი ზნეობრივი გადმოსახედიდან, ხოლო კონფორმისტული თემი (საზოგადოება) მათ მოძველებულ (ბარბაროსულ) წეს-ჩვეულებათა ლოგიკით უპირისპირდებიან. ზნეობრივი სიღატაკის ზღვარზე მყოფი საზოგადოება ვერ აცნობიერებს, ვერ სწვდება ამ პიროვნებების მორალურ მისწრაფებათა არსს. ალუდა, ჯოყოლა თუ მინდია თანამოძმეთა ზნეობრივ ამაღლებაზე ზრუნავენ, მაღალზნეობრივი პრინციპებით ცხოვრებისაკენ მოუწოდებენ მათ და თავად უჩვენებენ ამგვარი არსებობის მაგალითს. ვაჟა-ფშაველას მიხედვით, ადამიანმა ყველაფერი შეიძლება გასწიროს საზოგადოებისათვის (სიცოცხლის ჩათვლით), გარდა საკუთარი პიროვნებისა, ანუ ზნეობრივი მრწამსისა.

„ვაჟა-ფშაველა იაზრებს თავისი კარგი ყმების გმირულ პრინციპულობას ეთიკის საკითხებში. მასაც ადამიანის პიროვნებისათვის მძიმე ხუნდებად მიაჩნია მთიელთა ბევრი ადათი, წესი, ტრადიციის ცალკეული მხარეები, რომლებიც ზღუდავენ კარგი ყმის მისწრაფებებს და ხშირად ამ ყმის ტრაგიკული ბედის მიზეზიც

ხდებიან. ვაჟას ესახებოდა ისეთი მომავალი ჰუმანური საზოგადოება, სადაც ინდივიდუალური არ ეწინააღმდეგება საზოგადოებრივს და პირუკუ, მთის დიდი პოეტი, რომელიც თავისი კუთხისა და თემის ბევრ ჩვეულებას პატივს სცემდა არასდროს ყოფილა რეტროგრადი და მისი მსოფლმხედველობა ყოველთვის ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმით იყო გასხივოსნებული“ (აკაკი გაწერელია).

პოემა ,,ალუდა ქეთელაურში“ საზოგადოებისაგან მთავარი გმირის განაპირება ინდივიდუალური ინიციატივის საფუძველზე კი არ ხდება, არამედ თემის იძულების შედეგად. ,,ალუდა ქეთელაურის“ მიხედვით, შურისძიების გრძნობით ანთებული ქეთელაური მოულოდნელად მტერში ღირსეულ ადამიანს აღმოაჩენს. აღსანიშნავია,რომ პირველ ნაბიჯს მოწინააღმდეგის ღირსების აღიარებისაკენ მუცალი დგამს, როდესაც მომაკვდავი თოფს ალუდას გადაუგდებს და ისურვებს, რომ მომავალში მხოლოდ მისნაირი ვაჟკაცი იყოს მისი მფლობელი. მუცალის ამ საქციელმა, მისმა გაუტეხლობამ, მებრძოლმა ბუნებამ, მოწინააღმდეგეში ღირსების დანახვის უნარმა, სულიერად შეძრა ალუდა. მუცალის ვაჟკაცობით მოხიბლულმა და შეძრულმა ალუდამ დაიტირა იგი, არც მარჯვენა მოკვეთა და იარაღიც თან დაუტოვა. ალუდა უარყოფს შურისგებას, როგორც საზოგადოების საარსებო, ფუძემდებლურ წესს, თორემ, რა თქმა უნდა, იგი მომავალშიც აპირებს მტრის წინააღმდეგ ბრძოლას, თუ ამას მისი სამშობლოს თავდაცვითი იჯნტერესები მოითხოვს: ,,მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვჭრი მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!“ - იქადის ხევსურებზე გამწყრალი ქეთელაური.

ვაჟა-ფშაველას პოემებში მთავარი მოტივი არის პიროვნების, ,,კაი ყმის“ სულიერი ფერისცვალების, შინაგანი გარდაქმნის ჩვენება ბარბაროსული ტრადიციების ერთგული, უზნეო საზოგადოებასთან დაპირისპირების საფუძველზე. ალუდა ქეთელაური იაზრებს, რომ ძველი ადათები სრულიად სასტიკია, არაჰუმანური, არავისათვის სასიკეთო, არაფრისმომცემი. ამიტომაც, მასში ახალი რწმენა იბუდებს და აკეთებინებს ისეთ რაღაცებს, რაც სრულიად მიუღებელია თემისათვის, მაგრამ სწორია, მართებულია მორალურ-ზნეობრივი კუთხით. ალუდას თვალი აეხილება მუცალთან ბრძოლის შემდეგ, რადგან დაინახავს მუცალის ვაჟკაცობას, სიძლიერეს, პატიოსნებას. იმდენად მოსწონს მუცალი, რომ მკლავს აღარ მოსჭრის. სწორედ აქ იწყება ალუდას სულიერი ფერისცვალება. იმდენად დაენანება

ვაჟკაცის სიკვდილი, რომ ამბობს: ,,ვაჟკაცო ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარიო“. მკლავს არ მოსჭრის, იარაღს არ წაართმევს და თან გულის სიღრმეში ძალიან აწუხებს ის ფაქტი, რომ ვაჟკაცი მოკლა. მუცალს, ურჯულოს, ,,ცხონებულს“ უწოდებს. რითაც კვლავ უპირისპირდება თემს. სულიერად აფორიაქებული ალუდა, რომელმაც ჰუმანიზმის მწვერვალს მიაღწია, ვეღარ ისვენებს, ვერც დღისით, ვერც ღამით, კოშმარულ სიზმრებს ხედავს. ამის შემდეგ ბრაზდება და ამბობს:

,,მტერს მოვკლავ, კიდევ არ მოვსჭრი

მარჯვენას მაგათ ჯაბრითა!

წესი არ არის მტრის მოკვლა

თუ ხელთ არ მასჭერ დანითა.

ვაი ეგეთას სამართალს,

მონათლულს ცოდვა-ბრალითა!“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ალუდა ქეთელაური“, 1986:110)

,,ალუდას ტკივილში მძლავრადაა არეული (და არაჩვეულებრივი მხატვრული ოსტატობითაც განსახიერებული) ხმა უკმაყოფილებისა, საყვედურისა, ეჭვისა, სინდისის ქენჯნისა, უსამართლობისა, ცხოვრების ახალი მორალის გამონახვის აუცილებლობისა. ამ განცდამ ააფორიაქო ალუდა, მასში გააერთიანა სიზმარი და სიცხადე, ოცნება და სინამდვილე, ტკივილი და სიამოვნება, ტანჯვა და სიხარული, კმაყოფილება და დაუკმაყოფილებლობა, მადლი და ბოროტება, სილამაზე და სიმახინჯე, გონება და გრძნობა, ყური და თვალი, გემოვნება და შეხება“ (ზანდუკელი, 1953:172).

თემისთვის გაუგებარი დ მიუღებელია ალუდას მრწამსი. ბერდიას უკვირს, რომ ქეთელაურს მუცალის სულისათვის კურატის შეწირვის სურვილი გაუჩნდა. ხევისბერისათვის მოუნათლავი იმთავითვე ძაღლია. მისთვის წარმოუდგენელია, იგი იმსახურებდეს სიყვარულსა და სიბრალულს: ,,როგორ ვახვეწო უფალსა ძაღლი, ძაღლების ჯიშისა“. ადამიანის ღირსება, მისი აზრით, ჯიშითა და რჯულითაა განსაზღვრული. ხევსური ,,კაი ყმა“ კვლავ უპირისპირდება თემს, თვითონვე შესწირავს კურატს მუცალის ხსოვნას, რაც ყოვლად მიუღებელი იყო თემის ტრადიციებისა და მსოფლხედვისათვის. ალუდა ქეთელაურში დაიბადა სრულიად სხვა, ახალი, ჰუმანური, გონიერი ადამიანი. ჰუმანურობისათვის და ზნეობრივი

ზრდისთვის ალუდა სასტიკად ისჯება, გმირს, ვაჟკაცს, პატრიოტს, კარგ ყმას თემი მოკვეთს სოფლიდან...

ალუდა ქეთელაური თემს უპირისპირდება საკუთარი მრწამსის, სინდისის საფუძველზე. მას ოდნავადაც არ ეპარება ეჭვი თავისი ქმედების სისწორეში და აქვს სიმშვიდის, საკუთარ თავში დარწმუნებულობის მყარი განცდა, მაშინ, როდესაც მოუნათლავის ხსოვნას მიაგებს პატივს და საკლავს დაუკლავს მას. სინდისის კარნახით მოქმედებს ალუდა იმ შემთხვევაშიც, როცა მუცალს მარჯვენას არ კვეთს.

,,ვერ გავიმეტე მუცალი
მარჯვენის მოსაჭრელადა,
გული გამიწყრა,არა ჰქნა,
რაც საქნელია ძნელადა:
,,დაე, დააკლდეს სახელსა,
მე გირჩევნივარ მრჩევლადა“.

(ვაჟა-ფშაველა,2009:101)

ალუდა ამბობს, რომ გულის ხმას უსმენდა, როცა გადაწყვიტა, მუცალისათვის მარჯვენა არ მოეკვეთა.გულის განსჯაში, ცხადია, სინდისი უნდა ვიგულისხმოთ. მუცალის მოკვლის გამო აღძრული სინდისის ქენჯნა, სინანული ალუდას ცნობიერებაში თავს იჩენს მტანჯველი სიზმრების სახით.

ხევსურთა სასტიკი განაჩენის მიუხედავად, ალუდას სულისათვის სრულიად უცხოა შურისძიების, გაბოროტების გრძნობა. როგორც ზნეობრივი გმირი, იგი კატეგორიულად უკრძალავს ცოლს და დედას თემის აუგად მოხსენიებას, დაწყევლას. თემისაგან მოკვეთილ ქეთელაურს გული მშობლიურ მხარეში რჩება:

ერთხელ მაუნდა ალუდას,
ერთხელ მობრუნვა თავისა:
მშვიდობით საჯიხვეებო,
გამახარელნო თვალისა!
მშვიდობით, ჩემო სახლ-კარო,
გულში ამშლელო ბრალისა!
მშვიდობით, ჩვენო ბატონო,
ყმათად მიმცემო ძალისა!“

(ვაჟა-ფშაველა,2009:293)

პიროვნული სიძლიერით, ვაჟკაცობით, სამართლიანობით, ტრადიციების დაცვით გამოირჩევა პოემა ,,სტუმარ-მასპინძელი“, რომლის ერთ-ერთი გმირი ჯოყოლა დაჯილდოვებულია ყველა ამ თვისებით, გარდა ამისა გულმოწყალე, ჰუმანური ადამიანია. სწორედ ასეთი ადამიანის სახლში აღმოჩნდა სტუმრად მისივე მტერი, ხევსური, ჯოყოლას ძმის მკვლელი, ქისტების ამომჟლეტი ზვიადაური. ამის მიუხედავად ჯოყოლა იცავს სტუმარს (მტერს) და უპატივცემულოდ ქცევის გამო უპირისპირდება თემს, რომელიც აწამებს გაკოჭილ ზვიადაურს. ჯოყოლა რომ ჰუმანური, მორალური ადამიანია, ჯერ კიდევ იქედან ჩანს, სრულიად უცხო სტუმრად რომ მიჰყავს და ნანადირევის გაყოფას სთავაზობს. სტუმრის მიღება და ტრადიციულად გამასპინძლება ტრადიცია იყო. ჯოყოლა მიმართვას ცოლს:

,,აი სტუმარი მოგგვარე,

ღვთის წყალობაა ჩვენზედა“.

თემი ივიწყებს სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას და სისხლის აღების წესს ასრულებს. ჯოყოლასთვის მიუღებელია, სტუმარი მოუკლან, თანაც ისე, რომ ბრძოლის საშუალება, თავის დაცვის შესაძლებლობა არ მისცენ. თემი დაუნდობელია ზვიადაურის და ჯოყოლას მიმართ: ,,თემს რაც სწადიან , მას იზამს თავის თემობის წესითა“. ჯოყოლა იცავს სტუმარს: ,,მითაც მე ვერ ვუღალატებ, ვფიცავ ღმერთს, ქმნილი იმისა“. ჯოყოლას არ ესმის თემის საქციელი, ამიტომაც უხსნის მათ, ახსენებს სტუმარმასპინძლობის ტრადიციას, რჯულს: ,,თვის რჯული გადვიწყებიათ, მიტომ იქცევით მცდარადა“.

თემი მაინც თავისას გაიძახის, რასაც ჯოყოლას სამართლიანი ბუნება, მორალური კანონი ვერ უძლებს და დაერევა იარაღით თავისიანებს.

ვაჟა-ფშაველა გვახსენებს სიკვდილ-სიცოხლის კანონს:

,,ვერ გვიხსნის სიკვდილის ბჯღალით

ძალა, ვერც სიტყვა ცბიერი.

ბუნების ცოდვა ესაა,

მუდამ საწყინო ჩემია:

ავსა და კარგსა ყველას ჰკლავს,

არავინ გადურჩენია“.

ვაჟა-ფშაველა გვახსენებს : ,,სიკვდილი ყველას გვაშინებს,

სხვას თუ ჰკვლენ,ცქერა გვწადიან,

კაცნი ვერ გრძნობენ ბევრჯელა,

როგორ დიდ ცოდვას სჩადიან. “

ზვიადაურს, ვაჟკაცს წაიყვანს თემი სასაფლაოზე და მოკლავს, მაგრამ ზვიადაური ბოლომდე ინარჩუნებს სიძლიერეს და არ ეწირება ქისტების მკვდრებს. ჯოყოლას ცოლი, აღაზაც არღვევს ტრადიციას, როცა ზვიადაურს დაიტირებს და უფრთხობს მტაცებლებს. ნამტირალევი აღაზა ჯოყოლას ყველაფერს უამბობს და თან ეშინია, რომ ქმარი ვერ გაუგებს, მაგრამ ჯოყოლა ხომ გამორჩეულია ჰუმანიზმით,სამართლიანობით,ზნეობრივად,პასუხობს აღაზას:

,,მაგისთვის როგორ შეგრისხავ?

ტყუილს სჯობს სიმართლის თქმაო.

იტირე?! მადლი გიქნია,

მე რა გამგე ვარ მაგისა?

დიაცს მუდამაც უხდება

გლოვა ვაჟკაცის კარგისა.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,სტუმარ-მასპინძელი“, 1986:173)

ჯოყოლა კვლავ ამჟღავნებს თავის ვაჟკაცურ,პატრიოტულ ბუნებას, როცა მტერს თემისგან განცალკევებით ებრძვის, რადგან იცის, რომ თემი მას ახლოს არ გაიკარებს. უმოქმედოდ ყოფნას კი სიკვდილი ურჩევნია.

,,სტუმარ-მასპინძლის“ პერსონაჟებმა: ჯოყოლამ, ზვიადაურმა, აღაზამ გამოიჩინეს დიდი ზნეობრივი ძალა, სამივე ძლიერი პიროვნებაა, ავისა და კარგის გამრჩევი, პატრიოტები, ჰუმანურები, მებრძოლი სულისკვეთებით აღსავსენი.

როგორც ვხედავთ, ჯოყოლა უპირისპირდება თემს, რადგან მას არ აძლევენ საშუალებას რომ აღასრულოს წმიდათაწმინდა მოვალეობა სტუმარმასპინძლობისა, რომელიც თავად საზოგადოების მიერ არის დადგენილი სავალდებულო ზნეობრივ ნორმად. ზვიადაურის ვინაობის გამორკვევის შემდეგ ჯოყოლა ალხასტაისძე რთული არჩევანის წინაშე დგება. ის ან შურისმაძიებლებს უნდა მიემხროს და პასუხი აგებინოს ძმის მკვლელს, ანდა დაიცვას სტუმრის და, ამავდროულად, საკუთარი ოჯახის ღირსებაც. ჯოყოლა არ ღალატობს საკუთარ მრწამსს, მოქმედებს სინდისის

კარნახით და სტუმრის დაცვას გადაწყვეტს, რითაც ზნეობრივად იმარჯვებს თემზე. მეტიც, თავისი საქციელით ჯოყოლა არამხოლოდ პიროვნულ და ოჯახის ღირსებას, არამედ სწორედ იმ საზოგადოების ღირსებას იცავს, რომელიც საკუთარ ადათს არღვევს შურისძიების სურვილით გონდაბინდული.

ზოგიერთი კრიტიკოსი ფიქრობს, რომ ჯოყოლა ბოლოს მაინც ეთიშება თემს. სერგი დანელიას მიხედვით, ჯოყოლა და ალუდა ,,ჯერ სუბიექტურად, ანუ, ზნეობრივი შეგნებით გაეთიშებიან თემს. ე.ი. დაგმობენ თავის გულში თემობრიობის პრინციპს, და ამ სუბიექტურ გამიჯვნას მოჰყვება შედეგად ობიექტური გამიჯვნაც: ალუდა და ჯოყოლა შეებრძოლებიან თემა და გაეთიშებიან მას“ (დანელია, 2008:78).

ზ. შათირიშვილის აზრით კი, ხევსურების წინააღმდეგ ჯოყოლა არა თემის დასაცავად, არამედ მხოლოდ საკუთარი ოჯახის ღირსებისა და კეთილდღეობისათვის იბრძვის. ჯოყოლა გადაწყვეტს, რომ მარტოკამ უნდა იბრძოლოს, რადგან მისი სტუმარი და ძმა დაუმარხავია, ხოლო მისი ღირსება შელახულია. ის უნდა შეებრძოლოს მტერს, რადგან უნდა დაიცვას უკვე არა მთლიანად თემი, არამედ ოდენ საკუთარი სახლ-კარი, ოჯახი, ოჯახის წესი, ანუ ღირსება“(შათირიშვილი, 2006:29).

მკვლევარ ლევან ბებურიშვილის აზრით კი, „პოემის ტექსტი საპირისპიროს ადასტურებს. ქისტების უღირსი საქციელის მიუხედავად, ჯოყოლა მაინც თანამოძმეთა ერთგული რჩება და თემის დასაცავად იბრძვის ხევსურთა წინააღმდეგ. მისი „მარტოკა ბრძოლის“ მოტივი ის კი არ არის, რომ მას მხოლოდ საკუთარი ოჯახის ღირსება და კეთილდღეობა ანაღვლებს, არამედ ის, რომ ქისტები თავს არიდებენ მას, ათვალწუნებული ჰყავთ იგი, როგორც თემის პირის გამტეხი და ახლოს არ გაიკარებენ ლაშქარში“(ბებურიშვილი, 2018:65).

მიუხედავად იმისა, რომ ჯოყოლა თემს უპირისპირდება, მისი სინდისი მშვიდია. თანამემამულეთაგან უარყოფილი ქისტი ვაჟკაცის გულში ოდნავადაც კი არ გაკრთება რაიმე შეეჭვება საკუთარი საქციელის მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. იგი დარწმუნებულია, რომ არავისათვის უღალატია და ადამიანური მოვალეობა პირნათლად აღასრულა. ამიტომაც ამბობს ხევსურებთან ომის წინ:

,,მარტოკამ უნდა ვიომო,

მთელმა ჯარეგმა მნახოსა;

ვინ ერთგულია,ვინ არა,

ქვეყანამ დაინახოსა“.

(ვაჟა-ფშაველა,2009:298)

მიუხედავად ჯოყოლას ამგვარი მოლოდინისა, თემი კვლავ არასწორად აღიქვამს მის საქციელს და საბოლოოდ გაწირავს ჯოყოლას, სასაფლაოზე დაკრძალვის ღირსადაც კი არ სცნობს მას.

თემს საოცარი ერთიანობაც ახასიათებს, თავის შემადგენლობაში მხოლოდ უსიტყვოდ მორჩილ წევრებს აჩერებს, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს იკვეთს და თავისი ,,მძიმე წყალ-ჭალის“ ნატრულს ხდის, ამიტომ განსაკუთრებით ძნელია თემურ საზოგადოებასთან დაპირისპირება. ეს იმთავითვე მარცხს გულისხმობს, მაგრამ ვიღაცას მაინც უნდა დაენახა ის უამრავი უსამართლობა, რაც თემში ტრიალებდა და დაეწყო ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ვაჟას პერსონაჟები ასეთი გამორჩეულები არიან.

პიროვნება მაშინ უპირისპირდება საზოგადოებას, როდესაც აშკარად გამოირჩევა თანამოძმესაგან: აზროვნებს სხვანაირად, აქვს გამორჩეული უნარი, უმრავლეს შემთხვევაში წინ უსწრებს საზოგადოებას. გაცილებით მეტად ჰუმანურია, ვიდრე მისი თანამედროვენი. მისი მოქმედებაც ადამიანის სიყვარულს ეფუძნება. სწორედ ამგვარია ჯოყოლა და ამიტომაც უპირისპირდება თემს.

იცის თუ არა თემმა გამორჩეული პიროვნების ფასი და პატივს სცემს თუ არა მას? უნდა შეინიშნოს, რომ საზოგადოება მხოლოდ თავის ერთგულ კაცს აფასებს. როგორც კი განსხვავება გამოჩნდება და თვალში საცემი გახდება, თემი მოიკვეთს ნებისმიერ წევრს, რაოდენ სახელიანიც უნდა იყოს იგი, რადგან ერთი პიროვნების შეხედულებისა და გემოვნების გათვალისწინება, თემის დაშლას უდრის, თემი თავის კანონებს ვეღარ დაიცავს. ამიტომ თემის ბრძოლა საკუთარ კანონთა დასაცავად, ფაქტობრივად, გადარჩენისათვის ბრძოლას უდრის, მისი მხრიდან ამ დაპირისპირებისას კი ანადგურებს თავის შვილთა საუკეთესო ნაწილს.

ზნეობრივ-მორალური იდეებით გამოირჩევა პოემა ,,გოგოთურ და აფშინა“. პოემაში გოგოთურის საშუალებით შეიცვლება აფშინას პიროვნება. გოგოთური არის გამორჩეული ყმა, ძლიერი, ვაჟკაცი, გონიერი, სამართლიანი. როგორც ვაჟა წერს:

,,გოგოთურს რკინის გული აქვს,

მკლავი ხო გადამეტია

რამდენჯერ მარტომ შაბერტყის

მტერი ქვიშაზედ მეტია.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,გოგოთურ და აფშინა“, 1986:97)

გოგოთურს სუფთა სინდისი არ აძლევს საშუალებას უშრომელად, უმოქმედოდ იცხოვროს სხვის ხარჯზე. მისთვის მიუღებელია სხვას წაართვას და თვითონ გამდიდრდეს, მორალი არ აძლევს ამის უფლებას:

,,რად მინდა მაშინ სიცოცხლე,

ლუკმასა ვსჭამდე სხვისასა?“

გოგოთური უპირისპირდება ცოლს, შემდეგ კი აფშინას, რითაც ნათლადაა გამოხატული მისი მაღალი მორალი, ზნესრულობა, სიდიადე, პატიოსანება, სამართლიანობა. გოგოთური ადგას ცხოვრების სწორ გზას, ცხოვრობს სიკეთით და ზრუნავს, როგორც თავის ოჯახზე, ასევე ქვეყანაზეც. თავისი სიკეთითა და სიძლიერით გააკვირვებს უზნეო, დამარცხებულ აფშინას, როცა იარაღს არ წაართმევს და არც მოჰკლავს. ამის შემდეგ კი აფშინაც ხელს აიღებს ქურდობაზე. გოგოთურს გაოცებული ეტყვის: ,,მოდი, გაკოცო, გოგოთურ,

სიკეთისათვის შუბლჩია.“

ერთმანეთს ლოცავენ. აქ ვხედავთ მათ რწმენას. ღვთისა და ლაშარის ჯვრის სიყვარულს. კეთილ გზას აცდენილი აფშინა დაიწყებს სამართლიან ცხოვრებას, როგორც სასარგებლო და მზრუნველი ადამიანი.

მთაში ძველი ნიადაგი ჯერ კიდევ შენახულია, იქ ნამუსი კიდევ წელგამართული დადის და მომავალიც მხოლოდ ამ ნიადაგზე არის შესაძლებელიო. ,,რად მინდა მაშინ სიცოცხლე, ლუკმასა ვჭამდე სხვისასაო“, ასე მსჯელობს გოგოთურ. მართალია, მთაში ავაზაკიც მოიპოვება, აფშინას მსგავსი, მაგრამ ნახეთ რა კაცობა და თავმოყვარეობა იღვიძებს მასში იმის შემდეგ, რაც გოგოთურის მიერ დამარცხდა. ის ხევისბერად შედგება და

,,ხალხს ხატს ახვეწებს ტკბილის ხმით,

იწვევს მფარველად ქვეყნისა.“

,,ამბობენ: ქვითინი მოდის

ღამ-ღამ ბლოს თავით კაცისა…“

(ვაჟა-ფშაველა, ,,გოგოთურ და აფშინა“, 1986:97)

ეს აფშინან იყო,რომელიც თავის ,,მკვდარ ვაჟკაცობას“ დასტიროდა.

პოემაში ,,გველისმჭამელი“ გამოხატულია მინდიას ცხოვრება, თავისი სულიერი მდგომარეობა. მინდია, ხევსური ვაჟკაცი, ქაჯებს ჰყავდათ თორმეტი წელი ტყვედ. ,,მინდიამ ,,ზიზღით და ქურდულად“ შეჭამა გველის ხორცი. პოემაში პირდაპირ არის ნათქვამი, რომ ამ დროს ,,მინდიას მოწყალის თვალით გადმოხედა ზეცამ“ ქაჯებმა მინდიას განზრახ აჩვენეს სიბრძნე გველად, რომ არ ზიარებოდა მას. მინდიამ ყველაფერი ისწავლა ქაჯური, ,,მხოლოდ ბოროტმა ვერ მოიკიდა მის გულში ფეხი“. ეს ყველაფერი ,,ღვთიური ცოდნაა“, რომლის მოპოვებით იგი სამყაროს პირველდასაბამს ეზიარა. და მართლაც, მინდიამ ქაჯთა ტყვეობაში გველის ჭამით მოიხვეჭა მოკვდავთათვის უჩვეულო- 1. ,,სიბრძნე“ 2. ,,გრძნეულება“ 3. ,,მტრის დასამარცხებელი ფანდი“ და დაჭრილის განკურნების ნიჭი 4. ,,მეცნიერება“ 5. ,,ცოდნა“ 6. ყოვლის შესმენისა და შეგრძნობის ნიჭი ,,მღილიდან და ყვავილებიდან“ ,,ვარსკვლავებამდე“ 7. ,,გულისა და თვალების ხედვა“ 8. ,,ღმერთთან ლაპარაკის“ მადლი 9. ,,გონება“ 10. ,,რწმენა“ 11. ,,წმინდა რჯული“ 12. ,,დავლათი“

(თამაზ ჩხენხელი-ტრაგიკული ნიღბები 1971წ. გვ.251-252)

,,ახალად სული ჩაედგა,
ახალი ხორცი აისხა;
გულის ხედვა და თვალების,
როგორც ბრმას და ყრუვს, გაეხსნა.“

(ვაჟა-ფშაველა“ ,,გველის მჭამელი“,1986:217)

„თუკი ყველაფერი, მთელი ქვეყანა პოეტის კუთვნილებაა, თუკი ნამდვილსა და გამოგონილს შორის არაფერი განსხვავებაა,მაშინ ისეთ პერსონაჟს როგორიც მინდიაა, ისევე თავისუფლად შეეძლო ეცხოვრა რეალურ სინამდვილეში,როგორც პოეტის ცნობიერებაში არსებობდა. ვაჟას ეს არც ეეჭვება, უბრალოდ ადამიანი ფერისცვალების გზით უნდა მივიდეს მინდიას დონემდე“(ბაქრაძე, 2013:272).

მინდიას ცხოვრება სრულიად შეიცვალა. ყველაფრის ენა იცოდა: ფრინველების, მცენარეების, ცხოველების, ესმოდა ყველაფერი, რა აწუხებდათ, რა აბედნიერებდათ, რომელი მცენარე რისი წამალი იყო. თემიც მინდიას ეკითხებოდა აზრს ბრძოლისწინ. მინდია იყო ადამიანი, რომელიც არასდროს ჩაიდენდა ბოროტებას, არავის

აწყენინებდა ამქვეყნად, არც სულიერს, არც უსულოს, ამიტომაც ის ყველას უყვარდა, მხოლოდ ოჯახი იყო მისით უკმაყოფილო, რადგან შიოდათ, სციოდათ, მინდია კი ხესაც არ სჭრიდა,ტირისო. სხვებსაც ურჩევდა, არ ჩაედინათ ეს საშინელი ცოდვა:

,,კაცებო, მოდით, ნუ ჰშვრებით ცოდვასა;
ნუ მასჭრით ხესა, დავჯერდეთ
ჯოყრებს, ხმელს წიწკრებს ცოტასა.“

მინდიამ როცა შეუსრულა ცოლის სურვილი: მოჭრა ხეები,მოკლა ცხოველები, ის ღვთისგან ბოძებული ნიჭი გაქრა. ეს იყო მინდიასთვის მარადიული სატანჯველი, აღარაფრის ენა ესმოდა, არაფერი ესალმებოდა... დღე და ღამ ლოცულობდა, რომ ეს ნიჭი დაბრუნებოდა:

,,ცრემლი სდის ,ჩემი ქვითინი
აბჯრის ჟღერაში ერევა,
ლოცულობს, დაჩოქიია,
ხანიც მრავალი ელევა.“

ერთადერთი რაც აწუხებდა იყო, რომ ვეღარ არგებდა ქვეყანას, ვერაფერს მოიმოქმედებდა სხვების დასახმარებლად. მინდია არის ყველასგან განსხვავებული, ახალი ადამიანი , რომელიც გამოირჩევა კეთილი, ჰუმანური თვისებებით.

,,ამ ნიადაგზე მინდიასა და თემს შორის კონფლიქტი თანდათან ღრმავდება. თემს არ ძალუძს მინდიას ახალ სიბრძნეს, ცხოვრებას ახალ გაგებას ჩასწვდეს. თემის გაგება ვერ იტევს მინდიას ახალ,სამართლიან გაგებას ცხოვრების შესახებ თემი ყველაფერს განიცდის ვიწრო განსაზღვრულობაში, განზომილებაში, კონკრეტულობაში."
(მიხ.ზანდუკელი ვაჟა-ფშაველა 1953წ. გვ.133)

მინდია სულიერად იტანჯებოდა, მუდამ ცრემლებსა ღვრიდა, საკუთარ თავს დააბრალა მტერთან მარცხი და თავიც მოიკლა სულიერად დამძიმებულმა. ,,ვაჟას შემოქმედებაში არ იგრძნობა უმწეობა და შეურაცხყოფა იმის გამო, რომ ბუნება ადამიანისადმი ზოგჯერ გულგრილი იყო; აქ არ იგრძნობა ადამიანის დაკნინება იმის გამო, რომ ,,ბუნება წარბსაც არ ხრის,მაინც მშვიდი და მშვიდია." მაშინ, როდესაც მინდია თავს იკლავს, პირიქით, ეს თვითმკვლელობა მას ისევ ამაღლებს , რადგან რად უნდა მას სიცოცხლე, თუ მთელი მისი ,,არსება აღარ იქნება საღადა." (გრიგოლ კიკნაძე ვაჟა-ფშაველას შემოქმედება 1989. გვ.321)

,,საშობაო ამბავი“ ეს არის თქმულება, რომლის დედააზრიც არის ის, რომ სიკეთე არ იკარგება. წრფელ ადამიანებს უფლის მოწყალება აკითხავს ადრე თუ გვიან. თავად ღარიბი გეგენა იფარებს ღარიბს, ერთადერთი საჭმელი რაც გააჩნდა მჭადი იყო და იმასაც სტუმარს აჭმევს მთელი ოჯახი,მასპინძლები კი მშიერი დაიძინებენ. სწორედ ეს არის პოემის მორალი,აუცილებლად ფასდება სიკეთე ღმერთის მიერ. გეგენასაც სწორედ ამიტომ დახვდა ქოხის კედლები საყდარივით თეთრი და სანოვაგით სავსე.

ვაჟა-ფშაველა პოემაში ,,ჰაოს და ქართლოს“ ერთმანეთს უპირისპირებს კეთილს და ბოროტს, სამართალს და უსამართლობას, ერთგულებას და ღალატს. თუ ქართლოსი უბოროტო, კეთილი, სამართლიანი, კარგი მებრძოლია, ჰაოსი ცბიერი, მოღალატე, დაუნდობელი პერსონაჟია. ღვთისმოყვარული, ზნესრული ადამიანია ქართლოსი, რომელიც მეგობარს დახმარების ხელს გაუწვდის. ეტყვის : ,,კაცთ ბედის გამგე ღმერთია“ კეთილი გულით შუაზე გაუყოფს ყველაფერს , რაც კი აბადია:

,,რაცა მაქვს შუაზე გაგიყოფ,
ბეწვიც არ მინდა მეტია.
ვინ გაიფიქრებს დაგჩაგროს,
ის ცოლ-შვილ გასაწყვეტია.“

(ვაჟა-ფშაველა, ,,ჰაოს და ქართლოს“ 1986:205)

ქართლოსი ენდობა ჰაოსს და ცოლ-შვილის პატრონობას სთხოვს, როცა სამშობლოს საკეთილდღეოდ საბრძოლველად წავა. ბრძოლის დროსაც თავის ძმადნაფიცზე ფიქრობს, როდესაც დაჭრილს დააბრუნებენ სახლში, ყველაფერი თავისი ფიქრების საწინააღმდეგოდ ხვდება. ჰაოსს ქართლოსის ცოლ-შვილი უპატრონოდ, მშიერი დაეყარა და მათზე არც კი ზრუნავდა. თუმცა, სამშობლოს მოყვარულ, ძლიერ ვაჟკაცს, ქართლოსს, როდესაც სიცხე ძალიან შეაწუხებდა ბორგავდა იმაზე, რაც აწუხებდა, ეს წუხილი არ არის არც მეგობრის ღალატი, არც ოჯახის ასეთ დღეში დანახვა, არამედ , მხოლოდ სამშობლო ადარდებს, გამარჯვების წყურვილი კლავს.

ამრიგად, ვაჟა-ფშაველა, როგორც დიდი ჰუმანისტი შემოქმედი, თავის პოემებში ვრცლად განიხილავს ზნეობრივ პრობლემებს, სიკეთისა და ბოროტების, პიროვნებისა და საზოგადოების დაპირისპირების მტკივნეულ პროცესს. პოეტი

მთელი სიცხადით გვიხატავს თავის კაი ყმისა და თემის ერთმანეთთან შეჯახებას. ვაჟას გმირები იღუპებიან იმგვარად, რომ ყველაზე ტრაგიკულ მომენტში ისინი გაივლიან ღრმა ზნეობრივი კრიზისის მიჯნას. ერთგვარ კათარზისს და ახალი, მანამდე უცნობი მორალით გამდიდრებულნი, არ უბრუნდებიან ადრინდელ, შინაგანად უშფოთველ ცხოვრებას. არამედ მტკიცედ იცავენ თავის პოზიციას. ისინი ზნეობრივად ახლად შობილნი არიან, რომლებისთვისაც უკან დასახევი გზა სუბიექტურად მოჭრილია. ისინი მთლიანი რჩებიან, როგორც ზნეობრივი ნათელხილვის, ასევე დამარცხების ჟამს. ამ მთლიანობას მათ არსებაში ბადებს შეგნება. ანაზდეულად მოპოვებული მაღალი ჰუმანური რწმენის სისწორისა თემის ტრადიციებთან და სიმართლის ნორმებთან შედარებით.

დასკვნა

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას მიზანი მკითხველში პიროვნული სრულქმნილების მიღწევა, ღმერთთან მიმსგავსებაა, ამიტომ მასში ფართოდაა გაშლილი ზნეობრივი პრობლემები, რომელთა შეძლებისდაგვარად ვრცელ წარმოჩენასაც ემსახურება ჩვენი სამაგისტრო ნაშრომი.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ადამიანთა ზნეობრივ, მორალურ გასპეტაკებას. ვაჟა-ფშაველას მთავარი მიზანი იყო წვლილი შეეტანა ქართველი მკითხველის მორალურ - ზნეობრივ სრულყოფის საქმეში. ამისთვის მრავალი ხერხი გამოიყენა: აასაუბრა ბუნება, ცხოველები, მოახდინა მთავარი პერსონაჟების სულიერ-გონებრივი ფერისცვალება, ცხოვრების დედააზრად სიკეთე დასახა. ვაჟა-ფშაველა ეძებდა იდეალურ ადამიანს და ეს ადამიანი ,,კაი ყმა“ აუცილებლად უნდა ყოფილიყო ზნესრული, დადებითი თვისებებით სავსე. ვაჟასთან ვხვდებით ცუდს და კარგს, ბოროტს და კეთილს, სანდოს და უნდოს, სამართლიანს, ერთგულს და მოღალატეს, ვაჟკაცს/გმირს და ლაჩარს... ვაჟასთვის არ არსებობს ადამიანი,რომელიც შესაძლოა შუაში იდგეს, ანუ, არც კეთილი იყოს დ არც ბოროტი, არც სამართლიანი, არც

უსამართლო და ა.შ. ვაჟა-ფშაველასთვის უმოქმედო ადამიანი მიუღებელია. მწერალი თავისი შემოქმედებით ღვთის გზაზე სიარულს გვასწავლის.

ვაჟა-ფშაველასთვის სამშობლოს სიყვარული ზნეობრივი კატეგორიაა. მან ცნება პატრიოტიზმის განმარტება წარმოადგინა პუბლიცისტურ წერილში ,,კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“. სტატიაში მწერალი აღნიშნავს, რომ ,,პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქოს დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკვათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს: როგორიც მაგალითად არის დედა ენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და სხვა.“

ვაჟა-ფშაველას შემოქმედებას უდიდესი ჰუმანისტური სულისკვეთება წარმართავს. მწრალი მრავალჯერ გვახსენებს სიცოცხლის დანიშნულებას და მოგვიწოდებს ვიცხოვროთ სულიერად ძლიერებმა, სუფთა სინდისით. უპირველესია მისთვის ისეთი გრნობები, როგორიცაა: სიკეთე, სიყვარული, მეგობრობა... გმობს ცუდს და ადიდებს ყოველივე კარგს. სწორედ ამიტომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედება იქცა ქართველი მკითხველის სულიერ ფარად. ვაჟა-ფშაველა პირდაპირი და მართალი იყო. იგი გაბედულად ამხელს უზნეო საზოგადოების ჩამორჩენილობასა და შეუწყნარებლობას. იგი თავის შემადგენლობაში მხოლოდ უსიტყვოდ მორჩილ წევრებს აჩერებს, ნებისმიერ მოწინააღმდეგეს იკვეთს და თავისი ,,მძიმე წყალ-ჭალის“ ნატრულს ხდის, ამიტომ განსაკუთრებით ძნელია თემურ საზოგადოებასთან დაპირისპირება. ეს იმთავითვე მარცხს გულისხმობს, მაგრამ ვიღაცას მაინც უნდა დაენახა ის უამრავი უსამართლობა, რაც თემში ტრიალებდა და დაეწყო ბრძოლა მათ წინააღმდეგ. ვაჟას პერსონაჟები ასეთი გამორჩეულები არიან.

პიროვნება მაშინ უპირისპირდება საზოგადოებას, როდესაც აშკარად გამოირჩევა თანამოძმესაგან: აზროვნებს სხვანაირად, აქვს გამორჩეული უნარი, უმრავლეს შემთხვევაში წინ უსწრებს საზოგადოებას. გაცილებით მეტად ჰუმანურია, ვიდრე მისი თანამედროვენი. მისი მოქმედებაც ადამიანის სიყვარულს ეფუძნება. სწორედ ამგვარია ჯოყოლა და ამიტომაც უპირისპირდება თემს.

,,ძირითადი შთაბეჭდილება,რომელიც ვაჟას შემოქმედების გაცნობიდან გვრჩება, ეს ისაა, რომ მისი ლექსების, პოემების და მოთხრობების მთავარ მასალად ბუნება და მისი წარმონაქმნი გამოდიან: ხმელი წიფელი და ქუჩი, მტირალი კლდე და

ობოლი შვლის ნუკრი, მაღალი მთები და ნისლები... აი, ვაჟას შემოქმედების უძირითადესი მასალა. ამდაგვარი მასალის წიაღში მოქმედებენ ვაჟას გმირები; მომეტებულად, ამდაგვარ მასალაში იშლება ვაჟა-ფშაველას განწყობილება და თვალსაზრისი მთელი მისი შემოქმედების გასწვრივ. ამ მასალის საერთო გრძნობად მხარეს თუ მივაქცევთ ყურადღებას , დავინახავთ, რომ იგი ნაღვლიანი ტონის შემცველია. სევდიანი გრძნობით ტონი- აი ვაჟას თხზულებათა მასალისათვის დამახასიათებელი ერთი თვისება; მართალია, ხშირად ეს ტონი ნაწარმოების ბოლოს იცვლება, მაგრამ ეს ცვლილება მომავალს შეეხება და ცხადყოფს ვაჟას საბოლოო თვალსაზრისს, მის ოპტიმისტურ მიზანსწრაფვას.

ვაჟას შემოქმედებაში წარმოდგენილი ნაღვლიანი ტონი ასახავს არსებულით უკმარობის იმ გრძნობას, რომელიც პოეტისათვის იყო დამახასიათებელი. ეს გრძნობა კი, პირველ ყოვლისა, ადამიანთა არაჰუმანურობით იყო გამოწვეული. ამ გრძნობას ვაჟას ყველა თხზულებაში უპირისპირდება ვაჟკაცობისა, პირდაპირობისა და, ამასთანავე, ლმობიერების გამომხატველი მასალა“ (კიკნაძე, 1989:25-26).

ვაჟა-ფშაველამ შეძლო ადამიანის ზნეობრივი გაკეთილშობილების მიზნით, შეექმნა აფორიზმული ფრაზები, რომლებიც პარადიგმებად უნდა მოვიხსენიოთ. ვაჟასეული ზნეობრივი პარადიგმების საფუძველი ჰუმანიზმი და ტოლერანტობაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია II, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, მინაშვილი 2010

2. ბარბაქაძე ც., სემიოტიკა N3, გამომცემლობა ,,ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ , თბ. 2008;

3. ბაქრაძე, ვაჟას მრწამსი, სკოლას, გამომც. „ინტელექტი“, თბ., 2013

4. ბეჟიტაძე მ., შურისძიების მოტივები ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში“, თბ. 1982

5. ბებურიშვილი ლ., ეთიკური პრობლემატიკა ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2018

6. ვაჟა-ფშაველა, ქართველი მწერლები სკოლაში, წიგნი V, ნაწილი I. გამომცემლობა „დია“, თბ., 2002

7. დანელია ს., ვაჟა-ფშაველა და ქართველი ერი, გამომც. „Carpe Diem“, თბ., 2008

8. ევგენიძე ი., ვაჟა-ფშაველას ცხოვრებისა და შემოქმედებითი ისტორიის საკითხები, თბილისის უნივერისტეტის გამომცემლობა, თბილის, 1989.

9. ევგენიძე ი., ვაჟა-ფშაველას შემოქმედებითი ისტორიისთვის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა , თბილისი, 1977

10. ევგენიძე ვ., ვაჟა-ფშაველას სიმღერათა ბუნებისათვის, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, ვაჟას კრებული, II, თბ., 1982
11. ევგენიძე ი., გამომცემლობა ,,თსუ“ , თბ. 1997;
12. ვაჟა-ფშაველას თხზულებანი; გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“, თბ. 1986;
13. ,,ვაჟას კრებული“, გამომცემლობა ,,თსუ“ ,თბ. 1970;
14. ზანდუკელი მ., ვაჟა-ფშაველა სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., 1953
15.ზოიძე ო., ჩვეულებითი სამართლის საკითხები ვაჟა-ფშაველას მხატვრულ შემოქმედებაში, ჟურნ. „ცისკარი“, N3, თბ., 1991
16. კალანდაძე ა., „გვაქვს საგანძური“, გამომც. „საბჭოთა საქართველი“, თბ. 1986
17. კიკნაძე გ., ვაჟა-ფშაველას შემოქმედება, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1989
18. კიკნაძე გრ., თხზულებანი ხუთ ტომად, ტ. V, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2009
19. კოტეტიშვილი ვ., „ვაჟა-ფშაველა“, ქართული ლიტერატურის ისტორია, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1959
20. ლაისტი ა., საქართველოს გული, გამომც. „ლიტერატურა და ხელოვნება“, თბ., 1963.
21. ლექსების ყოველი ფრაზა ამოწერილია წიგნიდან: ვაჟა-ფშაველა თხზულებანი გამომცემლობა ,,საბჭოთა საქართველო“თბილის 1986წ.
22. მინაშვილი ლ., ,,ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია2“, გამომცემლობა ,,თსუ“ 2010;
23. მოხელის სამაგიდო ლექსიკონი/ გაეროს განვითარების პროგრამა; თბილისი , 2004;
24. ნაკაშიძე 2003:
25. სოციალურ და პოლიტიკურ ტერმინთა ლექსიკონი გამომცემლობა-ლაშა ბერია თბ. ლოგოს პრესი 2004.
26. ფერაძე ი., „ბახტრიონი“, ვაჟა-ფშაველა ქართულ ლიტერატურულ კრიტიკაში, ქრესტომათია. I, სამეცნიერო-მეთოდიკური კაბინეტის გამომცემლობა, თბ., 1955

27. ჩხენკელი თ., ,,ტრაგიკული ნიღბები“, გამომცემლობა ,,განათლება“, თბილისი 1971

28. შათირიშვილი ზ., ვაჟა-ფშაველა და პოეზიის საწყისი, ჟურ. „ჩვენი მწერლობა“, 13, 2006

29. წიკლაური მ., „ვაჟა-ფშაველას დიდი დღე“, თხზულებანი, გამომც. „საბჭოთა საქართველო“, თბ., 1985

30. ხუციშვილი მ., ვაჟა-ფშაველა, ქართველი მწერლები სკოლაში, წიგნი V, ნაწილი I. გამომცემლობა „დია“, თბ., 2002